საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 108-109 (911)

ხუთშაბათი, 16 ივნისი, 1994 წელი.

ფასი 9000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო უმრავლესობის
განცხადება

ა. წ. 14 ივნისს საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელებმა“ პარლამენტის სხდომაზე გააკეთა განცხადება, სადაც ეჭვის ქვეშ დააყენა რუსეთის ჯარის მიერ საქართველოში სამშვიდობო მისიის შესრულების საკითხი. ამას მოჰყვა სამშვიდობო ოპერაციის გადავადება, პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის გაჭიანურება.

საპარლამენტო უმრავლესობას მიაჩნია, რომ ერთი ფრაქციის განცხადებამ (სულ 21 დეპუტატი) არ უნდა მოახდინოს არავითარი ზემოქმედება პოლიტიკური მოწესრიგების პროცესზე და აცხადებს, რომ მთლიანად იზიარებს და მხარს უჭერს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის, უწინარესად გენოციდის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების მშვიდობიან გზას.

გამოვხატავთ რა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს ამ საკითხზე, ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნეთ, რომ დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით, არჩეულ გზას გონივრული ალტერნატივა არ გააჩნია. საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, უპირველეს ყოვლისა რუსეთის ჯარების მიერ სამშვიდობო მისიის განხორციელება ერთადერთი რეალური, და მაშასადამე, სწორი გზაა, გზა, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ქართველთა, აფხაზთა, ქვეყნის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის საკეთილდღეოდ, არამედ საქართველო-რუსეთის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად, მთლიანად კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის განსამტკიცებლად.

ვაცხადებთ, რომ ამ პროცესის ჩაშლის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ბზარის გაჩენის და კონფრონტაციული პოლიტიკის რეანიმაციის ყოველგვარი მცდელობა მიმართულია ქვეყნისა და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს, როგორც პარლამენტის და, საერთოდ, საქართველოს ხელისუფლების, ასევე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს.

**მიღებულია საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე.
1994 წლის 15 ივნისი.**

უსაფრთხოების ზონაში

როგორც ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრი გვატყობინებს, აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის ოპერაციის ფარგლებში მესანგრენი შეუდგნენ უსაფრთხოების ზონის განაღმვას. 21 ივნისს ელიან, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში განიხილავენ ამ რაიონში რუსეთის ჯარების შეყვანის საკითხს, რაკი, სამხედრო თვალსაზრისით ყველაფერი მზად არის, თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, მალე დაიწყება თავად ოპერაციაც.

მთლიანად მომზადებულია სანქტ-პეტერბურგისა და ვოლგისპირეთის ოლქებში დისლოცირებული სამშვიდობო დივიზიების შემადგენლობის სამი მოტომსროლელი ბატალიონი, რომლებსაც წილად ხვდათ პატივი პირველებს დაეწყოთ აფხაზეთში შეიარაღებულ შეტაკებათა შეწყვეტის კეთილშობილური ამოცანის შესრულება. ამრიგად, ამოქმედდება 1,5 ათასი „ცისფერჩაფხუტიანი“.

საქმე ძალიან ბევრია გასაკეთებელი, უწინარეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს სატრანსპორტო მაგისტრალების ბლოკადის მოხსნა, ამასთან უზრუნველყოფილი იყოს მათი მუდმივი დაცვა. ამიტომ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალს დაევალა მოამზადოს კიდევ სამი ბატალიონი სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისთვის.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ერთიანი ფორმის ტანსაცმლის დადგენის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ერთიანი ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და განმასხვავებელი ნიშნების დადგენის მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ერთიანი ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და განმასხვავებელი ნიშნების დამდგენი კომისია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ ვარდიკო ნადიბაიძის თავმჯდომარეობით.

კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, მრეწველობის, ფინანსთა, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროების, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და ეროვნული გვარდიის სამმართველოს წარმომადგენლები.

კომისიის თავმჯდომარემ გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნადიბაიძემ ათი დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს წინადადებები კომისიის პერსონალური შემადგენლობის შესახებ და სამუშაო გეგმის პროექტი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ერთიანი ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და განმასხვავებელი ნიშნების დამდგენ კომისიას ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების საზაფხულო და საზამთრო საპარადო, საპარადო-გამოსასვლელი, ყოველდღიური, საველე და სამუშაო ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშები და მათი ტარების წესი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებლის ესმ-თბილისის სტუდენტთა სამხედრო მომზადების შესახებ

საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის სამხედრო მომზადების აუცილებლობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ტარდება მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრულ უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო მომზადება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საფრანგეთ-საქართველოს ერთობლივი უმაღლესი სასწავლებლის ესმ-თბილისის სტუდენტთა სამხედრო მომზადება მოეწყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის ბაზაზე.
2. სამხედრო მომზადება მოეწყოს მართვის სისტემების ოფიცრის სამხედრო სპეციალობით, წელიწადში 20-30 კაცის რაოდენობით.
3. სამხედრო მომზადების დაფინანსება განხორციელდეს ესმ-თბილისის ხარჯზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენელთან აფხაზეთის საკითხებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენელთან აფხაზეთის საკითხებში სამუშაო ჯგუფი.

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენლად აფხაზეთის საკითხებში რ. სიჭინავას დანიშვნასთან დაკავშირებით შეუნარჩუნდეს მას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა.

მიიღეს ოფიციალური ცნობა

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ ავღანეთის ისლამური სახელმწიფოს პრეზიდენტის დავალებით ამ ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთში აბდულ ბაჰაბ ასიფის მიენიჭა უფლებამოსილება ხელი მოაწეროს საქართველოს რესპუბლიკასთან ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის ელჩების დონეზე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

უმოკლესი გზა აფხაზეთისაკენ

ამბობენ, დღეს გასაკვირი არაფერიაო, მე კი ჯერჯერობით რაღაც-რაღაცეები მაინც მიკვირს. თუნდაც ის, რომ ზოგს დეპუტატობა უნდა, პარლამენტში სხდომებზე დასწრება კი — არა. მიკვირს და, რა ვქნა? ხალვათობა იყო 14 ივნისის სხდომაზეც. მაგრამ თერთმეტი საათისთვის კვორუმი როგორღაც შედგა, სხდომაც გაიხსნა. ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ დღის წესრიგიდან გადახვევის უფლება არავის მისცა და დღეც ნაყოფიერი გამოდგა. აშკარაა სპიკერმა სპიკერობა დაიწყო.

კვლავ გადაიდო წლევანდელი მეორე კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის განხილვა. რესპუბლიკაში საფინანსო ურთიერთობათა მოწესრიგებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების შესახებ დადგენილების პროექტი კი გადაეცა მინისტრთა კაბინეტსა და ეროვნულ ბანკს, რომლებმაც ერთი კვირის ვადაში პარლამენტს უნდა წარუდგინონ საკუთარი დასკვნებითა და წინადადებებით.

პარლამენტმა თითქმის ერთსულოვნად მიიღო რამდენიმე დადგენილება და კანონი. კერძოდ: კანონი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ და დადგენილება, რომ კანონი გამოქვეყნებისთანავე შევა ძალაში; კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის, სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ. პარლამენტის დადგენილებით საქართველო შეუერთდა კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში შავიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის კონვენციას. ქობულეთის რაიონის ულიანოვკის თემსა და სოფელ ზედა ულიანოვკას კი შეეცვალა სახელი: ეწოდათ საჩინოს თემი და სოფელი საჩინო. დასაბვეჭდად გადაიდო საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის თანხების შესახებ დადგენილება.

დღის მეორე ნახევარი, რომელიც ძირითადად განცხადებებს დაეთმო, გამწვავდა გაერთიანებული რესპუბლიკური ფრაქციის განცხადების შემდეგ. ჩანქვა, რომ მდინარე ენგურის გასწვრივ დგება გუდაუთის საპარაშუტო-სადესანტო პოლკი. ეს ჯაბა იოსელიანმა უარყო და გამიზნული პროვოკაცია უწოდა, რადგან, მისი სიტყვებით, შეთანხმებაში ნათლად წერია, სამშვიდობო მისიაში ჯარის რომელი ნაწილები მიიღებენ მონაწილეობას. თანდათან კამათი უმართავი გახდა და სპიკერმა სხდომა შეწყვიტა.

სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების თაობაზე მწვავე კამათი გუშინ რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდა. სხდომის დასაწყისში სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ**:

თუკი სამშვიდობო ოპერაცია განხორციელდება და იგი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება, განხორციელდება იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც საქართველოს დელეგაციამ, ბატონმა ჯაბა იოსელიანმა, გენერალმა ვლადიმერ ჩიქოვანმა და სხვებმა ხელი მოაწერეს მოსკოვში. ჩვენი საუბრები გუშინ, კონტაქტი რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან, ამიერკავკასიის დაჯგუფების ხელმძღვანელებთან, ბატონ ნადიბაიძის გუშინდელი სატელეფონო საუბრები რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან ადასტურებს, რომ, თუ განხორციელდება სამშვიდობო ოპერაცია, განხორციელდება წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, და იმ ნაწილების მონაწილეობით, რომლებზეც ადრე შევთანხმდით.

პირადად ჩემი აზრით, ოპერაციის განხორციელებაზე უარის თქმა, ამ საკითხის ბლოკირება დანაშაული იქნება დღევანდელობისა და მომავლის წინაშე. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ამ სამშვიდობო ოპერაციაზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი, აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა ახლაც და მომავალშიც. ეს ოპერაცია გადამწყვეტ როლს შეასრულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, ორ სახელმწიფოს შორის ახალი დამოკიდებულების მშენებლობაში. მე არ შემიძლია ვიყო უმადური. ჩემი პრინციპი, ჩემი ზნეობა მაქვს, ისევე როგორც თითოეულ თქვენგანს. მინდა ვიყო სამართლიანი და მადლობის სიტყვებით მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი და მისთვის ძნელი გადაწყვეტილება მიიღო. მინდა მადლობა ვუთხრა შეიარაღებულ ძალებს, ყველა ჯარისკაცსა და ოფიცრებს, გენერალს, ვინც თანხმობას განაცხადებს (ახლა უკვე ასე დგას საკითხი) სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობაზე. ასევე მადლობას ვწირავ ჯარისკაცების დედებს, რომელთა შვილებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ოპერაციებში და დაეხმარებიან საქართველოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადარჩენაში; ქართველთა, აფხაზთა, რუსთა და სხვადასხვა ხალხთა ახალი ურთიერთობის მშენებლობაში აფხაზეთში. ნურავის ჰგონია, რომ ცხელ წერტილებში შვილების გაგზავნას რომელიმე ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში, დედები, მამები, ოჯახის წევრები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებებოდნენ. მადლობის სიტყვებით მივმართავ გაეროს, უშიშროების საბჭოს, გენერალურ მდივანს, რომლებიც განუხრელად უჭერდნენ და უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მთლიანობასა და განუყოფლობას. მადლობა მინდა მოვახსენო მათ მეთვალყურეთა მანდატის გაფართოებისათვის, იმ დიდი ფასდაუდებელი სამუშაოებისათვის, რომლებიც უნდა შეასრულონ (ეს განსაკუთრებით ლტოლვილთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა) ლტოლვილთა კომისარიატმა და რომლებიც დაკავშირებული იქნება თითოეული ოჯახის დაბრუნებასთან, მოწყობასთან, მატერიალურ-ფინანსურ უზრუნველყოფასთან, რეგისტრაციასთან და ასე შემდეგ, მათი სახელითაც, მადლითაც, და ვინც მხარს მიჭერს, მათი სახელითაც, მადლობას ვწირავ თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებს, რომლებმაც გაგვიგეს და მხარში ამოგვიდგნენ. არცთუ ისე იოლი გადაწყვეტილების მიღებაში. მინდა ასევე გავიხსენო და მადლობის სიტყვებით მივმართო ჩვენი მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკური მოწესრიგების ურთულეს პროცესში, ეს სამუშაო ჯერ კიდევ წინაა. მათ ბევრის გაკეთება შეუძლიათ და მათი წვლილიც სათანადოდ უნდა შევაფასოთ. მინდა ასევე გამოვთქვა რწმენა, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების გადაწყვეტილებებს სამშვიდობო მისიის განხორციელების თაობაზე მხარს დაუჭერს საქართველოს მოსახლეობა, მხარს დაუჭერენ ლტოლვილები — ჩვენი სისხლი და ხორცი, მრავალტანჯული ჩვენი დები და ძმები, შვილები, მხარს დაუჭერენ არა მარტო ქართველები, არამედ აფხაზებიც, რომელთათვისაც სამშვიდობო მისია, ეს აქცია ისევე აუცილებელია როგორც ქართველებისათვის, როგორც მთლიანად საქართველოსათვის. მე ხალხის და ლტოლვილების მხარდაჭერაზე ცოტა უფრო გაბედულად ვლაპარაკობ ახლა, რადგან ვიცი, განწყობილება ისეთია, რომ მოსახლეობა, ძირითადი ნაწილი მოსახლეობისა, ამ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში, სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. მჯერა, რომ ჩვენი მოქალაქეების ყურადღების ცენტრშია დღევანდელი სხდომა და ისინი დარწმუნებული არიან, რომ პარლამენტი ამჯერადაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდება.

საქართველოს პარლამენტში

სხდომაზე მწვავე კამათი გაიმართა წინა დღეს „რესპუბლიკელთა“ ფრაქციის მიერ გაკეთებული განცხადების გამო. გამოქვეყნდა აფხაზეთიდან დროებით გადმოსახლებულთა დეპეშის ტექსტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინისადმი. მასში ლტოლვილები მთლიანად უჭერენ მხარს სახელმწიფოს მეთაურის კურსს აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. გამოქვეყნდა აგრეთვე პარლამენტის უმრავლესობის განცხადება. იგი გამოხატავს უმრავლესობის მხარდაჭერას სახელმწიფოს მეთაურის კურსისადმი და გმობს „რესპუბლიკელთა“ ფრაქციის პოზიციას.

სიტუაცია განსაკუთრებით, დღის მეორე ნახევარში დაიძაბა, მიუხედავად სპიკერის მრავალგზის მცდელობისა, წესრიგის დაცვა თითქმის შეუძლებელი შეიქნა. არც კვორუმი შედგა და სხდომა შეწყდა.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„სრ“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

ახლა წყდება 300 ათასი ლტოლვილის ბედი

მხარს უჭერენ აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებას

აფხაზეთის მშვიდობიანი დეოკუპაციის პროცესის ჩაშლის მცდელობამ სასოწარკვეთა გამოიწვია აფხაზეთიდან დევნილ ქართულ მოსახლეობაში, ახლა წყდება 300 ათასი ლტოლვილის ბედი.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დეპეშებს გზავნის ასობით ლტოლვილი, დევნილ მოქალაქეთა სახალხო მოძრაობა „მშობლიური და მშვიდობიანი აფხაზეთისთვის“. ისინი აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ზოგიერთი პარლამენტარი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების იმ კურსის წინააღმდეგია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ადგას. დეპეშების ავტორები მოითხოვენ, პარლამენტმა გაითვალისწინოს მათი მდგომარეობა და დააჩქაროს აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის პროცესი.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის ზონაში შეხიზნული აფხაზეთიდან დევნილები უკიდურესად აღშფოთებული არიან და კატეგორიულად გმობენ საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრის მცდელობას ჩაშალოს აფხაზეთში, კონფლიქტის ზონაში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების შეყვანის პროცესი.

მხარს ვუჭერთ აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებას, სამშვიდობო პროცესის დაწყებას და მისი ჩაშლის შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას დაუყოვნებლივ მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ფორმას.

მიღებულია ლტოლვილთა და დევნილთა შეკრებაზე ზუგდიდში, 1994 წლის 15 ივნისს, 9.00 საათზე.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაცია ერთსულოვნად და უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და აფხაზეთში გაეროს ეგიდით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების შეყვანას.

კატეგორიულად ვგმობთ ზოგიერთი პოლიტიკური ძალის პრესაში და პარლამენტში გამოთქმულ დესტრუქციულ მოსაზრებებსა და პოზიციებს, რომლებიც ხელს უშლიან აფხაზეთში ლტოლვილთა და დევნილთა ღირსეულ დაბრუნებას და, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის აზრს.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტი ხელიდან არ გაუშვებს პრობლემის მოგვარების ამ ისტორიულ შანსს, მიიღებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომელსაც მისგან მოელის ასობით ათასი დევნილი და ხიზანი მოსახლეობა.

მიღებულია საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე, 1994 წლის 15 ივნისს.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

ჩვენ, კახეთის რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან ლტოლვილები, შეგვაშფოთა ინფორმაციამ აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის პროცესის ჩაშლის მცდელობასთან დაკავშირებით.

ვგმობთ რა აფხაზეთში გაეროსა და რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების შეყვანის პროცესის დაწყების ხელშემშლელ ყოველგვარ ფაქტს, ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის კურსს, რათა ლტოლვილები უმოკლეს დროში დაბრუნდნენ აფხაზეთში, აღდგეს სამართლიანობა და მშვიდობა ამ მრავალტანჯულ მიწაზე.

-მიღებულია დედოფლისწყაროში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა შეკრებაზე, 1994 წლის 15 ივნისს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში მყოფი ლტოლვილები, 80 ათასზე მეტი კაცი, ერთხმად ვუჭერთ მხარს თქვენს კურსს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე. გვეყო სისხლისღვრა, გვეყო მსხვერპლი, უკიდურესობამდეა მისული ჩვენი მდგომარეობა, ყოველგვარი რესურსი ამოწურულია. ხალხმა მათხოვრობა დაიწყო. ამჟამად ყოველი დაგვიანებული წუთი აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩვენთვის. ვინც ახალი სისხლისღვრისაკენ მოგვიწოდებს, მათ ალბათ, არა აქვთ გათვალისწინებული ჩვენი მდგომარეობა და მოსალოდნელი ახალი საშინელებანი. ჩვენ განსაკუთრებით აღგვაშფოთა 14 ივნისს პარლამენტის სხდომაზე ზოგიერთი პარლამენტარის უპასუხისმგებლო, უსაფუძვლო, ურაპატრიოტულმა გამოსვლებმა. გთხოვთ, მიიღოთ ყოველგვარი შესაძლო ზომა, რათა დაჩქარდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალების შემოყვანა.

აფხაზეთიდან ლტოლვილთა სახელით მიმართვას ხელს აწერს 60-ზე მეტი მოქალაქე.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

აფხაზეთიდან დევნილი ხიზნები, რომლებსაც ამჟამად ულტერნატივოდ მიგვაჩნია აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის დაწყება და აფხაზეთში გაეროს ეგიდით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების შეყვანა, ვგმობთ მისი ჩაშლის ყოველგვარ მცდელობას, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი.

ჩვენ სავსებით ვენდობით და ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის საქმეში და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტს ეყოფა პოლიტიკური სიბრძნე და წინდახედულება არ დავკარგოთ ეს ისტორიული, იქნებ უკანასკნელი შანსი.

მიღებულია აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლების შეკრებაზე, ქალაქი თბილისი, 1994 წლის 15 ივნისი. 10.00 საათი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს

მადლობას მოგახსენებთ თქვენ და საქართველოს მთავრობას იმ უდიდესი ძალისხმევისათვის, რომელსაც ეწევით აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით და იმედით მოველით სამშვიდობო ძალების შეყვანას და ჩვენს დაბრუნებას მშობლიურ ადგილებში. ისევე როგორც ყველგან, სამწუხაროდ, ჩვენთანაც არიან დესტრუქციული ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ პრობლემის მშვიდობიანი პოლიტიკური გადაჭრა. მაგრამ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ვგმობთ მათ ავანტიურიზმს და მთლიანად ვუჭერთ მხარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის კურსს. იმედი გვაქვს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს.

აფხაზეთიდან დროებით გადმოსახლებულნი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის — პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სატელევიზიო გამოსვლაში ყოველმხრივი ობიექტური შეფასება მიეცა საქართველოში არსებულ ვითარებას, ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის ყველა ასპექტს, აფხაზეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების შეყვანას, როგორც პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ ისტორიულ შანსს.

აფხაზეთიდან ლტოლვილები, მიმოფანტულები მთელ საქართველოში, იწონებენ, მხარს უჭერენ საქართველოს ხელისუფლების, მთავრობის კურსს და მოელიან მშობლიურ კერებში უმოკლეს დროში დაბრუნებას, სისხლისღვრის შეწყვეტას, მშვიდობისა და თანხმობის აღდგენას აფხაზეთის მრავალტანჯულ მიწაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, გამოხატავს რა მშობლიური მიწიდან გამოდევნილი ასეული ათასობით ადამიანის მოთხოვნასა და სასიცოცხლო ინტერესებს, ჩვენი დროის მკაცრი რეალობის გათვალისწინებით ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლებას, სახელმწიფო მეთაურს სამშვიდობო ოპერაციის დაწყების თაობაზე და მიაჩნია იგი ერთადერთ ულტერნატივო გადაწყვეტილებად.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც მისგან მოელის ასეულ ათასობით დევნილი და ხიზანი მოსახლეობა, მთელი საქართველო.

ზუგდიდში ჩავიდნენ რუსი და ქართველი სამხედროები

როგორც საქინფორმის კორესპონდენტი ზუგდიდიდან იტყობინება, დღეს თბილისიდან ზუგდიდში ვერტმფრინავით ჩამოვიდნენ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილე საგანგებო სიტუაციათა საკითხებში, სამშვიდობო ოპერაციის სამხრეთის ზონის სარდალი გენერალ-მაიორი ალექსი პოტაპოვი და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ოფიცერთა ჯგუფი. [illegible]ან ერთად ზუგდიდში [illegible] საქართველოს რესპუბლიკის [illegible] ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩიქოვანი. ზუგდიდის საქალაქო სტადიონის ფეხბურთის მოედანზე, სადაც 14 საათსა და 15 წუთზე დაეშვა ვერტმფრინავი, რუსეთისა და საქართველოს სამხედროებს დახვდნენ ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ედიშერ ჩარგაზია, ქალაქის პოლიციის უფროსი კუკური ადამია, ქალაქის ასობით მცხოვრები, ქართველი და საზღვარგარეთელი კორესპონდენტები. ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში გენერალ-მაიორმა პოტაპოვმა თქვა, რომ ზუგდიდში მათი ჩამოსვლის მიზანია ადგილის რეკოგნოსცირება: სამშვიდობო ქვედანაყოფების დისლოკაციის მომავალი ადგილების დათვალიერება და სამშვიდობო ძალების განლაგების საკითხების გადაწყვეტა. როგორც მან შენიშნა, ზუგდიდის რაიონში სამშვიდობო ოპერაციის დროს ყოველგვარი მოქმედება შეთანხმებული იქნება ქართულ მხარესთან. გენერალ-მაიორმა პოტაპოვმა თქვა, რომ 15 ივნისს საღამოს იგი აპირებს სოხუმში გამგზავრებას, სადაც შეხვდება იქ მყოფ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევს — მთელი სამშვიდობო ოპერაციის სარდალს.

პოტაპოვმა დაადასტურა, რომ 15 ივნისს რუსეთიდან ჩამოსულმა მესანგრეებმა დაიწყეს ადგილის განაღმვა აფხაზეთის გალის რაიონის ტერიტორიაზე.

დღესვე საღამოს, 16 საათსა და 30 წუთზე, გენერალ-მაიორი ალექსი პოტაპოვი და მისი თანმხლები რუსი ოფიცრები, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩიქოვანთან ერთად, მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდთან შეხვდნენ სოხუმიდან ჩამოსულ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ კონდრატიევს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გენერალ-მაიორმა ალექსი პოტაპოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განიხილეს ფართომასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაციის დასაწყებად მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე შეათანხმეს ამ ოპერაციის განხორციელების კონკრეტული დეტალები.

შეკითხვას, როდის დაიწყება ათიათასობით ლტოლვილის მასობრივი დაბრუნება გალის რაიონში. გენერალმა პოტაპოვმა უპასუხა, რომ ამისთვის საჭიროა მდინარე ენგურზე აღდგეს ადრე აფეთქებული ერთი დიდი ცენტრალური საავტომობილო ხიდი. ამ ხიდზე ახლა მხოლოდ ფეხით შეიძლება გავლა, მოძრაობასა და მრავალრიცხოვან ლტოლვილთა გადასაყვანად კი საჭიროა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ხიდზე მოძრაობას შეძლებენ მხოლოდ 30-მეტრიანი მალის აღდგენის შემდეგ.

თენგიზ პაჭკორია.

გაეროს მეთვალყურენი — სოხუმში

გუშინ სოხუმში ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოთხი სამხედრო მეთვალყურე. გადაწყვეტილია, რომ მდინარე ენგურის გაყოლებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების განლაგების ოპერაციის ფარგლებში, ჯარების შეყვანის ზონაში, სულ გაიგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 88 მეთვალყურე.

შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთან

15 ივნისს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტს სერგეი შურიგინს. ფონდი დაინტერესებულია იმით, რომ კერძო ინვესტორები შევიდნენ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ბაზრებზე. 14 ივნისს ხელი მოეწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციების ჩადებას საქართველოში სადაზღვევო სისტემის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის. შეიქმნება სადაზღვევო და საგირავნო ფონდები.

სტუმარმა ერთგვარი გაკვირვებითაც კი აღნიშნა ის სტაბილური ვითარება, რომელიც მას საქართველოში დახვდა და აღნიშნა, რომ ეს გახდება უცხოელ ინვესტორების გააქტიურების საფუძველი.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა მოახსენა ბატონ ს. შურიგინს თანამშრომლობისთვის.

მერვე სვეტი

არჩევნების შედეგები

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, 12 ივნისს გამართული ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატების არჩევნები სამეგრელოს რეგიონში — ზუგდიდში, წალენჯიხასა და ჩხოროწყუში ნორმალურ ვითარებაში წარიმართა. ზუგდიდში პარლამენტარად აირჩიეს ოთარ ფაცაცია, წალენჯიხაში — ვალერი ჭანტურია, ჩხოროწყუში — ავთანდილ ტუღუშაშვილი.

რაც შეეხება რუსთავს, იქ სამწუხარო ფაქტი მოხდა. ამჟამად საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს ამომრჩეველთა საჩივრებს, სერიოზულ დარღვევებს, რომლებიც აღინიშნა ზოგიერთ საარჩევნო უბანში. შემდეგ ამ მასალებს გამოუგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც იმსჯელებს ქალაქ რუსთავში გამართული არჩევნების შესახებ.

კრედიტის მოლოდინში

შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტემპის გასწრებით მიმდინარეობს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფა. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, 14 ივნისისათვის მოკრეფილია დაახლოებით 15 ათასი ტონა მწვანე ფოთოლი. ეს 6700 ტონით აღემატება შარშანდელს. დღეში 800 ტონაზე მეტი ნედლეული იკრიფება. საგრძნობია ერთი პრობლემის სიმწვავე: მეჩაიეებისთვის მათი შრომის ასანაზღაურებლად, აგრეთვე სასუქების, სათბობისა და სხვა რესურსების მომწოდებლებთან ანგარიშსწორების მიზნით კრედიტის გამოყოფა.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკასა და მონღოლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა მონღოლეთში.

მონღოლეთში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად დამტკიცდა გურამ არეშიძე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საპარლამენტო ფრაქციის შესახებ

მუხლი 1. საპარლამენტო ფრაქცია (შემდგომში — ფრაქცია) არის ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელსაც პარლამენტის წევრები ქმნიან საერთო პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად.

დაუშვებელია ფრაქციის სახით პარლამენტის წევრთა ისეთი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს პირადი, პროფესიული თუ ადგილობრივი ინტერესების დაცვას.

მუხლი 2. ფრაქციის შექმნის უფლება აქვს პარლამენტის სულ ცოტა 10 წევრს, რომელთა უფლებამოსილება პარლამენტისათვის ცნობილია.

პარლამენტის წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

მუხლი 3. ფრაქციის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით.

ფრაქცია ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით მისთვის მინიჭებულ უფლებებს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 4. ფრაქციის რეგისტრაციისათვის ფრაქციის თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს პარლამენტის სპიკერს.

განცხადებაში აღინიშნება საპარლამენტო ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, ფრაქციის თავმჯდომარის, სხვა ხელმძღვანელი პირებისა და წევრთა ვინაობა.

განცხადებას თან ერთვის საპარლამენტო ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება.

შემოსულ დოკუმენტებს პარლამენტის სპიკერი წარუდგენს საქართველოს პარლამენტის კოლეგიის უახლოეს სხდომას, რომელიც წყვეტს ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს.

პარლამენტის წევრებს, რომლებსაც უარი ეთქვათ საპარლამენტო ფრაქციის რეგისტრაციაზე, უფლება აქვთ კოლეგიის ასეთი გადაწყვეტილება გააპროტესტონ პარლამენტის წინაშე, რომლის დადგენილება საბოლოოა.

ინფორმაცია საპარლამენტო ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ და ფრაქციის დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტი გამოქვეყნდება „საქართველოს პარლამენტის უწყებებში" და ეცნობება პარლამენტს.

მუხლი 5. საპარლამენტო ფრაქცია უფლებამოსილია;

ა) წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის კომისიებისა და პარლამენტის კოლეგიის მუშაობაში;
ბ) მოითხოვოს დროებითი კომისიის შექმნა;
გ) მოითხოვოს სახელობითი კენჭისყრის ჩატარება;
დ) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში;
ე) განახორციელოს ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით მისთვის მინიჭებული უფლებები.

მუხლი 6. ფრაქციის შიდასაორგანიზაციო საკითხებს ამ კანონის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად აწესრიგებს ფრაქციის წესდება.

მუხლი 7. პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან, რის შესახებ, ის წერილობით აცნობებს ფრაქციის თავმჯდომარეს და პარლამენტის სპიკერს.

ფრაქციას შეუძლია წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის წევრი გარიცხოს ფრაქციიდან, რის შესახებაც, აცნობებს პარლამენტის სპიკერს.

ფრაქციას უფლება აქვს თავის შემადგენლობაში მიიღოს ახალი წევრი, რის შესახებ აცნობებს პარლამენტის სპიკერს. შეტყობინებას თან ერთვის პარლამენტის წევრის განცხადება.

ფრაქცია, რომლის წევრთა რაოდენობა მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად 10-ზე ნაკლები ხდება, გაუქმებულად ჩაითვლება, თუ ორი კვირის ვადაში ეს რაოდენობა არ შეივსება ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცით დადგენილ ნორმამდე.

მუხლი 8. ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის სხვა ხელმძღვანელი პირების გადაყენების, გადარჩევის, გადადგომის ან არჩევის, ფრაქციის დამფუძნებელ დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ პარლამენტის სპიკერს აცნობებენ სამი დღის ვადაში.

მუხლი 9. ინფორმაციას ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ აცნობებენ პარლამენტს და გამოქვეყნდება „საქართველოს პარლამენტის უწყებებში".

მუხლი 10. ფრაქციის მიერ პარლამენტში გავრცელებულ ყველა დოკუმენტს ხელს აწერენ ფრაქციის ხელმძღვანელი პირები.

მუხლი 11. ფრაქციის წევრს, რომელიც, რომელიმე საკითხის გამო, ფრაქციის პოზიციას არ იზიარებს, უფლება აქვს, გამოთქვას განსაკუთრებული აზრი.

მუხლი 12. ფრაქციის საქმიანობისათვის იქმნება სათანადო პირობები.

ფრაქციას სხდომათა დარბაზში გამოეყოფა შესაბამისი ადგილი, ხოლო პარლამენტის შენობაში სამუშაო ფართი.

ფრაქციის საქმიანობას უზრუნველყოფს ფრაქციის აპარატი, რომლის ორგანიზაციას, საშტატო ოდენობას და ანაზღაურების პირობებს განსაზღვრავს პარლამენტი.

ფრაქცია სარგებლობს პარლამენტის დამხმარე ორგანოების მომსახურებით.

მუხლი 13. ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა პარლამენტის ორგანოებში, როგორც წესი, განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. ფრაქციებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ საპარლამენტო კოალიციაში.

საპარლამენტო კოალიციის შექმნის შესახებ პარლამენტს ეცნობება უახლოეს პლენარულ სხდომაზე. კოალიციის საქმიანობას არეგულირებს მისი შინაგანაწესი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

იუსტიციის სამინისტროს
განცხადება
მოქალაქეთა, სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საყურადღებოდ

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება. ამასთანავე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობების ან ქონებრივი ვალდებულებების არსებობისას, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა არსებითს ინტერესებთან.

„საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 25 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 28-ე პუნქტის შესაბამისად, იმ პირთა სია, რომლებიც იუსტიციის სამინისტროში განცხადებას შეიტანენ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე, პერიოდულად უნდა გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში, რათა მოქალაქეებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ორგანოებმა, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს ქონებრივი ვალდებულებები ან შეუსრულებელი მოვალეობები, გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, სააღმსრულებლო ფურცელი და სხვა). **მისამართი: 380046, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო. ტელეფონები: 99-67-98, 99-08-44, 99-05-23.**

დღეს ვაქვეყნებთ მონაცემებს იმ ხუთი მოქალაქის შესახებ, რომლებმაც იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ:

1. **ვარაზდატ არუთინის ძე ჩატაჯიანი.** დაბადებული 1924 წელს, ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანში, მცხ. ქ. თბილისი, თემქა, 80-19 კვ. მე-13 კორპ. ბინა № 6.
2. **ვალენტინ ვლადიმერის ძე პანფილოვიჩი.** დაბადებული 1936 წელს, ქ. ჩერნიგოვში, ცხოვრობდა ქ. თბილისში გლდანის 3-ა მ/რ, კორპ. 24, ბინა № 61. ამჟამად ცხოვრობს უკრაინაში.
3. **ალა ლეონიდის ასული პანფილოვიჩი,** დაბადებული 1937 წელს, ქ. ჩერნიგოვში, ცხოვრობდა ქ. თბილისში, გლდანის 3-ა მ/რ კორპ. 24, ბინა 61, ამჟამად ცხოვრობს უკრაინაში.
4. **ვალენტინა ვლადიმერის ასული პანფილოვიჩი.** დაბადებული 1969 წელს, დაბა მანგლისში, ცხოვრობდა ქ. თბილისში, გლდანის 3-ა მ/რ. კორპ. 24. ბინა 61. ამჟამად ცხოვრობს უკრაინაში.
5. **ლუკერია ნიკოლოზის ასული ციბულკინა.** დაბადებული 1925 წელს ნინოწმინდის რაიონის სოფელ კალინინში, მცხ. ქ. თბილისში, გვეტაძის ქ. № 8.

10-12 ივნისს სტამბოლში გაიმართა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი შეხვედრა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე. მისმა წინადადებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან განხილული იყო ევროპაში უშიშროების განმტკიცების, ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ევროპულ პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობისა და ამ სახელმწიფოთა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობები.

ვბეჭდავთ ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძის გამოსვლის ტექსტს.

გზად მომავლისკენ!

ერთადერთი გამოსავალია ინტეგრაცია

ბატონო თავმჯდომარე,
ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია თქვენს წინაშე გამოსვლა, მით უმეტეს, ისტორიის ისეთ მონაკვეთში, როცა დღეს თანამედროვეობის პოლიტიკური ლიდერები შეიკრიბნენ, რათა უსაფრთხოების ახალი სტრუქტურები ააგონ, რომლებიც თავის მხრივ, ევროპის მომავალი არქიტექტურის საფუძველს შექმნიან.

საკითხები, რომლებიც დღევანდელ შეხვედრაზე განიხილება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემი ხალხისათვის, რადგან მე წარმოვადგენ იმ ქვეყანას, რომელიც თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუდამ დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის იბრძოდა. პარადოქსია, მაგრამ საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველო აგრესიული სეპარატიზმის მსხვერპლი გახდა: 30 ათასი მოკლული, 300 ათასი ლტოლვილი საკუთარ მიწაზე, მოშლილი ეკონომიკა და დანგრეული ქალაქები, არარსებული ინფრასტრუქტურა — ასეთია ჩემს ქვეყანაზე თავს მოხვეული ომის შედეგების არასრული ჩამონათვალი.

გასული რამდენიმე წლიწადი უფრო დატვირთული ისტორიული მოვლენებით, ვიდრე გავლილი ორი ათწლეული. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა თურქეთის წვლილისა და პასუხისმგებლობის ზრდა ევროპასთან დაახლოების, გაეროსთან, ნატოსთან და ევროთათბირთან ურთიერთობის გაღრმავების, აგრეთვე შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის კონტექსტში. მე, როგორც ქართველს, გამიმართლა ვიყო თურქეთთან არა მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ურთიერთგაგების დამყარების, არამედ გლობალურ პრობლემათა ირგვლივ აზრთა დამთხვევისა და მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობის მომსწრე იმ სფეროებში, სადაც ერთობლივი საქმიანობა გვჭირდება.

ცივი ომი ისტორიას ჩაბარდა და გაჩნდა იმედი, რათა ევროპა მშვიდობიანი თანამშრომლობის, განვითარებისა და კეთილდღეობის, სანიმუშო მაგალითად იქცეს. თუმცა, ეს ოცნებაც უბრალო ისტორიულ ეპიზოდად შეიძლება იქცეს, თუ არ მოხდება პოსტკონფრონტაციული მშვიდობის მონაპოვართა დაცვა.

ნატოს ახალი ინიციატივა — „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ჩემს ქვეყანაში სწორედ ამ მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებად აღიქმება.

ასეთი რწმენა მომდინარეობს არა მხოლოდ საქართველოს პრივატული ინტერესებიდან (თუმცა, მათი მნიშვნელობა ჩვენთვის უპირატესია), არამედ გლობალური პროცესების გააზრებისა და უსაფრთხოების ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბების აუცილებლობიდან მთელს სივრცეზე, ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე.

საქართველოს შესწევს ევროპულ პროცესში აქტიური როლის შესრულების უნარი, განსაკუთრებით, დაბალანსებული და აქტიური რეგიონული პოლიტიკის განხორციელებით.

არის რა ნატოს სამხრეთი ფლანგი და პარალელურად ბისეკის წევრი, საქართველო ყოველ ღონეს იხმარს რეგიონში უსაფრთხოების დამყარებისა და შენარჩუნებისათვის.

მოცემული პროგრამა მომავლის პერსპექტივის თვალსაზრისით უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ეს მის დოკუმენტებშია წარმოდგენილი. მაგრამ დღეს საქართველო არსებული შესაძლებლობებით აქტიურად ითანამშრომლებს ნატოსთან ისეთ დარგებში, როგორიც არის ეროვნული თავდაცვის დაგეგმვის ტრანსპარანტობა, საბიუჯეტო პროცესები, თავდაცვით ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, ნატოს პოლიტიკურ და სამხედრო სტრუქტურებში მონაწილეობა, სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო პერსონალის წვრთნა.

ჩვენ გვჯერა, რომ „პარტნიორობა მშვიდობისათვის" მიზანია, ბოლო მოუღოს ევროპაში დაპირისპირებას, მაგრამ ამ პროექტს წარმატება თავისთავად არ ექნება. უბრალო თანამშრომლობიდან რეალურ პარტნიორობაზე გადასვლა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თვით ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებზე.

თუმცა, აღმოსავლეთ ევროპის ლიდერები ნატოს მხრიდან უფრო გადამჭრელ ზომებს ელოდნენ, ჩვენ მაინც გვჯერა, რომ „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (განსაკუთრებით ამ პროგრამაში რუსეთის ჩართვის შემდგომ) ახალი პოლიტიკური რეალიების ჩამოყალიბების ეფექტიანი ინსტრუმენტი გახდება.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის" იძლევა იმის საშუალებას, რომ პოტენციურმა მონაწილეებმა თვითონვე შეარჩიონ და გადაწყვიტონ პროგრამაში თავიანთი მონაწილეობის მასშტაბები.

საქართველომ ხელი მოაწერა ამ პროგრამას და დიდ იმედს ამყარებს პარტნიორობაზე, თუმცა, მხოლოდ დრო თუ განსჯის, რამდენად მართებულია ერთი დასავლელი პოლიტიკოსის აზრი იმის შესახებ, რომ ეს პროგრამა გენერალ მარშალის გეგმის მეორე ნახევარს წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ, გაერთიანებულ და აყვავებულ ევროპას.

იმპულსური ხასიათის ცვლილებებმა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიანობაზე. გამონაკლისი არც ნატოა, თუმცა, ამ უკანასკნელმა მოახერხა დროის დღევანდელ რიტმთან შეთავსება და შესაბამისი ტრანსფორმაცია.

ამის მიუხედავად, არ არის არავითარი გარანტია, რომ მიღწეული იქნება საბოლოო მიზანი — ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება — თუ არ იქნება ყველა ერის, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევა.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის" შეიძლება ასეთი სისტემის ბაზისი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სხვა ევროპული ინსტიტუტების — ევროთათბირისა და ევროკავშირის იმავდროული განვითარება მხოლოდ ევოლუციური პროცესებით, სადაც გამორიცხული იქნება ყოველივე რევოლუციური.

თუკი ოდნავ შევცვლით დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სიტყვებს, ყველა მდიდარი ქვეყანა ერთნაირად მდიდარია, ყველა ღარიბი, კი განსაკუთრებულია თავისი სიღატაკით. მაგრამ, მაინც, არის ერთი რამ, რაც მათ მსგავსებას განაპირობებს — ეს არის მათი არასტაბილურობა და ეკონომიკური ჩამორჩენა.

სულ ახლახან პარიზში მდიდარი და ღარიბი ქვეყნების წარმომადგენლები ევროპაში სტაბილურობის საკითხს განიხილავდნენ, როგორც ამ მეტად მაღალი ფორუმის „ღარიბმა" მონაწილემ, მსურს კიდევ ერთხელ გავიმეორო: ბრძენი ევროპა ხვდება იმას, რომ დამანგრეველი საფრთხე, რომელიც მას ემუქრება, სწორედ არასტაბილურობიდან მომდინარეობს. მაგრამ სწორი დიაგნოზის დასმა დაავადების განკურნების გარანტია როდია. როგორ ვებრძოლოთ არასტაბილურობას, რომელიც ცივი ომის ეპოქის საბჭოთა რაკეტებზე ნაკლებ საფრთხეს არ წარმოადგენს?

ათიოდე წლის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, რომელიც ცნობილი იყო ხუმრობისა და ხალხური სიბრძნის სიყვარულით, ღარიბი ქვეყნების დიდ ფორუმში მონაწილეობდა. როცა გადაწყვიტა არასასიამოვნო შეკითხვიდან ხუმრობით თავის დაძვრენა, რეიგანმა ღარიბი ქვეყნების ლიდერებს ურჩია იმ ლეგენდარული ამერიკელი კოვბოისთვის მიებაძათ, რომელმაც ორმოში ჩავარდნილმა საკუთარი ფეხსაცმლის თასმებით შეძლო ამოსვლა. რა თქმა უნდა, მისაბაძი მაგალითია, მაგრამ ჯერ ფეხსაცმელი და მაგარი თასმებია საჭირო.

შემთხვევით როდი ვახსენე გენერალ მარშალის გეგმა (ევროპელებს ნამდვილად გაუმართლათ, რომ გენერალი ფოლკლორით გატაცებული არ ყოფილა). დღეს ახალი „მარშალის გეგმის" დრო დადგა. გეგმისა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრ კავშირისკენ იქნება მიმართული. 40-იანი წლების „მარშალის გეგმა" ევროპას დაეხმარა ყველაზე დამანგრეველი „ცხელი ომიდან" აღორძინებულიყო. 90-იანი წლების „მარშალის გეგმა" კი მიზნად უნდა ისახავდეს დაეხმაროს როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს თავი დააღწიოს [illegible] „ცივი ომის" მემკვიდრეობას.

მე რეალისტი გახლავართ [illegible] ვიცი: ძნელია დაარწმუნო მდიდარი ქვეყნები, რომ ახალი „მარშალის გეგმა" დააფინანსონ, მაგრამ სასწორზეა არა მარტო ჩვენი, არამედ თვით ევროპის მომავალიც. სტაბილურობის მიუღწევლად კი ამის მიღწევა შეუძლებელია. ალბათ, დიდი ხუმარა რეიგანი ასეთ დროს გაიხსენებდა, რომ „ძლიერი ორჯერ იხდის".

ჩემი გამოსვლა მსურს დავასრულო ჩვენი თურქი მასპინძლების მიმართ მადლობის გამოხატვით, შეხვედრის კარგი ორგანიზაციისა და სამუშაო ატმოსფეროს შექმნის გამო.

ეს უბრალოდ მადლობა როდია, თურქეთი ინიციატორია არაერთი წამოწყებისა ევროპის მასშტაბით. სწორედ თურქეთის იდეა იყო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც, როგორც საქართველოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, გადაიქცევა მაღალი პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული, სამართლებრივი ინტეგრაციის რეგიონულ ორგანიზაციად. აქვე იქნება კონფლიქტთა მოგვარების ცენტრიც.

ერთადერთი რაციონალური გამოსავალი და უკეთესი მომავლის მისაღწევი გზა ინტეგრაციაა. თუ საფრანგეთის პრემიერს ბალადიურს დავესესხებით, ამ კონტექსტში ბისეკმა შეიძლება სტაბილურობის მოდუსის როლი შეასრულოს, და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის სტაბილურობაში.

მაგრამ თავისთავად არაფერი მოხდება, თუ არ იქნება აქტიური დახმარება ევროპის კავშირიდან, ახალი „მარშალის გეგმა" და მჭიდრო თანამშრომლობა. მე ვხედავ ასეთი თანამშრომლობის დიდ პოტენციალს და მომავლისადმი ოპტიმიზმით ვამთავრებ გამოსვლას.

პრივატიზაციის პროცესი უნდა დაჩქარდეს

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი პირობაა. შემთხვევითი როდია, რომ საკითხი თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია, პირველ პუნქტად იყო შეტანილი 8 ივნისს გამართული მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში. სხდომას თავმჯდომარეობდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი. ამ საკითხის, ასევე სხვა განსახილველი პრობლემების დიდმა მნიშვნელობამ და აქტუალურობამ განსაზღვრა კიდეც პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის, პარლამენტის სპიკერის მოადგილის ვახტანგ რჩეულიშვილის მონაწილეობა.

რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის მიმდინარეობა განიხილეს წლევანდელი პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარმოდგენილი მონაცემებით, 1 აპრილისათვის მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებული 4901 ობიექტიდან პრივატიზებულია 1225 საწარმო ანუ 22,2 პროცენტი, რომელთა თანხა 89,1 მილიარდ კუპონს აღემატება, და ექსპლოატაციისათვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელი 9857 ავტომობილიდან — 1,3 მილიარდი კუპონისა, რამაც სულ შეადგინა თითქმის 90,5 მილიარდი კუპონი. პრივატიზებული ობიექტებიდან 454 ობიექტი სავაჭრო, 540 — საყოფაცხოვრებო მომსახურებისა, 138 — ავტოგასამართი სადგური, 7 მცირე ჰიდროელექტროსადგური, 27 სოფლის მეურნეობისა და 24 მრეწველობის ობიექტი, 9 — კვების მრეწველობისა, 3 — სატრანსპორტო საწარმო და სხვ. აუქციონის გზით პრივატიზებულია 25,3 მილიარდ კუპონზე მეტი ღირებულების 578 ობიექტი, რაც 3,2-ჯერ აღემატება მათ სასტარტო ფასს, ხოლო საკონკურსო საფუძველზე — 53,8 მილიარდ კუპონზე მეტი ღირებულების 647 ობიექტი — ამ ობიექტების სასტარტო ფასზე თითქმის 2,5-ჯერ მეტს. ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში გაფორმებულია თითქმის 350 ობიექტზე, 198 მესაკუთრეს კი მიცემული აქვს მოწმობები, რომლებიც ადასტურებენ საკუთრების ფლობის კანონზომიერებას. გამოსყიდვის უფლებით იჯარით გადაცემულ ობიექტთა რიცხვმა კი 270-ს გადააჭარბა. და კიდევ ორი ციფრი: იმ დროს, როცა რესპუბლიკაში სავალდებულო აქციონირებას ექვემდებარება დაახლოებით 900 მსხვილი საწარმო, სადღეისოდ რეგისტრირებულია მხოლოდ 39 სააქციო საზოგადოება.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მინისტრთა კაბინეტმა პრივატიზაციის მიმდინარეობაში აღნიშნა როგორც გარკვეული წარმატებები, ისე სერიოზული ნაკლოვანებანი, ხარვეზები. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა მოაწესრიგოს და დააჩქაროს ეს პროცესი, განახორციელოს იგი ორგანიზებულად, მაღალ სამართლებრივ დონეზე და წარმოადგინოს ანგარიში წლევანდელი ექვსი თვის შედეგების შესახებ.

მინისტრთა კაბინეტმა პრაქტიკულად განუხილველად დაამტკიცა დებულება „საქგაზის" დეპარტამენტის შესახებ, რაც, სამწუხაროდ, არ მოხერხდა რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის შესახებ საკითხის განხილვის დროს. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში დღემდე არ არის კანონი სპორტის შესახებ, ამჯერად იძულებული გახდნენ შემოფარგლულიყვნენ დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციების, მისი სტრუქტურისა და საშტატო განრიგის განსაზღვრით, კოლეგიის დამტკიცებით.

ანალოგიურმა პრობლემამ — ახალგაზრდობის შესახებ კანონის უქონლობამ იჩინა კიდეც თავი, როცა იხილავდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა რესპუბლიკური დეპარტამენტის საქმიანობის საკითხს. მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა დეპარტამენტის ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ და მომავალი საქმიანობის კონცეფცია, განსაზღვრა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის მისი დახმარების ღონისძიებანი. ამას გარდა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას სპეციალური კომისია სახელმწიფო ახალგაზრდული პროგრამის შემუშავების, ახალგაზრდობის შესახებ კანონის მიღების დაჩქარებისათვის.

მინისტრთა კაბინეტმა განიხილა და მთლიანად მოიწონა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმოდგენილი პროექტი კანონისა „საწარმოთა შესახებ", რომელიც პარლამენტის განსახილველად უნდა წარადგინონ. მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილებანი მონღოლეთში, ფინეთში, უზბეკეთში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლობათა შექმნის შესახებ, დაამტკიცეს მათი ხელმძღვანელები, იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება რუსეთისა და თურქმენეთისათვის მიწოდებული პროდუქციის მოცულობა, მიღებულია ეკონომიკის სამინისტროს წინადადება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის — ჩაის, ღვინის, კონიაკის, შამპანურის, სიგარეტის კვოტების შესახებ მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 თებერვლის დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე. განიხილეს აგრეთვე სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვის შემცირების საკითხი: საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციათა შესაბამისად, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ 50 პროცენტით შეამცირონ საშტატო ერთეულები, რომლებიც თავისუფლდება 1994-1996 წლებში სახელმწიფო მოსამსახურეთა პენსიაზე გასვლის შედეგად.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც. კერძოდ, პრინციპული განხილვის საგანი გახდა თვით მინისტრთა კაბინეტის, მისი აპარატის საქმიანობა. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, იგი მოითხოვს მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას.

ედუარდ ედიბერიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ვალები იზრდება, ბიუჯეტი არ სრულდება

შეჯამდა საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ 1994 წლის აპრილის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაში აისახა იმ კრიზისულ მოვლენათა და ტენდენციათა ფინანსური შედეგები, რომლებმაც მთლიანად მოიცვეს რესპუბლიკის ეკონომიკის ყველა დარგი და სფერო.

საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილის ბიუჯეტის შემოსავალმა, მათ შორის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სავალუტო ფონდის შემოსავლებმა, წინასწარი მონაცემებით, 1.341,0 მილიარდი კუპონი შეადგინა, რაც კვარტალური შემოსავლის 20,9 პროცენტია. ამ ბიუჯეტის შემოსავალს აპრილში 797,1 მილიარდი კუპონი დააკლდა.

და განსაკუთრებით დიდია ჩამორჩენა პროგნოზირებული ისეთი სახეობების მიმართ, როგორიცაა დამატებითი ღირებულებისა და აქციზების გადასახადი. კერძოდ, მიმდინარე წლის აპრილში დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხულია სულ 257,5 მილიარდი კუპონი, რაც კვარტალური დავალების 19,7 პროცენტს შეადგენს. ამ შემოსავლის სახით აპრილში რესპუბლიკურ ბიუჯეტს დააკლდა 177,5 მილიარდი კუპონი.

აქციზის სახით რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხულია 130,9 მილიარდი კუპონი, რაც კვარტალური დავალების 20,6 პროცენტს შეადგენს. ამის გამო აპრილში ბიუჯეტის შემოსავალი 80,8 მილიარდი კუპონით ნაკლები იყო.

ძლიერი ჩამორჩენა ბიუჯეტის შესრულებაში დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადისაგან შემოსავლის ნაწილში კვლავ აღინიშნება სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, მრეწველობის სამინისტროსა და „საქენერგოს" დეპარტამენტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხაზით.

„საქნავთობპროდუქტების" კონცერნისა და თბილისის მერიის მიერ ნატურით მიღებული ნავთობპროდუქტების ფიქსირებული გადასახადის აზრით მიმდინარე წლის მეორე კვარტალში უნდა ჩაირიცხოს 400 მილიარდი კუპონი. ფაქტობრივად აპრილში ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხულია 1,7 მილიარდი კუპონი.

ვალუტის გაცვლის პუნქტებისაგან მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 2,8 მილიარდი კუპონი, როცა მეორე კვარტალის პროგნოზული დავალება 181,0 მილიარდ კუპონს ითვალისწინებს. ფაქტობრივად აღნიშნული შემოსავლის ოდენობა იმას მოწმობს, რომ აპრილში ეს გადასახადი გადაიხადა მხოლოდ 30 გამცვლელმა პუნქტმა, თუმცა რესპუბლიკაში ფუნქციონირებს რამდენიმე ასეული პუნქტი..

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1993 წლის დამლევსა და მიმდინარე წლის დამდეგს რესპუბლიკაში რეალიზებული იყო 5 მილიარდი კუპონის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები. სამწუხაროდ, შარშან და მიმდინარე წლის 1 მაისამდე რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხულია სულ 3.267 მილიარდი კუპონი, აქედან აპრილში — 7,2 მილიარდი კუპონი. განსხვავება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ირიცხება საქართველოს რესპუბლიკის საპაიო-კომერციული ბანკის ანგარიშზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში სატრანსპორტო საშუალებათა გასვლის ერთჯერადი გადასახდელები, რასაც რესპუბლიკის საბაჟო სამსახურები ახორციელებენ, შეადგენს 10,5 მილიარდ კუპონს კვარტალური დავალებით გათვალისწინებული 307,5 მილიარდი კუპონის ნაცვლად.

თუ ექსპორტს ხელი მოჰკიდეთ-შეიარეთ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტში

1 ივნისიდან ძალაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება რესპუბლიკაში საექსპორტო, საიმპორტო, საქონელგაცვლის, საკომპენსაციო და სხვა საგარეო-ეკონომიკურ გარიგებათა სავალდებულო წესების შესახებ. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნუგზარ დუჩიძემ ჩვენი კორესპონდენტის თხოვნით ეს სიახლე ასე განმარტა:

— ამ წესების მიზანია საქართველოში რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირებმა, რომლებიც საგარეო-ეკონომიკური გარიგებების განხორციელებისას სახელმწიფო სექტორს წარმოადგენენ, დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები, რათა თავიდან ავიცილოთ იმ ხელშეკრულებათა მოქმედება, რომლებსაც შეუძლიათ ზარალი მიაყენონ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას, გამოიწვიონ სახელმწიფო საკუთრების უმიზნო, უეფექტო გამოყენება და გაფლანგვა. ამიერიდან, დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საგარეო-ეკონომიკურ გარიგებებს, — კონტრაქტები და მათი დამატებები, რეგისტრაციისათვის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა კომიტეტში უნდა წარმოადგინონ.

— რით არის გამოწვეული ეს ღონისძიება?

— როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირება ბევრად არის დამოკიდებული გარედან სხვადასხვა რესურსების შემოტანაზე. მათი საფასური, როგორც წესი, უნდა გადავიხადოთ ვალუტით, თანაც მსოფლიო ფასებით. ამ პირობებში ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კლირინგულ, ბარტერულ და საექსპორტო გარიგებებს. ამასთან, ჩვენი ეკონომიკის კრიზისის პირობებშიც კი ბევრი რამ გვაქვს, რის შეთავაზებაც შეგვიძლია პარტნიორებისათვის: უწინარეს ყოვლისა, ჩაი, ღვინო, ციტრუსები, ზოგიერთი სხვა საქონელი, რომლებზეც რიგ ქვეყნებში დიდი მოთხოვნილებაა, და თანახმა არიან მათ სანაცვლოდ მოგვაწოდონ, მაგალითად, ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბუნებრივი აირი, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ყველა ეს ოპერაცია შეუძლებელია, თუ არ დავაწესებთ მკაცრ კონტროლს იმაზე, თუ სად, რა, რამდენი იწარმოება, იყიდება და ვყიდულობთ. სამწუხაროდ, ასეთი, კონტროლი აქამდე არ არსებობდა.

— მაგრამ, ნუთუ ასე უალტერნატივოა ამგვარი ცენტრალიზაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

— კონტრაქტებს სავალდებულო წესით რეგისტრაციაში ატარებენ სხვა სახელმწიფოებშიც, არამარტო ისეთებში, როგორიც არის ბულგარეთი, არამედ იაპონიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც. საქართველო კი მხოლოდ ახლა შედის საბაზრო ურთიერთობებში. არა გვაქვს ტრადიციები, არ გვყოფნის გამოცდილება, ცოდნა. ამასთან, ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც ცდილობენ (სამწუხაროდ, ზოგჯერ წარმატებითაც) არეულობის, ქაოსის, სამართლებრივი აქტების უქონლობის პირობებში ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ. რა თქმა უნდა, მუდამ ბოროტი განზრახვა როდი უნდა ვიგულისხმოთ: უბედურება უმეტესად გვეწევა ხოლმე კონტრაქტების გაფორმების დროს ელემენტარული უწიგნობის გამოჩენის გამო.

— ხომ არ შეგიძლიათ სანიმუშოდ მოგვიყვანოთ ასეთი არაკომპეტენტურობის მაგალითი?

— საქართველოს ერთ-ერთმა უწყებამ კონტრაქტი გააფორმა 7 მილიონი ლიტრი მცენარეული ზეთის მოწოდებაზე. ტვირთს ნაწილ-ნაწილ გვიგზავნიდნენ. ნავსადგურში გემები მოაცდინეს, ხოლო ტვირთის მიმღებმა დროულად ვერ დააბრუნა ცარიელი კონტეინერები, ამის შედეგად მომწოდებელმა გამოიყენა სანქციები და გამოგვიქვითა 600 ათასი დოლარის ღირებულების 800 ათასი ლიტრი ზეთი.

— რა შემთხვევებში ეტყვით უარს კონტრაქტების რეგისტრაციაზე?

— კონტრაქტის გაფორმების წესებში დამახასიათებელი დარღვევებია: გარიგების გაფორმების დროს საექსპორტო საქონელზე ფასების ხელოვნური დაკლება (საბაჟო გადასახადის შემცირების მიზნით), ჩვენი ექსპორტიორების მხრივ სამართლებრივი დაცვის წესის დარღვევა, საექსპორტო საქონლის ღირებულების საქონლის ან ადეკვატური ღირებულების საქონლის საფასურის დაბრუნების უზუსტო მექანიზმი. ჩვენ მკაცრად დავიცავთ სახელმწიფო ინტერესებს.

ჩვენს გეგმაში არ შედის შევზღუდოთ ინიციატივები საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დროს. ერთნიშნად მხარს დავუჭერთ წარმოების ლიბერალიზაციის კურსს და ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ ქართული ექსპორტის გაფართოებას, დავეხმარებით რაციონალურ იმპორტში. მაგრამ, ბუნებრივია, ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში.

ესაუბრა
ირინე კანდელაკი.

შეხვედრა სამხრეთ აფრიკის ელჩთან

11 ივნისს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აკრედიტებულ ელჩს საქართველოში ლეონ ვან სქოორს.

ცნობები ზუგდიდიდან

14 ივნისს ზუგდიდში ჩამოვიდა გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა პირველი ოთხკაციანი ჯგუფი. ჯგუფს მეთაურობს პოდპოლკოვნიკი ლასლო საბო. ისინი გააკონტროლებენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის დაწყებას. დღის 13 საათზე მეთვალყურეებმა გაიარეს მდინარე ენგურის ზედა ხიდზე და ჩავიდნენ წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში, სადაც მათ მორიგების თანახმად ელოდნენ წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები. იმავე დღეს ჯგუფი დაბრუნდა ზუგდიდში, სადაც მუდმივად იქნება დაბინავებული. ხვალ მოელიან მეთვალყურეთა კიდევ ერთი ჯგუფის ჩამოსვლას.

• • •

14 ივნისს ზუგდიდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია შეხვდა გალის რაიონის აქტივს. განიხილეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა აღრიცხვის საქალაქო და რაიონული კომისიების შექმნის შესახებ. ამ კომისიებმა ხელახლა უნდა გაატარონ რეგისტრაციაში ლტოლვილები და გასცენ მოწმობები. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 12 მაისის დადგენილების საფუძველზე ნავარაუდევია მოწმობების გაცემა დამთავრდეს 20 ივნისისთვის.

შეხვედრაზე განიხილეს სხვა აქტუალური საკითხებიც.

• • •

14 ივნისს ზუგდიდში გაიმართა დასავლეთ საქართველოს ზონაში საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები, პოლიციის განყოფილებათა უფროსები. განიხილეს ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაციისა და ახალ მოწმობათა გაცემის მომზადების დროს წამოჭრილი საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესისათვის მომზადებას. ხაზი გაესვა იმას, რომ ზუგდიდისა და დასავლეთ საქართველოს ახლომდებარე რაიონების მოსახლეობა, აგრეთვე აფხაზეთიდან ათასობით ლტოლვილი, რომლებმაც დროებითი თავშესაფარი ამ რაიონებში ჰპოვეს, დიდ იმედებს ამყარებენ სამშვიდობო ოპერაციაზე, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს.

თამაზ როგავა,
თენგიზ პაჭკორია.
საქინფორმის კორ.

ჩადგმულია 100 ათასი ნაღმი!

განაღმვა აფხაზეთში დაწყებული სამშვიდობო ოპერაციის პირველი ეტაპის ყველაზე რთულ ამოცანად მიაჩნია მის ხელმძღვანელს გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევს.

სოხუმი. 15 ივნისი. (იტარ-ტასი — საქინფორმი.). ადგილმდებარეობის განაღმვა მიაჩნია ყველაზე რთულ ამოცანად აფხაზეთში რუსეთის ჯარების სამშვიდობო მისიის პირველ, მოსამზადებელ ეტაპზე რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევს, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობს. „საომარი მოქმედების ორი წლის მანძილზე. ჩადგმულია დიდძალი ნაღმი და ასაფეთქებელი მოწყობილობა. მათი განლაგების არავითარი რუკა არ არსებობს, ამიტომ მესანგრეებს ძნელი მუშაობა მოუწევთ, რომელსაც რამდენიმე თვე დასჭირდება“, — განაცხადა მან დღეს.

სპეციალისტთა შეფასებით, საქმე ეხება დაახლოებით 100 ათას ნაღმსა და ასაფეთქებელ მოწყობილობას, მათ შორის თვითნაკეთსაც. მარტო მდინარე გუმისთის გაყოლებით, წინასწარი ვარაუდით, ჩადებულია 40 ათასი ნაღმი. ეს, სამხედროთა აზრით, გაცილებით მეტია ვიდრე დნესტრისპირეთში, სადაც მესანგრენი ახლაც — უკვე ორი წელია მუშაობენ განაღმვისათვის. მესანგრეთათვის, რომლებიც უახლოეს დღეებში შევლენ აფხაზეთში, თავდაპირველი ამოცანა იქნება უბნების განაღმვა, სადაც განლაგდება სამშვიდობო ბატალიონების საკომანდო პუნქტები.

მესანგრეებთან ერთად სამუშაოს შეუდგებიან სამხედრო მეკავშირეები. მათ უნდა უზრუნველყონ სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის საიმედო კავშირი ბატალიონებთან და დაპირისპირებულ მხარეებთან, აგრეთვე საქართველოში გაერთიანებული ორგანიზაციის მისიასთან.

დღეს სოხუმში განსაზღვრულია სამშვიდობო ძალების შტაბის განლაგების ადგილი — იგი იქნება მოსკოვის სამხედრო ოლქის სანატორიუმი. შტაბთან შეიქმნა დროებითი პრესცენტრი, რომელსაც მეთაურობს პოლკოვნიკი ალექსანდრე ლუჩანინოვი.

დღესვე გიორგი კონდრატიევი ჩავიდა ქალაქ გალში, სადაც განლაგდება დასავლეთის საკონტროლო ზონის შტაბი. აღმოსავლეთის საკონტროლო ზონის შტაბი დისლოცირებული იქნება ზუგდიდში.

სამშვიდობო ბატალიონების საკომანდო პუნქტების დისლოკაციის განაღმვის ადგილების შემდეგ რუსეთის ჯარები დაიწყებენ პოზიციის დაკავებას მდინარე ენგურის გაყოლებით დაპირისპირების ხაზზე. აფხაზთა და ქართველთა ქვედანაყოფები ერთდროულად დაიხევენ დაპირისპირების ხაზიდან. თითოეულმა მხარემ უნდა გაათავისუფლოს 12 კილომეტრიანი ზოლი. პირადი შემადგენლობა და მძიმე ჯავშანტექნიკა განლაგდება მითითებულ ადგილებში.

დღეს დაიწყება

მოსკოვი, 15 ივნისი, (იტარ-საკდეს-საქინფორმი). ხუთშაბათს დაიწყება რუსეთის მესანგრეთა ქვედანაყოფების გადაყვანა აფხაზეთში ადგილების განსანაღმავად. ეს გათვალისწინებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დასაცავად. სამშვიდობო ოპერაციის პირველი ეტაპით, განაცხადა რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარ შტაბში გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმერ სემიონოვმა.

ახლა კონფლიქტის რაიონში იმყოფება ჯგუფი რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევის მეთაურობით, მიმდინარეობს რეკოგნოსცირება სამშვიდობო ძალების შეყვანის, საკომანდო პუნქტების განლაგების ადგილებში. სწორედ ამ უბნების განაღმვა უნდა მოხდეს.

კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ვლადიმერ სემიონოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი უსაფრთხოების 100-პროცენტიანი გარანტია არ არსებობს. მისი მთავარი პირობა იქნება უსაფრთხოების გათვალისწინებული 12-კილომეტრიან ზონაში ადგილმდებარეობის განაღმვა და სამშვიდობო ძალების საკონტროლო-გასაშვებ პუნქტებში საინჟინრო ნაგებობათა შექმნა. მისი თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ არ დაიღუპონ რუსი სამხედრო მოსამსახურეები. რუსეთის სამშვიდობო ძალების ბლოკ-საგუშაგოებზე თავდასხმის შემთხვევაში, იარაღი გამოყენებული იქნება თავდამსხმელის გასანადგურებლად, — თქვა მთავარსარდალმა.

შიდა ქართლის [illegible]

საჭირო შეხვედრა [illegible]

14 ივნისს, ქალაქ ვლადიკავკაზში, საქართველოში მყოფი ევროთათბირის მისიის ინიციატივით გაიმართა მორიგი შეხვედრა ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეების ოფიციალურ დელეგაციებს შორის. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი შიდა ქართლის რეგიონში ბატონი ვაჟა ხაჰაპურიძე, ხოლო სამხრეთ ოსეთის დელეგაციას — ახლადარჩეული სახელმწიფო ნიხასის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი ზნაურ გასიევი.

შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების შემდგომი სტაბილიზაციისა და მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის გაღრმავების მიზნით, არსებული პოზიციების გარკვევა.

შეხვედრის პროცესში გამოიკვეთა ამ ეტაპზე ორივე მხარისათვის აქტუალური პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად, უახლოეს მომავალში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა შესაძლებელი. კერძოდ, შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია ერთობლივი სამუშაოების შესრულება:

— ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის, განსაკუთრებით ნარკობიზნესის სფეროში;

— საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების აღდგენისათვის;

— სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების ამუშავებისათვის;

— საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის;

— მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის

— იძულებით გადაადგილებულ პირთა პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

— მშვიდობის შენარჩუნებისა და მართლწესრიგის აღდგენისათვის;

— ხიზანთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი განახლდეს 1992 წლის 24 ივნისის სოჭის ხელშეკრულების თანახმად შექმნილი შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობა ან ჩამოყალიბდეს სხვა ანალოგიური ორგანო. მასში ევროთათბირის მისიაც მიიღებს მონაწილეობას და კოორდინაციას გაუწევს ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილ საექსპერტო კომისიების მუშაობას, მათ შორის პოლიტიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების დაწყებას.

მხარეებს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი გახდა შეხვედრის საქმიან და კონსტრუქციულ ვითარებაში წარმართვა და, რაც მთავარია, ოფიციალური ერთობლივი განცხადების მიღება. ამ საქმეში, ევროთათბირის მისიის გარდა, დადებითი როლი შეასრულა ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის წარმომადგენელთა აქტიურმა მხარდაჭერამ.

სპარტაკ ქოგულია.

ერთი მნიშვნელოვანი და ძალზე საჭირო ბრძანებულების გამო

დაფიქრებულხართ? ახლა უცბად, როგორ დაინგრა ის, რაც 70 წელიწადს შენდებოდა? მაინც, რა დაგვემართა იმისთანა, რომ ერთი ხელის მოხმით თვითონვე გავანადგურეთ, თუ გვებადა რამე, ან კიდევ შორიდან ხეირს ვუყურებდით. ან ის რატომ არ გიკვირთ, რომ თავის დროზე სიტყვა არავინ დავძარით, როცა ეროვნულ ბანკს გვიქურდავდნენ, როცა მიგვქონდათ რამდენსაც ძრავდნენ და ჭკონი შერჩათ კიდეც... ერთი სიტყვით, ის ტოტი მოვჭერით, რომელზედაც ვიჯექით, და კარგა ლაზათიანი ზღართანიც მოვადინეთ. ღმერთმა ნუ ქნას და, ასე მგონია, ვეღარც წამოვდგებით...

ყველა ყველაა და, რა ღმერთი გაგვიწყრა, ქალაქიც უპატრონოდ დავტოვეთ და სოფელიც, ორივეგან გავყიენთ, გავანადგურეთ წარმოება. შიმშილსა და სილატაკეს დროშების ფრიალით და ვაშის ძახილით ორივე კარები გავუღეთ. თანაც, გული მოვიოხეთ? რაც შეგვეძლო ვლანძღეთ და ვთათხეთ რუსები.

...ზოგიერთ გლეხს, კერძო საკუთრებაზე წარმოდგენა რომ არ ჰქონდა, მოულოდნელად გამოვუცხადეთ, ჰა მიწა! ჰა უფლება! ხვალიდან ფერმერი ხარ!

დაიბნა გლეხი, ბევრი კითხულობდა, ეს ფერმერი რაღა უბედურებაა, ბოლოს ისე არ გაგვისწორდნენ, როგორც ერთ დროს ხალხში კულაკებს გაუსწორდნენო... დიახ, ძალიან დავაჩქარეთ მიწები, დავაქუცმაცეთ ზვრები და სახნავ-სათესი მასივები. მერე კი რაც მოხდა, რა ღვთის რისხვაც დატრიალდა ჩვენს თავზე, საკუთარი თვალით ვნახეთ და ვიგემეთ კიდეც. მაგრამ რაღა დროს, ჩვენდა საუბედუროდ, კოკა გატყდა და ახლა მისი გამთელება ადვილი აღარ არის. გვიან შემოვირტყით თავში ორივე ხელი, გვიან მივხვდით, რომ მიწის რეფორმებისთვის მზად არ ვიყავით, მივხვდით, რომ მოგვატყუეს და ვიღაცა მამაძაღლს შავი გული ჰქონია, რომელმაც თუ გვებადა რამე, მოგვპარა, წაგვგლიჯა, ბოლო რაც გადაურჩა — კვალის დასაფარავად მოაოხრა, დაწვა და ნაცარტუტად აქცია. მერე კი ისევ მამაძაღლობით უფროსის სავარძელში ჩაბრძანდა, ზოგი კი პარლამენტში წამოსკუპდა, ხელშეუხებელი გახდა, შეიარაღდა და ახლა ისე ნებივრობს, კუპონი რა ფერისაა, არც იცის...

მაინც რას ვუცდით?! არ დადგა დრო, რომ ყველას სახელი ხმამაღლა ვთქვათ? ხალხმა რატომ არ უნდა იცოდეს ვინ გაძარცვა ეროვნული ბანკი და ვინ გაიტაცა მათი ფული? არადა, უფულობის, სილატაკისა და ნაჩქარევი მიწის რეფორმის გამო (დაუდევრობასა და მავნებლობასაც არ გამოვრიცხავ) ყველაზე მეტად ის დარგები განადგურდა, რომლებითაც ასე თუ ისე მაინც ვსულდგმულობდით. გავერანდა ჩვენი ზვრები, ჩაის პლანტაციები და ხეხილის ბაღები. დაყამირდა და ბუჩქნარით დაიფარა ჩვენი სანაქებო, ნაღებივით სახნავ-სათესი მიწები...

გაგვახსენდა, რომ ჩვენი მაცოცხლებელი აგრარული სექტორია და, როგორც იქნა, მივიხედეთ მისკენ. გავეცით კრედიტები ნიადაგის დამუშავებისთვის, თესლის, ენერგოშემცველების შესაძენად და სხვა. აგერ, ახლახან ბრძანებულებაც გამოქვეყნდა. საწყალ ჩვენს მრუდე ვაზებს იგი ისე სჭირდებოდათ, როგორც მომაკვდავს ჟანგბადის ბალიში, მაგრამ მგონი ცოტა დავაგვიანეთ, როცა ერთი სიმი გაწყდა, მაშინვე უნდა გვეშველა, ჩვენ კი ყველა სიმის გაწყვეტას დაველოდეთ...

ამ ბრძანებულებით, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსაც დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. ამიტომ ვეწვიეთ მის დირექტორს, სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბატონ ნოდარ ჩხარტიშვილს.

სოფელს მივხედოთ, სოფელს!

ქართველ კაცს უვაზოდ არ უცხოვრია

— ბატონო ნოდარ, ახლახან გამოქვეყნდა ვაზის ნერგის, ყურძნის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო რეგულირების შესახებ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება. იგი ვაზის ნერგით იწყება და, მოდით, ჩვენი საუბარიც ამით დავიწყოთ. გვიამბეთ, როგორი მდგომარეობაა დღეს რესპუბლიკის სანერგე მეურნეობებში?

— სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს გეტყვით. არადა, იქნებ ბევრმა არც იცის, რომ ვაზის ნამყენი ნერგის წარმოებისათვის მტკიცე ბაზა რომ შეგვექმნა, საუკუნეზე მეტი დაგვჭირდა. ალბათ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოში პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების საქმიანობა ჯერ კიდევ 1890 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარის სანერგის ნაკვეთებში დაიწყო. მაშინ აქ საფუძველი ჩაეყარა ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედის წარმოებას და ამით ქართული ვაზი ფილოქსერასაგან დავიცავით.

შემდგომში, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ჩვენი რესპუბლიკა საკუთარი წარმოების ნერგით დაგვეკმაყოფილებინა. ამისათვის ჩვენი სპეციალისტები სამაგალითოდ გაისარჯნენ. შემოიტანეს, მეცნიერულად გამოიკვლიეს, დაარაიონეს და საძირეთა სადედე ჰიბრიდები 1500 ჰექტარ ფართობზე გაშენდა. შემდგომში კი მათ სორტიმენტი ჩვენი სელექციონერების მიერ გამოყვანილი ქართულ-ამერიკული ჰიბრიდებით მტკიცდებოდა. ამასთან, შეიქმნა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ელექტრიფიცირებული და მექანიზებული სასათბურე კომპლექსები. ერთი სიტყვით, ქართული ნერგის წარმოება 80-იან წლებში საერთაშორისო სტანდარტებს გაუტოლდა. ყოველწლიურად 25-30 მილიონ ცალ ნერგს ვაწარმოებდით და ნაჭარბი ქვეყნის გარეთაც გაგვქონდა.

დღესდღეობით კი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩვენს რესპუბლიკაში 3-4 წელიწადია ვენახები არ გაშენებულა. ამის გამო ნერგის წარმოება თითქმის შეწყდა. ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ საძირეთა სადედეები გაუკითხავად ამოძირკვეს და თუ შემორჩა სადმე, ისიც განწირულია. ათი წლის წინათ რომ იყო, დღეისათვის იმ ფართობების მესამედიც აღარ არის.

ძალიან უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა ითქვას: გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში ერთადერთი გამორჩეული და აღიარებული ნერგის მწარმოებელი მეურნეობა გვქონდა. ეს საჩვენებელ-საკონსულტაციო ნაკვეთი აღჭურვილი იყო უახლესი ტექნოლოგიით. სამწუხაროდ, ახლა აქ წარმოების ნაკვალევსაც კი ვეღარ ნახავთ. ავტომატიზებული და ელექტრიფიცირებული სასათბურე კომპლექსები თითქმის განადგურდა, სპეციალიზებულ სანერგე მეურნეობებში ჩაიშალა სელექციური, ჯიშობრივად სუფთა და ბიოლოგიურად ჯანსაღ საძირეთა და სანამყენეთა სადედეების მოწყობის პროგრამა. უამისოდ კი შეუძლებელია სერტიფიკაციური სარგავი მასალის წარმოება.

— სწორედ ამაზეა ყურადღება გამახვილებული იმ ბრძანებულებაში, რომლის გამოც ჩვენ ვსაუბრობთ.

— ამიტომ მოგახსენებთ. აი, მეორე არანაკლებ სავალალო ფაქტი: თითქმის იგივე ბედი ეწია, რესპუბლიკაში ერთადერთს, თელავის ექსპერიმენტულ სანერგე მეურნეობასაც. კახეთის რეგიონისა და თელავის რაიონის ახლანდელი ხელმძღვანელობის დიდი იმედი გვაქვს, ისინი ძალზე მონდომებული არიან და მათი მხარდაჭერით ამ სანერგეს აღორძინებას, ალბათ, შევძლებთ. რის გადარჩენაც შეიძლება, უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ქართველი კაცი დროებით შეფერხდა, იგი უვენახოთ მაინც ვერ გაძლებს. დადგება დრო, ვაზის ნერგზე კვლავაც დიდი მოთხოვნილება იქნება. მაშინ თავიდან ყველაფრის ერთბაშად აღდგენას ვერ შევძლებთ, თანაც უფრო ძვირი დაგვიჯდება. არადა, ეს აუცილებელი ბაზაა, სადაც ბიოლოგიურად სუფთა, უვირუსო, ჯანსაღი ნერგი უნდა ვაწარმოოთ. უამისოდ მომავალი საუკუნის მევენახეობა წარმოუდგენელია.

აღსანიშნავია, რომ ამისათვის ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი დიდი ხანია ემზადება. ოც წელიწადზე მეტს ვმუშაობდით და დღეს თითქმის ხელთა გვაქვს სერტიფიკაციური ნერგის წარმოების ტექნოლოგია. ახლა საჭიროა მისი ტექნიკური ბაზის შექმნა და გაფართოება. ინსტიტუტში უნდა შეიქმნას ვაზის, ხეხილისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების უვირუსო სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი, რისთვისაც, ალბათ, რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერა და დახმარებაც დაგვჭირდება.

— ბრძანებულების მეორე პუნქტში აღნიშნულია: შესაბამისი კანონის მიღებამდე აიკრძალოს ვაზის ნარგავების ამოძირკვა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასკვნის გარეშე. როგორ შეძლებთ ამას? ინსტიტუტი თბილისშია, ვაზის ნარგაობა კი რაიონებში. თუმცა, ჯერ ის ვთქვათ, საქმე ამ ბრძანებულებამდე რატომ მივიდა?

სახელმწიფოს მეთაურის ეს ბრძანებულება უთუოდ დარგში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო დაიწერა. მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზებიდან გამოვყოფდი ზოგიერთ, ჩემი აზრით, მთავარს: ოდითგან ბოლო წლებამდე, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა ქვეყნის ეკონომიკის განმსაზღვრელი დარგი იყო. ამის მიუხედავად, ამ ორიოდე წლის წინათ დილეტანტი შემფასებლების გამო დარგისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. იგი მეხილეობასა და მეჩაიეობასთან ერთად ქვეყნის დამშევის მიზეზადაც კი მიიჩნიეს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ დარგებზე ეს ბრალდება ზედა ეშელონებიდანაც კი გაისმა და, სამწუხაროდ, იგი დღევანდელი სავალალო და, გავიმეორებ, საგანგაშო მდგომარეობის მასტიმულირებელი გახდა. ასე და ამგვარად, მრავალწლიანი კულტურების განვითარებული მდგომარეობა მარცვლეულის პრობლემას დაუპირისპირდა და ამიტომ დარგისადმი სახელმწიფო ზრუნვა თითქმის შეწყდა.

კი ბატონო, ქვეყნის მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფა მართლაც ეროვნული პრობლემაა, მაგრამ იგი შეიძლება გადაწყდეს ვაზის, ხეხილისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ამოუძირკვავად. მით უმეტეს, ასეთი კონცეფციები და პროგრამები უკვე არსებობს. მათი განხორციელებისათვის მხოლოდ ზრუნვაა საჭირო.

ვფიქრობთ, ჯერ უკლებლივ უნდა ავითვისოთ მარცვლეულისათვის განკუთვნილი ფართობები, მოვიწიოთ საშუალო-ჰექტარობრივი მოსავლიანობის მაქსიმუმი, ამოვწუროთ მოსავლიანობის გაზრდის სხვა რეზერვები და შემდეგ აღვმართოთ ხელი ვაზის, ხეხილისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების ამოსაძირკვად.

ხოლო, რაც შეეხება ამოძირკვაზე ნებართვის გაცემას დღევანდელ პირობებში, მაინც, მართლაც, ძნელი შესასრულებელია, მაგრამ მთავარია ბრძანებულებამ ნაყოფიერად იმუშაოს, გამოჩნდეს ნებართვის მიღების მსურველი და ინსტიტუტი თავისი საცდელი სადგურებისა და დასაყრდენი პუნქტების მეშვეობით, რომლებიც რესპუბლიკის რეგიონებსა და რაიონებში გვაქვს, აღნიშნულ დავალებას შეასრულებს.

— რა შემთხვევაში გაიცემა ვაზის ამოძირკვის ნებართვა. აქამდე თქვენს ინსტიტუტს ასეთი დავალება არ ჰქონია.

— ნებართვა გაიცემა: 1. თუ ვაზს გაუვიდა ამორტიზაციის ვადა. დღევანდელი ნორმატივების მიხედვით მცენარის ასაკი 40 წელიწადზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთან, თუ ისეა დაკნინებული, რომ განხორციელებული აგროტექნიკური ღონისძიებანი უშედეგო იქნება;

2. თუ ვენახი სტიქიური მოვლენების გამო ისე დაზიანდა, რომ პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნება შეუძლებელი იქნება;

3. თუ სიმეჩხერე 50-60 პროცენტს აღწევს და სხვ.



ადრე, ჩვენს ინსტიტუტს ასეთი დავალება მართლაც არ ჰქონია, ამას სხვა უწყებები ასრულებდნენ, მაგრამ დასკვნის შედგენაში მეცნიერი მაინც მონაწილეობდა. ამ ბრძანებულებით კი ეს მეტად პასუხსაგები საქმე, მე ვიტყოდი ეროვნული საქმე, მთლიანად მეცნიერებას დაევალა, რაც ყოვლად გამართლებულია.

— შარშან, საქართველოს ზვრებში მხოლოდ 72 ათასი ტონამდე ყურძენი მოიკრიფა. ღვინის მრეწველობა, განსაკუთრებით კი შამპანურის ქარხნები, უნედლეულოდ დარჩა. როგორ გგონიათ, ვაზის ამოძირკვის აკრძალვით დარგში მდგომარეობა გამოსწორდება?

— შარშანდელ მცირე მოსავალს დარგში შექმნილი სრული ქაოსიც დაემატა, რაც ღვინის, ღვინის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ყოვლად გაუმართლებელი, ნაჩქარევი კანონებით წაქეზდა. მიწის არასწორმა რეფორმამ კი ჩვენს ზვრებსა და ვენახებს სულ მოუთავა ხელი. გლეხს ვენახი მივეცით, მაგრამ მისი დამუშავებისა და საერთოდ წარმოების საშუალებებზე აღარ ვიზრუნეთ.

— ახლაც გაიძახიან სასწრაფოდ უნდა დავამთავროთ მიწის პრივატიზაციაო. არავინ ხმას არ იღებს იმაზე, რაც გავეცით, იქიდან რა მივიღეთ, ან დღეს რა მდგომარეობაა გაცემულ ნაკვეთებში, ეს არავის აინტერესებს.

— ბრძანებულება, სწორედაც რომ, მევენახეობაში და მეღვინეობაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის მოსაგვარებლად არის გამოცემული და მას ყოველმხრივ მხარდაჭერა სჭირდება. მისი განხორციელებით უთუოდ დიდი საქმე გაკეთდება. მოკლედ რომ ვთქვათ, დარგს ამოისუნთქებს.

— უმჯობესი ხომ არ იქნება, ბრძანებულებაში ბარემ ვაზისა და ღვინის დამცველი მექანიზმიც ჩანდეს?

— დამცველი მექანიზმი, ვფიქრობ, თვითონ ბრძანებულების განუხრელი შესრულებაა. იგი კანონია, კანონის დარღვევისათვის კი კანონითვე უნდა დაისაჯონ, გამონაკლისი არ უნდა დავუშვათ. იმის თქმა მინდა, რომ ბრძანებულების დარღვევის არცერთი ფაქტი, არცერთი შემთხვევა ურეაგირებოდ არ უნდა დარჩეს. აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მცხეთის რაიონში, გალავნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში მოიჯარემ ახლახან იმუნური სელექციური ჯიშებით გაშენებული ვენახი ამოძირკვა და სელექციური გენოფონდი მთლიანად განადგურდა.

ამავე მეურნეობის კაკლის ბაღებში 247 ძირი 10 წლის კაკლის ხეები უმოწყალოდ აჩეხეს და ის ბარბაროსები დღესაც დაუსჯელი არიან. ერთი სიტყვით, ასეთი ფაქტი ბევრია, ვაზისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვა კი, სამწუხაროდ, კვლავაც გრძელდება. მსგავსი ფაქტი რომ არ გამეორდეს, უკლებლივ უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული სანქციები, იქნება იგი ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული. ეს სამართალდამცავ ორგანოებს უკეთ მოეხსენებათ. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი თვალს ხუჭავს ისეთ დანაშაულზე, რომელიც ლამის ერის ღალატის ტოლფასია.

— როგორ შეაფასებდით დღესდღეობით დარგში შექმნილ მდგომარეობას?

— მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმისტურად. ეს ჩავარდნა დროებითია, ქართველ კაცს ვაზისათვის არასოდეს უღალატია და არც უვაზოდ უცხოვრია. სხვა სიკეთესთან ერთად რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა დარგის სამართლებრივი მართვის საფუძველი: მომზადებულია ვაზისა და ღვინის შესახებ კოდექსის პროექტი. იგი მალე გადაეცემა იუსტიციის სამინისტროში შექმნილ სპეციალურ კომისიას, შემდგომ კი პარლამენტი განიხილავს. კანონი არეგულირებს ზონალობას, დაიცავს ჯიშების გადაადგილებისა და თანაფარდობის პრინციპებს. იგი ზღუდავს ვენახებისადმი თვითნებურ დამოკიდებულებას. მაგალითად, მევენახეობის ტრადიციულ რაიონებში კანონით საკუთრების ფორმის მიუხედავად, ფართობის 40 პროცენტში მაინც, ვენახი უნდა იყოს გაშენებული.

— ეს შესანიშნავია, ესე იგი აღორძინდება: საფერავის, მწვანის, ხიხვის, ალექსანდროულის, უსახელოურის, კრახუნის, ოჯალეშის, ჩხავერის. პინოს, ალიგოტეს. შარდონესა და სხვა უნიკალური ვაზის ჯიშები, რომელთა რაოდენობა დღეს 5-6 პროცენტს ძლივს აღწევს.

— საქმეც ეგ არის, რომ ამ უნიკალური ვაზის ჯიშების რაოდენობა, დღევანდელთან შედარებით, 20-25 პროცენტით გაიზრდება. კიდევ უამრავი სასიკეთო ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც შემუშავებულია კოდექსის პროექტში მევენახეობასა და მეღვინეობაში დღესდღეობით არსებული პრობლემების გადასაწყვეტად... ასე რომ, ჩემი ოპტიმიზმი უსაფუძვლო არ არის.

— გისმინოთ ღმერთმა!..

ესაუბრა
როლანდ ბასილაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში

ისჯებიან... კანონიერების „დამცველნი“

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მორიგ კოლეგიაზე შარშანდელი და წლევანდელი წლების შედეგების მიხედვით სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს „საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში ლმობიერების მოტივით გაუქმებულ განაჩენებზე საპროკურორო ზედამხედველობის“ საკითხი.

კოლეგიაზე ითქვა: დღეს, როცა რესპუბლიკაში არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარება დამნაშავეთა სამყაროს წინაშე მკაცრ და უკომპრომისო ბრძოლას მოითხოვს, ზოგჯერ სასამართლოების მხრიდან ვხვდებით, აშკარად ლმობიერი, დაუსაბუთებელი განაჩენების გამოტანის ფაქტებს, რაც უმეტეს შემთხვევაში, საპროკურორო ზედამხედველობის მიღმა რჩება. შარშანდელი და წლევანდელი მონაცემებით რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიის მიერ ლმობიერების მოტივით 84 სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი გაუქმდა.

კოლეგიის გადაწყვეტილება მკაცრი იყო: ლაგოდეხის, ზესტაფონის, ხარაგაულის რაიონების პროკურორები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ, ხოლო რაიონების პროკურატურის რიგ მუშაკებს სხვადასხვა ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ.

ლმობიერი განაჩენი! ლმობიერ განაჩენში, ძაღლის თავი თუ არ არის დამარხული, ისეთი კაცის [illegible]ნაში, რომელმაც ნებაურად, წინასწარ განუზრახავად ჩაიდინა დანაშაული და ეს დანაშაული მთელი სიცოცხლის განმავლობაში სანანებლად ექნება, ლმობიერი, მიმტევებელი რატომ არ უნდა იყო? ხოლო კაცი, რომელმაც მოქალაქის 101 სული ცხვარი გარეკა და პატრონს დიდი სულიერი და მატერიალური ზარალი მიაყენა, ლმობიერებისა და მიტევების ღირსი არ არის? თქმა უნდა, იტყვით — არაო. [illegible] ნუ გიწყინებათ, თქვენზე უფრო გულჩვილი და მიმტევებელი ყოფილან ლაგოდეხის სასამართლოს მოსამართლე ჩაფიძე და პროკურორი ტუხაშვილი. თურმე, დიდი არაფერი მომხდარა, გ. ბუიძეს ვინმე ჯავახიშვილისთვის 101 სული ცხვარი წაუგვრია, ერთი სიტყვით, მოუპარავს, პროკურორს ამ დანაშაულისათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუთხოვია. მოსამართლეს პროკურორის მოთხოვნა გაუთვალისწინებია, განაჩენი ბუიძისათვის სწორედ თავისუფლების 3 წლით აღკვეთა მიუსჯია, მერე უფიქრია, რაღაც 101 სული ცხვრისთვის . 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მეტისმეტიაო და შესაფერი მუხლის მიშველიებით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეუცვლია.

ასეთი ლმობიერება, გინდა თუ არა, რაღაცას გაფიქრებინებს, თორემ 101 სული ცხვრის წაგვრას, მის ტრანსპორტირებას, გადამალვასა თუ გასაღებას მარტოხელა კაცი მოახერხებდა? ნუთუ ეს აზრი პროფესიონალებს არ დაებადებოდათ? ასეთი „კორკოტი“ რომ დაეწყოთ, მაშინ, ქოთანს ყურს საითაც უნდოდათ, იქით გამოაბამდნენ?

მოსამართლე ჩაფიძეს, ეტყობა, ზემოთ დასახელებული შესაფერისი მუხლი (იურიდიულად სსკ 25¹ ეძახიან) ჭკუაში დაუჯდა, ბრალდებულებს დ. მჭედლიძეს, გ. ჩაჩანიძესა და ლ. ტყემალაძეს, პირველ შემთხვევაში, 20 და მეორეჯერ 15 სული ცხვარი რომ მოიპარეს, 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა იმავე მუხლით შეუცვალა (ამ საქმეზე მას პროკურორი ჯაბაშვილი პარტნიორობდა).

ი. ყურამაჰამედოვმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტაქსის მძღოლ ქ. კასიმოვს ძალადობის გამოყენების მუქარით მგზავრთა მომსახურებისათვის აღებული 2.388 მანეთი წაართვა. იმავე მოსამართლემ (ამჟამად პროცესში პროკურორის მონაწილეობის გარეშე) ყაჩაღს მხოლოდ 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა „აკმარა“. სხვათა შორის, ყურამაჰამედოვი ნასამართლევი რომ იყო, არ ახსენა.

ამავე რაიონის სასამართლოს მოსამართლე მაჩაიძე, პროკურორი ტუხაშვილი) მიერ ხ. ლომიძისა და ფ. ხუგაევის მიმართ გამოტანილ განაჩენს ლმობიერებასთან ერთად გაპროტესტების საფუძვლად დაედო საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შეუსაბამობა. კერძოდ, ძროხის ქურდობისთვის მსჯავრი დაედო მხოლოდ ლომიძეს, ხოლო ხუგაევი კი გაამართლეს დანაშაულის დაფარვისათვის, არადა, ეს დანაშაული ჩადენილი იყო ჯგუფურად და მასში ლომიძესთან ერთად, მონაწილეობდა წარსულში ქურდობის, გამოძალვისა და ყაჩაღობისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ხუგაევიც. პირველს განესაზღვრა გამასწორებელი სამუშაოები, ხოლო მეორეს განაჩენით მისჯილი 9 თვე და 13 დღე წინასწარ პატიმრობაში გატარებულმა დრომ გადაუფარა და იგი სხდომის დარბაზიდანვე განთავისუფლდა.

ოთხივე განაჩენი აშკარად ლმობიერი სასჯელის გამო რესპუბლიკის პროკურატურამ გააუქმა.

მსგავსი მდგომარეობაა საგარეჯოს რაიონში. ადგილობრივი სასამართლოს 4 განაჩენი გააუქმეს. აქ გვინდა სხვა გარემოებას გავუსვათ ხაზი. ადრე ნასამართლევ მარტიროსოვს, სულიკაშვილსა და სარიბეგოვს ქათმების ქურდობისთვის სასამართლომ (მოსამართლე მასურაშვილი, პროკურორი ბეჟანიშვილი) იმის ნახევარიც კი არ მიუსაჯა, რამდენიც სასამართლოს წინაშე პროკურორმა იშუამდგომლა. ამის მიუხედავად, პროკურორმა სათანადო პრინციპულობა არ გამოიჩინა და განაჩენის საკასაციო წესით გაპროტესტების შესახებ საკითხი არ აღძრა. მისი გასაკეთებელი რესპუბლიკის პროკურატურამ გააკეთა. საქმე ხელმეორედ განიხილეს, მაგრამ ის, რაც უნდა მომხდარიყო, არ მოხდა, სასამართლომ დამნაშავეებს სიმბოლურად მხოლოდ 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა დაუმატა, პროტესტი კი განაჩენის აშკარა ლმობიერებაზე მიუთითებდა. ე. ი. განაჩენი ხელმეორედ საპროტესტო გახდა.

რახან ყველა შემოწმებულ რაიონში მსგავსი მდგომარეობაა, მეტს აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სამართალდამცავი (სასამართლო, პროკურატურა) ორგანოების ასეთი ლმობიერება უცოდინარობითა და გულმოწყალებით არ ხდება. იგი სხვა საფუვარზე ამოსული ცომია და მაშინ, როცა ქვეყნის გადარჩენის მიზნით, მთელს რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული, მათი მოქმედება ცეცხლზე ნავთის დასხმას წააგავს. უნდა შევიგნოთ, რომ თითოეული რაიონი ქვეყნის მთლიანობის თითო რგოლია. თუ ამას შევიგნებთ, მაშინ რაიონების პროკურორების გასაკეთებელი საქმის დაგვირგვინება უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურას არ მოუხდება.

ისიც საფიქრალია, რომ ჩვენი ისედაც გაძვალტყავებული ქვეყნისთვის ის ხარჯები, რაც ძიებას, შემოწმებასა და საქმის ხელმეორედ გარჩევას სჭირდება, ეკონომიკურ შანტაჟს უტოლდება. მეორეც, ყველა ლმობიერი განაჩენი დამნაშავეთა სამყაროში ზრდის დაუსჯელობის სინდრომს და მათ ახალი დანაშაულისკენ უბიძგებს, საზოგადოებას კი სამართალდამცავი ორგანოებისადმი რწმენა ეკარგება, იჯერებს, რომ დამნაშავეთა ხელყოფისაგან მას დამცველი არა ჰყავს. ამიტომ, იგი სამართალდამცავ ორგანოებს განზე უდგება და მასთან ყოველგვარი კონტაქტისგან თავს იკავებს.

დღეს რესპუბლიკის პროკურატურა გაჯანსაღების გზას ადგას. უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს ორგანოში ულირს მუშაკთა წინააღმდეგ. დღითი დღე იწმინდება რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული პროკურატურის რიგები. იწმინდება, მაგრამ ერთი რამ უთუოდ არის სათქმელი: იმისათვის, რომ ამ დიდმა და ერთობ საჭირო ღონისძიებამ სასურველი შედეგი მოგვცეს, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს იმდენი ხელფასი მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ შინ მშიერი ცოლ-შვილი არ ეგულებოდეთ. ამაზე კი სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

გალაქტიონ მახარაძე,
გულიკო მარკოზაშვილი.

პრობლემა

ჩაწერის აქტი... და რეანიმაციის განყოფილება

მილიციის (ამჟამად პოლიციის) ადმინისტრაციული აქტი, ჩაწერა, ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს ქვეყნებში კანონზე აღმატებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამჟამადაც ინერციით აგრძელებს მოქმედებას.

სტალინის ხელისუფლების პერიოდში ჩაწერა დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა, რადგან იგი შეზღუდული იყო სხვა აქტებითა და ზეპირი განკარგულებებით. ასეთი აქტები ემსახურებოდნენ მრეწველობის, სამხედრო, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა სტრატეგიულ დარგებში მუშაკთა იძულებით გადაყვანას ან დამკვიდრებას. თუ სოფლის მცხოვრები გათავისუფლებული იყო კოლმეურნეობის კრების მიერ, მას უფლება ჰქონდა სადაც მოისურვებდა, იქ ჩაწერილიყო.

ნიკიტა ხრუშჩოვმა როცა თავი ვერ გაართვა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის პრობლემებს, სასტიკად გამკაცრა „საპასპორტო რეჟიმი“ და „საპასპორტო სისტემა“, რითაც სული ამოხადა ისედაც დაჩაგრულ სამოქალაქო უფლებებს. უბრალო განკარგულებებით აიკრძალა სოფლიდან ქალაქში, ან ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლა, სამუშაოზე მიღება, მიწის სარგებლობაში გაცემა, გაჩუქება, ნაგებობების დაკანონება, გართულდა სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულ ან დროებით გასულ პირთა ჩაწერა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პროკურორის უსანქციოდ აპატიმრებდნენ, ჩხრეკდნენ, თითის ანაბეჭდებსა და სურათებს უღებდნენ დიდ ქალაქებში ჩასულ პირებს, აფრთხილებდნენ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევდნენ მათ, თუ კი ისინი გაბედავდნენ და ორ ღამეზე მეტს გაათევდნენ „რეჟიმის ქალაქში“. სოციალურად დაუცველი აღმოჩნდნენ ის პირებიც, ვინც სხვადასხვა მიზეზით არ ცხოვრობდა ჩაწერის ადგილზე, ერ იღებდა დახმარებას, პენსიებს, სასურსათო ბარათებს.

შრომის კანონთა კოდექსის 34-35-ე მუხლები არ ითვალისწინებს მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების ჩაუწერლობის მოტივით. ამის მიუხედავად, არასასურველ მუშაკებს განცხადებას აწერინებდნენ და სამუშაოდან ათავისუფლებდნენ. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიღებას განსაზღვრავდა არა კანონი, არამედ პასპორტში მილიციის შტამპის ჩარტყმა. ჩაწერის აქტის ხელოვნურობა და სიცრუე სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, ხალხის მიერ დემოკრატიული იდეალების გაცნობიერების მიუხედავად, გამოიცა ახალი შემზარავი განკარგულება. ქალაქ მოსკოვის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში აიკრძალა აბიტურიენტთა მიღება, რომლებიც ვერ თავსდებოდნენ ჩაწერის ნორმებში. ქალაქ თბილისში აიკრძალა მეუღლის ჩაწერა მეუღლის ბინაში, ქორწინებიდან 5 წლის გასვლამდე, ან პირველი ბავშვის გაჩენამდე. შეიზღუდა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკებში იმ ავადმყოფების მიღება, ვინც არ იყო ჩაწერილი სამკურნალო დაწესებულების სამოქმედო ტერიტორიაზე. ნათქვამია, როცა დაწოლა მეტია, წინააღმდეგობაც მეტიაო. მოქალაქეთა უმრავლესობა ცდილობდა გვერდი აევლო ან საერთოდ არ შეესრულებინა შეზღუდვები. არანორმალურმა ვითარებამ გამოიწვია კანონისა და ზნეობის ძირითადი ნორმების დარღვევა, რაც სიმახინჯეში გადაიზარდა, გახშირდა ფიქტიური ქორწინება-განქორწინება (ზოგჯერ ახლო ნათესავებს შორისაც); ფიქტიური გაშვილება, მიწისა და ქონების უკანონო გასხვისება, პროსტიტუცია და სხვა მრავალი უბედურება, — მიწების უკანონო მიტაცება, ბინებსა და ნაგებობებში თვითნებურად შესახლება.

ხალხის მორალურად ჯანსაღი ნაწილი მოთმინებით იტანდა ძა[illegible]ეთ შეზღუდვებს, პროგრესულად მოაზროვნე იურისტები და სხვა სპეციალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩაწერის ასეთი გაფეტიშების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საშიში იყო ჩაწერის აქტის წინააღმდეგ აზრის გამოთქმა, ცნობილმა ცივილისტმა, თბილისის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ სერგო ჯორბენაძემ თავის შრომებში ნათლად ჩამოაყალიბა ჩაწერის არსი და მნიშვნელობა: „ჩაწერა არის არა კანონი, არამედ მილიციის ადმინისტრაციული აქტი, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებითი მნიშვნელობა“. მართლაც სასამართლოში საბინაო საქმის განხილვისას ჩაწერა გათანაბრებულია მოწმის ჩვენებასთან ან სხვა რაიმე მტკიცებულებასთან. კანონი შეეგუა დაჩაგრულ მდგომარეობას, მაგრამ დრო და დრო აჩენდა თავის კლანჭებს, როცა შეეცდებოდნენ ჩაწერის აქტით მთლიანად გაებათილებინათ მისი ძალა, ასეთი რამ მხოლოდ ერთ შემთხვევაში ხდებოდა, როცა სასამართლოში დადგებოდა საკითხი ბავშვიანი ან ორსული ქალის მეუღლის ბინაში შესახლების შესახებ. აქ უკვე ნათლად ჩანდა, რომ არსებობდა რაღაც ძალა, ჩაწერის აქტზე უფრო ძლიერი. ეს იყო სამოქალაქო უფლება-მოვალეობის მარეგულირებელი კანონი, მკვეთრად გამოხატული ბუნებრივი თვისებებით.

ჩაწერის აქტი, სხვა აქტები და განკარგულებები კანონქვემდებარე უნდა იყოს და ხალხის (დემოსის) უფლებებს არ უნდა ზღუდავდ[illegible], წინააღმდეგ შემთხვევაში არ შესრულდება და პოლიციის მუშაკებსაც ეჭვი შეეპარებათ მის სამართლიანობაში. თბილისის მერიის ერთ-ერთი ასეთი აქტი დღეს ავალდებულებს პოლიციის მუშაკებს რკინიგზისა და ავტოსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩხრიკონ და ტელევიზიაში საჩვენებლად წარადგინონ ის პირები, ვისაც აღმოაჩნდება რამდენიმე ცალი პური. აღნიშნული აქტი, მართალია, სოლიდური ორგანოს მიერ კეთილშობილური მიზნით არის გამოცემული, მაგრამ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-172-ე მუხლებს, სადაც მითითებულია, რომ პროკურორის უსანქციოდ ჩხრეკა არ შეიძლება (გარდა კანონით რეგლამენტირებული განსაკუთრებული შემთხვევებისა). პოლიციის მუშაკს უფლება არა აქვს დაარღვიოს კანონი და დაემორჩილოს ემოციურ ადმინისტრაციულ აქტებს. ყოფილი სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის დასკვნაში „მოქალაქეთა ჩაწერის საკითხზე კანონმდებლობის შესახებ“, „აღნიშნულია, რომ ჩაწერის ნებართვის წესი და მის შესახებ დებულება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლს, რომლის შესაბამისად მოქალაქეებს შეუძლიათ აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და საქმიანობის სახეობა. ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ან სხვა დაწესებულებაში სტუდენტთა და მოსწავლეთა მიღების შეზღუდვა, მეუღლეების ჩაწერაზე უარის თქმა, აშკარა უკანონობაა და იგი უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება სხვა შეზღუდვებს, ის ეტაპობრივად უნდა გასწორდეს. (სსრკ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წლის 21/I № 47).

საქართველოში დემოკრატიული მოძრაობის გამარჯვებისა და საბაზრო ეკონომიკის აღმავლობის ვითარებაში შეიცვალა სამუშაოზე მიღებისა და შრომის პირობები, საკუთრების ფორმები, ძირითადად ლიბერალური გახდა ადმინისტრაციული [illegible] ბის [illegible] დათან[illegible] ჟამად [illegible] ბაში [illegible] დილს, [illegible] კონსერვატიული განწყობილი ჩინოვნიკები, მზ[illegible] ნველი [illegible] თავზე ადგა[illegible] და ცდილობენ მის გადარჩენას.

ჯემალ მალაძშანიძე

პრობლემა

შახური არქიტექტურა,

ანუ ლექსს ამტკიცებს... ქალაქის მთავარი პოეტი?!

პრიცკერის პრემიას, რომელიც არქიტექტურულ ნობელის პრემიადაა აღიარებული და რომელსაც პროფესიული დიდების გარდა, 100 ათასი დოლარი ახლავს, ყოველწლიურად მხოლოდ ერთ არქიტექტორს ანიჭებს 7-კაციანი საბჭო. ჩვენს 1000-მანეთიან „ხუთწლედის მარიანეს“ და 2000-მანეთიან სახელმწიფო პრემიას ანიჭებდა 50-60-კაციანი სახელმწიფო პრემიების სპეციალური კომიტეტი. საუკუნის ნაგებობის, სიდნეის ოპერის თეატრის საერთაშორისო კონკურსის ჟიური სულ სამი კაცისაგან შედგებოდა და მათ არ გასჭირვებიათ მრავალრიცხოვან პროექტთა შორის ამოეცნოთ უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული იდეა. თბილისის დანგრეული ცენტრის აღდგენის ცალკეულ კვანძებზე, საზოგადოებრივ საწყისებზე გამოცხადებული კონკურსის ჟიური ხუთი ათეული წევრისაგან შედგებოდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ჟიურის გადაწყვეტილებამ აზრთა რადიკალური სხვადასხვაობა გამოიწვია.

არავითარი კოლექტიური, კრებსითი, პასუხისმგებლობა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კოლექტიური უპასუხისმგებლობა. ისტორიის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ ინდივიდი, პიროვნება, მხოლოდ პოეტი, მხოლოდ მხატვარი, მხოლოდ მუსიკოსი, მხოლოდ არქიტექტორი და არა საბჭოები და კომიტეტები.

იქნებ ერთმა კითხვამ მოჰფინოს ნათელი ჩემ, შორიდან დაწყებულ, სათქმელს. რატომ არ ჰყავს არქიტექტურული საბჭო და მთავარი არქიტექტორი პარიზს, ლონდონს, რომს, ბუენოს-აირესს, ნიუ-იორკს, სიდნეის და ა. შ. არ გამოვრიცხავ, რომ სადმე, რომელიმე ქვეყანაში, რომელიმე ქალაქში არქიტექტურის და მშენებლობის საქმეთა გამგებელს, რომელიც ყველა ქალაქშია, ერქვას „მთავარი არქიტექტორი“, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ქალაქის მთავარი არქიტექტორის ინსტიტუტი და არქიტექტურული საბჭო იმ სახით, იმ სტატუსით, იმ უფლებით, როგორიც ეს ჩვენთან და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში იყო, არსად არ არსებობს და ეს სავსებით ლოგიკურია, ამას გამორიცხავს საზოგადოებრივი ურთიერთობის წესი. ზემოხსენებული სტრუქტურები ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი რგოლი და მისი ინტერესების ერთგული დარაჯი (გთხოვთ, სწორად გამიგოთ, აქაც და სხვაგანაც ლაპარაკია არა კონკრეტულ პიროვნებებზე, არამედ მოვლენაზე, პრინციპზე), უსახურობის, ერთფეროვნების, საავტორო უფლებების და მოქმედებითი ინდივიდის დათრგუნვის საშუალება გახლდათ.

მოდით, ერთად დავფიქრდეთ, მიაღწევდნენ კი იმ სიმაღლეებს ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, გოგლა, თუ მათ ყოველი ლექსის დაცვა და დამტკიცება მოუხდებოდათ საქართველოს ან თბილისის მთავარ პოეტთან და ისეთსავე პოეტურ საბჭოებზე, როგორიც ჩვენი არქიტექტურული საბჭოებია, თანაც თუ კი ამ დამტკიცებისთვის აუცილებელი იქნებოდა ექსპერტებთან და მრავალრიცხოვან ინსტანციასთან ლექსის წინასწარი შეთანხმება? მიაღწევდნენ კი იმ სიმაღლეებს ფიროსმანი, გუდიაშვილი, კაკაბაძე და ახვლედიანი, თუ კი მათ ყოველი ნამუშევარი უნდა შეეთანხმებინათ სხვადასხვა მიმართულებისა და შეხედულების მხატვრებისაგან შემდგარ წარმომადგენლობით საბჭოსთან, საქართველოს ან შესაბამისი ქალაქის მთავარ მხატვართან? პასუხი ერთნიშნაა, არ იქნებოდა არც ვაჟა, არც აკაკი, არც გალაკტიონი, არც გოგლა! ვერ მიაღწევდნენ იმ სიმაღლეებს ფიროსმანი, გუდიაშვილი, კაკაბაძე და ახვლედიანი! ხელოვნება ინდივიდის, პიროვნების სახეა, მისი სულის ანარეკლია. მაშინაც კი, როდესაც საქმე გვაქვს სინთეზურ ხელოვნებასთან, ყველაფერი ერთი ადამიანის ნებას ექვემდებარება, რაგინდ სიდიდეებიც მონაწილეობდნენ მის შექმნაში. „ყვარყვარე“ და „რიჩარდ III“ — ეს რობერტ სტურუაა, „ვედრება“ და „მონანიება“ — ეს თენგიზ აბულაძეა, „შერეკილები“ და „ცისფერი მთები“ — ეს ელდარ შენგელაიაა. იქ, სადაც ვერ ვლინდება „მაქვს მკერდს მიდებული, ქნარი, როგორც მინდა“ — იქ ხელოვნება მკვდარია და მის ადგილს იკავებს სუროგატი. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ და „ლურჯა ცხენები“ შეიძლება შექმნილიყო გამომცემლების, რედაქტორების, რეცენზენტების და სტილისტების „ბრძნული“ და „საქმიანი“ რეკომენდაციებით. სამწუხაროა, რომ დღეს ამ ბანალური ჭეშმარიტების შეხსენება გვჭირდება. ჩვენს პროფესიულ წრეებში ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომელთაც პირდაპირი პასუხისმგებლობის ტყვიასავით ეშინიათ და სხვათა მითითებითა და ნებით ცხოვრებას ამჯობინებენ. მე ვგრძნობ, ისინი მეკითხებიან, რამდენად სწორია არქიტექტურის პოეზიასთან და მხატვრობასთან შედარება? არქიტექტურა ხომ სოციალური ხელოვნებაა?

— დიახ, არქიტექტურა სოციალური ხელოვნებაა, მაგრამ განა ყველა ხელოვნება თავისებურად სოციალური არ არის? ასეც რომ არ იყოს, საქმის ვითარება სულაც არ იცვლება. არქიტექტურა სოციალური ხელოვნებაა საბერძნეთშიც, იაპონიაშიც, საფრანგეთშიც, და ამერიკაშიც. ჩვენ შემთხვევაში, საქმე ეხება ერთი მხრივ, ტოტალიტარული სახელმწიფოს სტრუქტურების მიერ შემოქმედებაზე დიქტატს და ავტორის უფლებების უზურპაციას, ხოლო მეორე მხრივ, როგორც შედეგი, ავტორის პროფესიული პასუხისმგებლობის დაცემას.

იქნებ, ობიექტური კანონზომიერებაა, რომ არქიტექტურა უშუალოდ, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედი ფენომენია (ლექსს და მოთხრობას არ წაიკითხავ, კინოში, თეატრში და გამოფენაზე არ შეხვალ, ხოლო, არქიტექტურასთან იძულებით კონტაქტში იმყოფები), ამართლებს მასზე კონტროლის განსაკუთრებულ სიმკაცრეს? პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კონტროლის და მეურვეობის მაღალი დონე დაბალი არქიტექტურულ-მხატვრული დონის პირდაპირი განმსაზღვრელია. ამის ნათელი დადასტურებაა ამ სტრუქტურების ზედამხედველობით ბოლო 50 წლის მანძილზე „შექმნილი“ არქიტექტურული გარემო, უსახური, ადამიანური ღირსებების დამთრგუნველი და შემლახავი.

რა წანამძღვრები არსებობს არქიტექტურული ხარისხის უზრუნველსაყოფად და მომხმარებლის (დამკვეთის) ინტერესების დასაცავად? საბაზრო ეკონომიკის პირობებში არქიტექტურული ხარისხის განმსაზღვრელია დამკვეთი, იმის შეგნება, რომ კარგი არქიტექტურა, ლამაზი შენობა და გარემო მისი მძლავრი და საიმედო ეკონომიკური მოკავშირეა. სწორედ ეს განაპირობებს შემოქმედებითი კონკურსების პრინციპს, ასევე მაღალი კვალიფიკაციის, სანდო ავტორების მოძიების მთელ სისტემას. მეორე, არსად, არცერთ ქვეყანაში დიპლომი არ არის პირდაპირი გარანტი არც საოპერაციო მაგიდასთან, მისასვლელად, არც კონტინენტთაშორისი ხომალდების სამართავად და არც პროექტების დამოუკიდებლად შესაქმნელად. ამ უფლების მოსაპოვებლად საჭიროა სათანადო პროფესიული გზის გავლა და ატესტაციის არც თუ იოლი პროცედურა. მომხმარებლის (დამკვეთის) ინტერესების და არქიტექტურული ხარისხის დაცვის კიდევ ერთი გარანტი გახლავთ დამკვეთის მიერ პროექტის, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო, ასევე ეკონომიკური ნაწილების რეცენზირება, სპეციალური ფირმების, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან.

გადავხედოთ არქიტექტურული საბჭოების ოქმებს, რომლებიც, მართალია, მათი გაფორმების პროცედურის პრიმიტიულობის გამო ბოლომდე ვერ ასახავენ რეალურ სურათს, და მიხვდებით, რომ საბჭო არ შეიძლება იყოს არც ობიექტურობის და არც მხატვრული ხარისხის თავდები. პირველი, რასაც უსათუოდ შეამჩნევთ, ესაა საბჭოს წევრთა უამრავი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე იღებს და რომელსაც საკუთარი პროფესიული ორიენტაციის, ინტელექტის, გამოცდილების, ნიჭის და სხვათა და სხვათა გარდა, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანის თვისებები, გააჩნია, მისი გადაწყვეტილება ყოველთვის როდი ემთხვევა წარმოდგენილი პროექტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა თანაფარდობას. რამდენადაც საბჭოც და მისი თავმჯდომარეც გარკვეულწილად სახელმწიფოს წარმოადგენენ, მათთვის გაცილებით უფრო სარისკოა მძაფრი, სიახლით გამორჩეული პროექტის დამტკიცება. ჩემ, თითქმის 30-წლიან, პროფესიულ პრაქტიკაში მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი ვიცი, — საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა, რომელმაც, ჩემთვის დღესაც აუხსნელი გზებით, გაალწია ექსპერტების, საბჭოს და გასაშუალებული საზოგადოებრივი აზრის მარწუხებს.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ვამტკიცო, რომ დღეს, მსოფლიოში არსებული XX საუკუნის ვერც ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწარმოები ვერ გაალწევდა ჩვენს ბიუროკრატიულ საცერს და, თუ ბოლომდე გულწრფელნი ვიქნებით, ვერც ერთი ეს პროექტი ვერ შეიქმნებოდა ჩვენში სწორედ ამ სახელმწიფო ბიუროკრატიული სტრუქტურების მიერ ჩამოყალიბებული აზროვნებითი შტამპისა და მათ მიერვე შექმნილი უხილავი შემოქმედებითი ცენზურის გამო. იმავე სტრუქტურებს უნდა „ვუმადლოდეთ“ იმას, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც, დღეს პრაქტიკულად არქიტექტურული ერთსტილიანობაა, რომელსაც ფუნქციონალიზმისა და პოსტმოდერნიზმის ჰიბრიდი შეიძლება ეწოდოს. და, ყოველივე ეს ხდება თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურაში არნახული მრავალსტილიანობის და მრავალი მიმართულების ფონზე.

არ ვიცი, რას გრძნობენ ჩემი კოლეგები არქიტექტურული საბჭოდან, მაგრამ ჩემთვის, როგორც განსასჯელის, ასევე განმსჯელის როლი, საკმაოდ უსიამოვნოა. ხუროთმოძღვრება არ არის ზუსტი მეცნიერება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთდროულად მრავალი სწორი პასუხი შეიძლება არსებობდეს, ამიტომ, საბჭოს წევრი, ბუნებრივია, უპირატესად თავის სიმართლეს ამტკიცებს და აზარტში შესულებს, ხშირად გვავიწყდება, რომ ავტორიც შეიძლება მართალი იყოს..

უცებ აბსურდული წარმოდგენა მეუფლება. პარიზის მერიის ერთი მყუდრო დარბაზი. მიმდინარეობს არქიტექტურული საბჭოს სხდომა. მაგიდასთან მიყოლებით სხედან: ბერნარ ზერფიუსი, პოლ შემეტოვი, ჟან ნუველი, რიკარდო ბოფილი, ჰენრი გაუდინი, ქრისტიან დე პორტზამპარკი. ლუსიენ კროლი, ჰენრი კირიონი, ალაინ სარფატი. ნეტა რა კრიტერიუმებით იხილავენ პროექტს? რომელ არქიტექტურულ ენაზე ელაპარაკებიან ერთმანეთს, მათ ხომ ერთმანეთის არქიტექტურული ენა არ ესმით, თითოეული მათგანი ხომ მთელი ცხოვრება საკუთარ ენას ქმნიდა?

გინდა მთელი ხმით იყვირო, არა, ძმებო, ასე ვერ მიიღწევა დიდი არქიტექტურა. ხალხნო, როგორ ვერ ვხვდებით ჩვენც, რომ მამა და მარჩენალი სეთურის საირმის ბანაკს დავემსგავსეთ.

აი, რა, ბატონო კოლეგებო, არქიტექტურული საბჭოს წევრებო, ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ თვითდაშლა და გადავდგათ პირველი ნაბიჯი ახალი პროფესიული ურთიერთობისაკენ. დროებით ამ ფუნქციას სრულიად უმტკივნეულოდ გაართმევს თავს მთავარი არქიტექტორი და მისი აპარატი, რამდენიმე ექსპერტთან ერთად, მერე ვნახოთ, მოვიფიქროთ, როგორ ვიცხოვროთ. მართალია, ჩვენ ძალიან მოგვენატრება ერთმანეთი, ყოველ ოთხშაბათს რომ ვერ შევხვდებით. მაგრამ ამისათვის სხვა გზა გამოვნახოთ.

მოდით, ნუ დავკარგავთ დროს საკუთარი, „ქართული“ ორგანიზაციული წესების ძიებაში. ცივილიზებულ სამყაროს ბევრი რამ აქვს უკვე მოკვლეული და საჭირო იქნება ამ მოკვლეულის და გამოცდილის გონივრული გამოყენება, ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინება, ზოგი რამ მეც ვიცი.

ყოველ მერიასთან არსებობს ქალაქის განვითარების განყოფილება, რომლის უპირველესი ამოცანაა ქალაქის გენერალური გეგმის რეალიზაცია და მასზე კონტროლი, მაგისტრალების, სატრანსპორტო კვანძების, საინჟინრო ქსელების რეალიზაცია, გენერალური გეგმის შესაბამისად. ქალაქთა ეს განყოფილებები ამუშავებენ და ცალკეულ მინაშენებზე გასცემენ ტექნიკურ პირობებს, რომლის შესრულება აუცილებელია. საცხოვრებელ რაიონებში გამოყოფილია ზონები (ჩვენი გაგებით კვარტალები, მიკრორაიონები და ა. შ.) ყოველგვარი მოცულობითი წინადადების გარეშე. თითოეულ საცხოვრებელ წარმონაქმნზე ცხადდება კონკურსი, სადაც ძირითადად განსაზღვრულია მოცემული ტერიტორიის, ინტენსიფიკაციის (განაშენიანების სიმჭიდროვის) მოთხოვნები, რა თქმა უნდა როდესაც საქმე ეხება მუნიციპალურ ტერიტორიასა და მშენებლობას. კერძო საკუთრების შემთხვევაში ასეთი მოთხოვნები არ არსებობს. რა მხატვრულ-არქიტექტურული პრინციპით იქნება ეს უბნები გადაწყვეტილი, სწორედ ეს წარმოადგენს კონკურსის საგანს. ასეთ ორგანიზაციულ საფუძველზე მიიღწევა ის არქიტექტურულ-მხატვრული მრავალფეროვნება, რომელიც ასე აკლია ჩვენს ახალ ქალაქებსა და საცხოვრებელ რაიონებს.

უცხოური პრესის ფურცლებიდან და ტელევიზიიდან ხშირად ვისმენთ ბრალდებებს ამა თუ იმ მინისტრის და თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო დაკვეთების რომელიმე ფირმისთვის გადაცემის თაობაზე. ეს უაღრესად სარისკო საქმეა და ტრადიციულად, საზოგადოებრივი აზრი, ასეთ ქმედებას მერკანტილურ ცდუნებებს უკავშირებს. ამიტომაც სახელმწიფო დაკვეთები, როგორც წესი, არა თუ პირდაპირი დაკვეთით, არამედ კონკურსის შედეგად გაიცემა. დღესდღეობით ჩვენთან, ამ მხრივ, ყველაფერი ძველებურადაა. დღემდე არსებობს დამკვეთის ინსტიტუტი, სამინისტროებს, მერიებს, უწყებებს, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებს წარმოადგენენ, გააჩნიათ თავიანთი საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები. ცხადია, ასეთი მდგომარეობა მათ ხელს აძლევს. გარანტირებულია დამკვეთის დიქტატი არქიტექტურაზე და მშენებლობაზე, რომ არაფერი ვთქვათ ამგვარ დაქვემდებარებასთან დაკავშირებულ „ხელსაყრელ“ გარიგებებზე.

რაც შეეხება პროექტის დამტკიცების წესს: დავიწყოთ იმით, რომ მნიშვნელოვნად განსხვავებულია მოთხოვნები ქალაქის ახალი და ისტორიული რაიონებისა და არქიტექტურული ძეგლებისადმი ის, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ძირითადად შეეხება ქალაქის ახალ რაიონებს. მერიის ქალაქის განვითარების განყოფილებაში პროექტი გადის ექსპერტიზას. ამ ექსპერტიზის მიზანია დაადგინოს პროექტის შესაბამისობა ქალაქის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან და ქვეყანაში არსებულ სამშენებლო ნორმებთან და კანონებთან. შენობის თუ კომპლექსის არქიტექტურულ-გეგმარებით და მხატვრულ-კომპოზიციურ საკითხებთან ექსპერტიზას არაფერი არ ესაქმება. ეს დამკვეთის და ავტორის პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, არც დამკვეთი და არც ავტორი არანაირად არ არის დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე, არც მთავარ არქიტექტორის გემოვნებაზე პროფესიულ სიმპატია-ანტიპატიაზე და არც საბჭოს წევრებზე. **დროა ფეოდალური ურთიერთობიდან, რომელიც „გამონაკლისის წესით“ განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა და დღესაც ანიჭებს თანამდებობის პირს და, რომელიც კვლავაც ამკვიდრებს მორჩილებასა და მონურ ფსიქოლოგიას, გადავიდეთ სამართლებრივ ურთიერთობებზე.** დასკვნა ასეთია: არქიტექტურულ პროცესებს, როგორც შემოქმედებითს, ასევე ორგანიზაციულს, უნდა არეგულირებდნენ წესები და კანონები და არა არქიტექტურული საბჭოები და პიროვნებები. არქიტექტორი, დამკვეთი, საპროექტო და სამშენებლო ფირმები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ წესებისა და კანონების წინაშე. **წესები და კანონები კი უნდა იცავდნენ მათ უფლებებს.** მხოლოდ ასეა შესაძლებელი, დღეს, გარდამავალ პერიოდში, საბაზრო ეკონომიკისაკენ ორიენტირებულ, მაგრამ ფაქტობრივად არასამართლებრივ ქვეყანაში, სადაც ერთდროულად თანაარსებობენ ტოტალიტარული სახელმწიფოს კანონები და რაღაც საბაზრო ეკონომიკისებური წესები, არქიტექტორის, მთლიანად პროფესიის დაცვა სუბიექტივიზმის, მერკანტილიზმის, კლანურობის და მაფიისაგან. მხოლოდ კანონის უზენაესობითა და პატივისცემით შეიძლება იმ დამანგრეველი, სტიქიური, ეგოისტური ინსტინქტების მოთოკვა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს მოქალაქეების მხრიდან ქალაქის საერთო ინტერესების საწინააღმდეგოდ.

უპირველესი პრობლემებია: პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნა, საავტორო უფლებების დაცვა, პროექტის შეთანხმება-დამტკიცების რეგლამენტის დადგენა კერძო საკუთრებისა და კერძო დამკვეთის აღმოცენებასთან დაკავშირებით, ავტორის, დამკვეთის და სახელმწიფო არქიტექტურული სტრუქტურების უფლებამოსილებათა მკვეთრი გამიჯვნა, თითოეულის მოვალეობის ზუსტი განსაზღვრა. სახელმწიფო დაკვეთების გაცემის წესების დადგენა, პროფესიული ატესტაცია — ლიცენზირება, სამშენებლო ნორმებისა და წესების დამუშავება საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ, ყოფითსაექსპლუატაციო პირობებში და რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის უკიდურესი მცირემიწიანობის გათვალისწინებით და სხვა. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ყველასათვის თანაბარი, სამართლიანი პირობები მოღვაწეობისათვის.

სრულიად წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფო სტრუქტურები აიღებენ ინიციატივას არქიტექტურასა და მშენებლობაში ახალი წესრიგის დასამყარებლად, ახალი კანონების შესაქმნელად, რადგანაც ასეთი კანონები გარკვეულ საფრთხეს შეუქმნიან თავად ამ სტრუქტურების არსებობას. პრაქტიკამ ისიც ნათლად დაგვანახა, რომ მახინჯი მოვლენის აღმოფხვრა შეუძლებელია ძველი სტრუქტურების და ძველი წესების ფარგლებში რა გინდ სახეშეცვლილად და სახეშეუცვლელად არ წარმოვადგინოთ ისინი. აქ გამოსავალი ერთია — „კართაგენი უნდა დაინგრეს“, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე უნდა განვთავისუფლდეთ მოძველებული წესების, ურთიერთობების და წარმოდგენებისაგან.

პირადად მე ამ გადაუდებელი საქმის მოთავედ საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, მისი კოლეგია და თავად პროფესიული საზოგადოება მესახება, რა თქმა უნდა, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ვახტანგ დავითაია.

• • •

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული თავდაცვის ფონდში.

გვიპასუხებენ

„საჭირო, მიტოვებული სამსახური“

„საქართველოს რესპუბლიკა“ № 66

რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბ. ზვიტაძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა წერილი „საჭირო. მიტოვებული სამსახური“, რომელშიც გაშუქებული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობა და ის სირთულეები, რომლებიც ამ ორგანიზაციის მუშაობაში არის.

პუბლიკაციაში სწორადაა მითითებული სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მნიშვნელობაზე. მის უნარიან, პრინციპულ და კვალიფიცირებულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ძვირფასი ლითონების წარმოების, დამუშავების და რეალიზაციის პროცესში კანონიერების დაცვა, რაც ხელს უწყობს ძვირფასი ლითონების სახელმწიფო მარაგის ფორმირებას.

ფინანსთა სამინისტრო ეთანხმება სტატიაში აღნიშნულ შენიშვნებს ინსპექციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტისა და შრომის პირობების მოუგვარებლობის შესახებ. ინსპექციას არა აქვს რეგიონული ქვედანაყოფები, რაც სერიოზულ სირთულეებს უქმნის მომხმარებლებს.

ყველა აღნიშნულ პრობლემებზე იმსჯელა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიამ. დაისახა ღონისძიებები სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ქ. თბილისის მერიის წინაშე დაისვა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის № 465 დადგენილების შესაბამისად კიდევ ერთხელ განიხილოს საკითხი სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისათვის დამატებითი სამუშაო ფართობის გამოყოფის შესახებ.

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი „გაენათი“

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1) დღის განყოფილება I ქართული სექტორი:

1. საგარეო-ეკონომიკური ფაკულტეტი;

ა) საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი;
ბ) მენეჯმენტი-მარკეტინგი (სპეციალიზაცია-„წარმოების მართვა“, „ვაჭრობის ორგანიზაცია და კომერციული საქმიანობა“;)
გ) „საბაჟო საქმე“.

2. საბანკო და საბირჟო ფაკულტეტი:

ა) საბანკო საქმე და ფინანსები;
ბ) საბირჟო საქმიანობა;

3. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი:

ა) „თეატრალური საქმიანობის იმპრესარიო“;
ბ) მუსიკალური საქმიანობის იმპრესარიო“;
გ) „კინო-ტელე საქმიანობის პროდიუსერი“.
დ) „სახვითი ხელოვნების საქმიანობის მენეჯერ-ექსპერტი“;
ე) „ქორეოგრაფიული საქმიანობის იმპრესარიო“;
ვ) „ცირკის, ესტრადისა და სანახაობათა საქმიანობის იმპრესარიო“.

4. დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტი:

ა) „ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
ბ) „საკურორტო საქმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
გ) „სასტუმრო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
დ) „ტურიზმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
ე) „განათლების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
ვ) „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
ზ) „სამშენებლო ინდუსტრიის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“.

5. სამედიცინო - ბიოლოგიის ფაკულტეტი:

ა) „სამკურნალო-პროფილაქტიკური საქმე“ (სპეციალიზაცია - „ექიმი - რეაბილიტოლოგი“, პედიატრი-რეაბილიტოლოგი);
ბ) „ფიტოთერაპია“ (სპეციალიზაცია - „ექიმი ფიტოთერაპევტი“, „პედიატრი-ფიტოთერაპევტი“);
გ) „პარა-კლინიკური დიაგნოსტიკა“;
დ) „სპოროვან მცენარეთა გამრავლების ტექნოლოგია და გამოყენება“;
ე) „ზოგადი ბიოლოგია“.

6. ისტორიის ფაკულტეტი: „ისტორია“ სპეციალიზაცია.

ა) „საქართველოს ისტორია“;
ბ) „მსოფლიო ისტორია“;
გ) „ეთნოგრაფია“;
დ) „კავკასიის ხალხთა ისტორია“;
ე) „არქეოლოგია“;

II. რუსული სექტორი:

1. „საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი“;
2. „მენეჯმენტი-მარკეტინგი“;
3. „საბანკო საქმე და ფინანსები“;
4. „საბირჟო საქმიანობა“;
5. „კინო-ტელე საქმიანობის პროდიუსერი“;
6. „სახვითი ხელოვნების საქმიანობის მენეჯერ-ექსპერტი“;
7. „ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
8. „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
9. „ტურიზმის ეკონომიკა, ორგანიზცია და მართვა“;
10. „საკურორტო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
11. „სამშენებლო ინდუსტრიის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“;
12. „სამკურნალო-პროფილაქტიკური საქმე“;
13. „ფიტოთერაპია“;
14. „ისტორია“ (სპეციალიზაცია — „საქართველოს ისტორია“) „მსოფლიო ისტორია“; „კავკასიის ხალხთა ისტორია“);

III. საღამოს განყოფილება:

1. „საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი (ქართული, რუსული სექტორები);
2. „მენეჯმენტი- მარკეტინგი“ (ქართული, რუსული სექტორები);
3. „საბანკო საქმე და ფინანსები (ქართული, რუსული, სექტორები);
4. „საბირჟო საქმიანობა“ (ქართული);
5. „კინო-ტელე საქმიანობის პროდიუსერი“ (ქართული);
6. „სახვითი ხელოვნების საქმიანობის მენეჯერ-ექსპერტი“ (ქართული);
7. „ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“ (ქართული);
8. „საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“ (ქართული);
9. „ტურიზმის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა (ქართული, რუსული სექტორები);
10. „საკურორტო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“ (ქართული, რუსული, სექტორები);
11. „სამშენებლო ინდუსტრიის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა“ (ქართული, რუსული, სექტორები);
12. „ფიტოთერაპია“ (ქართული);
13. „ისტორია“ სპეციალიზაცია — „კავკასიის ხალხთა ისტორია“ (რუსული).

IV. აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს

აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

„საგარეო-ეკონომიკური“, „საბანკო და საბირჟო“ და დარგობრივი ეკონომიკის“ ფაკულტეტების ყველა სპეციალობებზე“;

მათემატიკა, უცხო ენა, ქართული (რუსულ სექტორზე - რუსული) ენა და ლიტერატურა.

ისტორიის ფაკულტეტზე - ქართული (რუსული) ენა, საქართველოს ისტორია, უცხო ენა.

სამედიცინო - ბიოლოგიის ფაკულტეტზე - ბიოლოგია, ქიმია, ქართული (რუსული) ენა.

სწავლების ხანგრძლივობა - სამედიცინო - ბიოლოგიის ფაკულტეტზე - 5 წელი, დანარჩენ ფაკულტეტებზე - 4 წელიწადი.

5: ინსტიტუტის მიღების წესების შესაბამისად:

1. მისაღები გამოცდები სამივე საგანში ტარდება წერითი წესით.
2. გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლებამიღებული პირები ასაკის შეუზღუდავად.
3. ინსტიტუტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებებით, გარდა უმაღლეს განათლებამიღებული პირებისა, რომლებიც ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ მე-2 კურსზე.
4, აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:
   ა) საშუალო განათლების დოკუმენტი დედანი (დანართთან ერთად);
   ბ) სამედიცინო ცნობა (ფორმა 086);
   გ) 6 ფოტოსურათი (ზომით 3X4);
   დ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პასპორტისა და მიწერის მოწმობის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისას, ხოლო გამოცდებზე გასვლის დროს - პასპორტისა და საგამოცდო ფურცლისა.

5. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 4000 მანეთი, ჩაჭრილ აბიტურიენტებს შემოტანილი თანხა უკან არ დაუბრუნდებათ.
6. ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო სისტემით დადგენილი წესების შესაბამისად.
7. წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. სტუდენტის სწავლის საფასური 1994-95 სასწავლო წელს ნაღდ ანგარიშზე როგორც დღის, ისე საღამოს განყოფილებაზე, სპეციალობებისა და კურსების მიხედვით დიფერენცირებულია.

ინსტიტუტში ჩარიცხული აბიტურიენტები ვალდებული არიან სწავლის წლიური საფასური გადაიხდიან ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

საბუთების მიღება წარმოებს
4 ივლისიდან ყოველდღე (კვირა
დღის გარდა) დღის 10-დან
16 საათამდე.
მისაღები გამოცდები ჩატარდება
1 აგვისტოდან განრიგის
მიხედვით.
ინსტიტუტში ჩარიცხვა
დამთავრდება 10 აგვისტომდე.
„ღია კარის“ დღე მოეწყობა
წლეულს, 31 ივლისს, ინსტიტუტის
სააქტო დარბაზში, 11 საათზე.

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
ქეთევან წამებულის ქ. №55,
(მეტრო „300 არაგველი„).

ცნობათა ბიურო იმუშავებს 4
ივლისიდან, 10-დან
17 საათამდე.

მიმღები კომისიის
პასუხისმგებელი მდივნის
ტელეფონი: 74-21-92.

ინსტიტუტ
„გაენათის“
მიმღები კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული ბანკი „საქბინსოცბანკი“

ახორციელებს თავისი კლიენტურის მომსახურებას სამანეთო ჩეკებით, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ „იურიდიულ და ფიზიკურ პირს მიიღოს ნაღდი რუსული მანეთი რუსეთში, „მოსბიზნესბანკში“

„საქბინსოცბანკი“ სამანეთო ჩეკებით მომსახურეობას გაუწევს კლიენტურას, რომლებიც ისარგებლებენ ჩვენი ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებით „მოსბიზნესბანკში“ ან თუ ისინი ჩაგვაბარებენ ნაღდ ვალუტას ქ. თბილისში.

ქალბატონებო და ბატონებო! სამანეთო ჩეკები საშუალებას მოგცემთ ისარგებლოთ ცივილიზებული საბანკო მომსახურეობით

— უსაფრთხოდ მიიღოთ ნაღდი რუსული მანეთი რუსეთში

— თავიდან აიცილოთ საბაჟო კონტროლი და ვალუტის დეკლარირების საჭიროება.

მიმართეთ მომსახურეობისათვის „საქბინსოცბანკს“ და თქვენ მიიღებთ საბანკო მომსახურეობის მაღალ სერვისს რომელიც მრავალ პრობლემას მოგიხსნით თქვენი საქმიანი და სხვა მიზნებით მგზავრობის დროს.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი,
პუშკინის ქ. № 3 „საქბინსოცბანკი“

ფირმა „ბერიკონი“
ჰყიდის
კაუსტიკურ სოდას.
პირობებისთვის დარეკეთ
29-44-03; 39-28-08; 31-24-55,
საღამოს საათებში,
34-51-33
ნებისმიერ დროს.

ცხადდება კონკურსი

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ კანონის 70-ე და 71-ე მუხლების და „საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) მოსამართლეთა კანდიდატების კონკურსით შერჩევის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად აცხადებს კონკურსს თბილისი, ფოთისა და ახალციხის რეგიონული სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მომართონ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.

თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 30.

განცხადებას უნდა დაერთოს:

1. კადრების აღრიცხვის ფურცელი,
2. ავტობიოგრაფია,
3. უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის პირი,
4. დახასიათება ბოლო სამუშაო ადგილიდან,
5. ორი ფოტოსურათი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველები გაივლიან კომისიის მიერ შემუშავებულ ტესტირებულ გამოცდას.

კონკურსი ჩატარდება ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ.

კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოში. ტელ: 99-90-06, 99-67-42, 99-56-43.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა-ლიტერატურა და ინგლისური ენა,
2. ქარული ენა-ლიტერატურა და ებრაული ენა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა და თურქული ენა,
4. ისტორია და რელიგიის ისტორია,
5. სახვითი ხელოვნება და ხელოვნებათმცოდნეობა,
6. ფიზიკა და მათემატიკა,
7. ქიმია და ბიოლოგია,
8. სკოლამდელი აღზრდა,
9. დაწყებითი განათლება.

სწავლება ფასიანია.

საბუთების მიღება იწარმოებს 1994 წლის 24 ივლისამდე, 10-დან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 380008, ზ. ზანდუკელის ქ. № 1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი (მეტრო რუსთაველთან).

ტელეფონები: 93-28-98, 99-88-00, 99-55-09.

რექტორატი.

მიხეილ დავითაშვილი-80

თანამოკალმე

გუშინ აღინიშნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ყოფილი რედაქტორის მიხეილ დავითაშვილის დაბადების 80 წლისთავი.

დღის 12 საათზე მემორიალური დაფა გაიხსნა სახლზე (მერაბ კოსტავას ქ. № 72), სადაც ცხოვრობდა იუბილარი, შემდეგ კი — საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სხდომათა დარბაზში მოეწყო მისი ხსოვნის საღამო.

მიხეილ დავითაშვილის მეგობრებმა, სხვადასხვა თაობის მწერლებმა, ჟურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მოიგონეს ეს მუდამ მაძიებელი, მოუსვენარი კაცი, ილაპარაკეს მის მაღალ პროფესიონალიზმზე, ქართული სოფლის, სამამულო ომის პუბლიცისტური თემატიკის განვითარებაში შეტანილ წვლილზე, პიროვნულ უბრალოებაზე, სიკეთეზე...

საქართველოში დაბადებული და გაზრდილი მიხეილ დავითაშვილი ქართველი ებრაელობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ჭეშმარიტი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი იყო. მის სახელს დავიწყება არ უწერია.

იუბილეს ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი.

მართალი ქართული სიტყვისა და სანიმუშო ქართული საქმის კაცი იყო ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ დავითაშვილი. ამას თავისებურად გვახსენებს აქ წარმოდგენილი ერთი სამახსოვრო ფოტოც. იგი 1970 წლის 17 თებერვალსაა გადაღებული, თბილისში, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში. მასზე რედაქციაში დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ტრადიციული შეხვედრების მონაწილეთა ერთი ჯგუფია აღბეჭდილი (მარცხნივ სხედან) ისტორიკოსი მირიან ქობიაშვილი, ამ სტრიქონების ავტორი, გმირი-პარტიზანი დავით ბაქრაძე, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კალაძე, ჟურნალისტი არჩილ კოკილაშვილი; (დგანან) ჟურნალისტები გრიგოლ იარალოვი, ვახტანგ სიხარულიძე, გმირი მეზღვაური, პირველი რანგის კაპიტანი იაროსლავ იოსელიანი, ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი, მწერლები გიორგი ნატროშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, ტექსელის გმირი ევგენი არტემიძე, ჟურნალისტი გრიგოლ თოდუა.

თანამოკალმე ვეტერანთა ასეთი შემოქმედებითი შეხვედრები ხშირად იმართებოდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში, მისი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო გაზეთის რედაქტორი, ომგადახდილი ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი. ასეთ შეკრებებზე საინტერესო, აქტუალური საკითხები იხილებოდა და წყდებოდა, უშუალო, მეგობრულ საუბრებში, საგულისხმო სჯა-ბაასში, ვეტერანები იხსენებდნენ წარსულ დიდ ომში ქართველი მეომრების, ეროვნული დივიზიების დაუვიწყარ მეომრულ ეპიზოდებს.

აქვე [illegible] გაზეთის მეტყველი რუბრიკები: „ვადიდოთ გმირები!“ „რაც არ თქმულა“..

ვეტერანთა ერთ-ერთ ასეთ შემოქმედებით შეხვედრაზე წარმოიშვა იდეა, კავკასიაში გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა ჯარებზე გამარჯვების 30 წლისთავისათვის მომზადებულიყო ამ ისტორიული ბრძოლის მონაწილეთა ერთობლივი კრებული: „კავკასიამ გაუძლო, კავკასიამ გაიმარჯვა“, და ჯეროვანი მოფიქრებისა და სამზადისის შემდეგ, მოკლე დროში, 1973 წლის ბოლოსათვის, მომზადდა და დაისტამბა ფრიად საინტერესო და სასარგებლო წიგნი, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა. ნაშრომი შეადგინა მიხეილ დავითაშვილმა, ხოლო რედაქტორი გახლდათ ჟურნალისტი გიორგი ბედინეიშვილი.

კრებულში დაისტამბა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ედუარდ შევარდნაძის, კანდიდ ჩარკვიანის, ამიერკავკასიის ფრონტის ყოფილი სარდლის, არმიის გენერლის ივანე ტიულენევის, ომის ვეტერანების, გენერლების მიხეილ მიქელაძის, ვლადიმერ ზარელუას, გიორგი ყურაშვილის, ოფიცრების კლიმენტი გვალიას, ვარლამ ჯანჯღავას, არტემ აზიროვის, ალექსი პირმისაშვილის, დიმიტრი ჯაბუას, მიხეილ ბუსკაძის, აპოლონ დოჭვერის, იაკობ კეზერაშვილის, ექიმ თამარ გოთუას, იაროსლავ იოსელიანის, ამ სტრიქონების ავტორის და სხვათა სტატიები, ნარკვევები, მოგონებები.

თავისი პროფილითაც გამოირჩეოდა გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, ამასთან საქმის ცოდნით, მონდომებით, მრავალმხრივ აშუქებდა სამხედრო-პატრიოტულ თემატიკასაც. ამ მიზნით უნარიანად იყენებდა განსხვავებულ, ქმედით საგაზეთო ფორმებსა და ჟანრებს, დროულად ებმიანებოდა ამ დარგში გამოჩენილ სიახლეს, კვალიფიციურად აშუქებდა მათ. მრავალთა შორის ორიოდე მაგალითი: 1973 წლის 8 მაისს, საღამოს, გამარჯვების დღის წინ, საქართველოს ტელევიზიით შედგა ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის „გმირი, ლექსი, სიმღერა“. (რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მერაბ ჯალიაშვილი, სცენარი ამ სტრიქონის ავტორისა) პრემიერა, გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ მესამე დღეს, ოპერატიულად დასტამბა ჟურნალისტ ბეჟან სვანიძის რეცენზია, ხოლო შემდეგ გამოქვეყნდა ცნობილი სცენარისტის, ქართული კინოს ისტორიის მკვლევარის, 392-ე ქართული დივიზიის ყოფილი ოფიცრის კარლო გოგიძის ვრცელი მიმოხილვა.

ტელეფილმი მიეძღვნა 392-ე ქართული დივიზიის მეომრების, კერძოდ, კაპიტან მიხეილ ბუხაიძისა და მისი თანაპოლკელების თავდადებასა და გმირობას, კავკასიის დაცვის დროს. ფილმში მონაწილეობდნენ: პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, პოლკის მეთაური არტემ ბერაძე, კომისარი შალვა ვასაძე და სხვა.

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, თავის ძირითად დანიშნულებასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევდა სამხედრო-პატრიოტული ხასიათის წიგნების რეცენზირებას, მკითხველისათვის დროულ გაცნობას. მათზე კომპეტენტური ავტორების რეცენზიების გამოქვეყნებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალისტის მიხეილ დავითაშვილის, როგორც ავტორის შემოქმედებითი წარმატებები და მიღწევები. მოუსვენარი, მუდამ ახლის მაძიებელი კაცი-მოღვაწე იყო იგი, მან ასობით, ათასობით ქართველი კაცის, მეომრის, ჯარისკაცის, ოფიცრის თუ გენერლის სანიმუშო საბრძოლო საქმე, სახელი აღადგინა, შემოუნახა ახალ „ქართლის ცხოვრებას“.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მისი სოლიდური ნაშრომი, სამხედრო-პუბლიცისტური ჟანრის ნაწარმოები „ლესელიძე“. იგი ფრიად ორიგინალური წიგნია, ასე სრულად რომ აშუქებს სახელოვანი ქართველი მხედართმთავრის, არმიის სარდლის ნიჭსა და ორგანიზატორულ ტალანტს, მის თანაპოლკელთა, ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცთა მხედრულ უნარსა და მამულიშვილობას, კერძოდ, 46-ე არმიის შტაბის უფროსის, გენერალ მიხეილ მიქელაძის, სამხედრო საბჭოს წევრის ვალერიან ბაქრაძის, საგანგებო განყოფილების უფროსის, გენერალ ვლადიმერ ზარელუას და სხვათა თავგამოდებასა და ამაგს კავკასიონის უღელტეხილების, საქართველოს კარიბჭეთა დაცვაში.

წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ბრძოლის ველზე, მტერთან პირისპირ შეხვედრისას ქართველი მეომრების საბრძოლო დახელოვნება, გაწაფულობა, მაღალი მეომრული შეგნება, შემტევი, სპეტაკი სულისკვეთება, უნარიანი თანამოქმედება და მხედრული ამხანაგობა, დღეს ეგზომ საჭიროა და აუცილებელი ახალი არმიის მშენებლობის პროცესში, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით. საგულისხმოა მიხეილ დავითაშვილის ინიციატივით, მისივე სცენარით შექმნილი დოკუმენტური ფილმი „გენერალი ლესელიძე“ (რეჟისორი — შალვა ჩაგუნავა), რომელმაც ცისფერ ეკრანზე თვალსაჩინოდ, დასამახსოვრებლად წარმოგვიდგინა, ხალხს, თაობებს შემოუნახა დაუვიწყარი ქართველი სარდალი, ქართველ მხედართა სახელო საბრძოლო საქმენი მსოფლიო ომში.

...ომის დაწყებისთანავე ათასობით თანამემამულეებთან ერთად, ფრონტზე წავიდა 27 წლის, უკვე გაწაფული ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი. იგი კავკასიის მისადგომებთან მოქმედი დივიზიის გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი გახდა, ბეჯითად ასრულებდა საომარ ვითარებაში კალმითა და თოფით მებრძოლი ადამიანის მძიმე, საპატიო მოვალეობას, ხშირად იყო პირველ ეშელონში, მოწინავე პოზიციებზე, ცოცხალი, ოპერატიული კორესპონდენციების მოსამზადებლად. ერთ-ერთი ფიცხელი მოგერიებითი ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი მიხეილი თანაპოლკელმა ჯარისკაცებმა სამშვიდობოზე გამოიყვანეს. თანამემამულე დასტაქართა მზრუნველობით საშიში ჭრილობა მოიშუშა და კვლავ თანამოკალმეთა მწყობრში ჩადგა, განაგრძო საყვარელი საქმე, სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სამხედრო განყოფილებას, წლების მანძილზე აქვეყნებდა გმირთა მადიდებელ პუბლიკაციებს „ქვეყანას და ხალხს აცნობდა მათ სასახელო მამაცობასა და ვაჟკაცობის მისაბაძ ნიმუშებს.

ასე დაიბადა მიხეილ დავითაშვილის პირველი მხედრული ნარკვევების წიგნი „საბრძოლო დღეების ფურცლები“, რომელსაც თ. ტალბუხინის წინასიტყვაობა ამშვენებდა.

ამას მოჰყვა შემდგომი დაულალავი შემოქმედებითი შრომა და ძიება, ასე ნაყოფიერად რომ გაიფურჩქნა მისი მოღვაწეობა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში. ქართული ეროვნული პუბლიცისტიკის ტრადიციებზე აღზრდილი მიხეილ დავითაშვილი უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ პრესას, იყო რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. იგი დიდი, დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თანამოქალაქეთა შორის, რაც მაღალი ჯილდოებით აღინიშნა.

დიახ, მართალი ქართული სიტყვის და სანიმუშო ქართული საქმის კაცი გახლდათ ჟურნალისტი მიხეილ დავითაშვილი და ასედაც დარჩება მისი ნათელი სახელი მადლიერ ქართულ საზოგადოებაში.

პეტრე შამათავა,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

საქმე და ადამიანი

ხრიოკიც ბაღნარად იქცევა,

თუ მიწას მეურნე პატრონობს

ისეთი დრო დაგვიდგა (თუ თავადვე დავიყენეთ!), პოეტისა არ იყოს, არც უნდა გვიკვირდეს, ავი რამ თუ გვჭირს. აკი, არც გვიკვირს (საზოგადოების ერთ ნაწილს მაინც) და უწინდებურად, რაღაცნაირი სპორტული ჟინით აღტყინებულნიც კი, ვძარცვავთ და ვკლავთ, ვანგრევთ და ვწვავთ, ვაფეთქებთ და ვანიავებთ სახალხო დოვლათ-სიმდიდრეს, თითქოს ხვალ ჩვენივე ასაშენებელ-გასამართავი არ იყოს ყველაფერი.

მოკლედ, აირია ქვეყანა, დაირღვა ცხოვრების ნორმალური რიტმი. ბევრგან ფერმაში პირუტყვს ველარ ნახავ, მინდორში ტრაქტორს, ზვრებსა თუ პლანტაციებში — მუხლჩაუხრელად მოფუსფუსე მშრომელს..

და მართლაც უდაბნოში ოაზისის გამოჩენასავით გაგახარებს და გაგაოცებს ამ ნგრევა-ქაოსის ფონზე გამომკრთალი გამართული მეურნეობა, ქართველი კაცისთვის ოდითგან დამახასიათებელი მიწისა და საქმის სიყვარული. სწორედ ასეთი გრძნობა დაგვეუფლა მეც და ჩემს კოლეგებს ტელევიზიიდან, როცა გარდაბნის რაიონის აგროფირმა „საქართველოს“ სავარგულებში აღმოვჩნდით.

ეს ფირმა 1981 წელს გარდაბნის სატყეო მეურნეობის ჯაგნარით დაფარულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ყოფილა ასეთი, რათა ნაყოფიერი ნიადაგი არ გამოეყენებინათ ამ მეურნეობისთვის და, რაც მთავარია, მავანთათვისაც დაემტკიცებინათ, რომ თუ საქმის ცოდნა და სიყვარულია, ხრიოკიც შეიძლება ბაღნარად იქცეს. ასე ჩაეყარა საფუძველი მაშინდელი მინისტრთა საბჭოს დამხმარე მეურნეობას.

ვწერ ამ სტრიქონებს და თითქოს ცხადად ჩამესმის ზოგიერთი ობივატელის ქირქილი, — რატომ არ აშენდებოდა და აყვავდებოდა, ბატონო, მინისტრთა საბჭო ხომ თავის მეურნეობას არანაირ დახმარებასა და ყურადღებას არ მოაკლებდაო.

არაფრის უარყოფა-მტკიცებას არ შევუდგები. ამ მეურნეობას არავითარი განსაკუთრებული პრივილეგია რომ არ ჰქონია, ამაში მკითხველი თავადაც დარწმუნდება რამდენიმე კონკრეტული ფაქტით.

ჯერ კიდევ არარსებული მეურნეობის თავკაცად იური ჭანტურია შეარჩიეს — ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაო ორგანიზატორული და სამეურნეო გამოცდილების მქონე ნიჭიერი მუშაკი. იგი მანამდე, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აბაშის რაიაბრეშუმის გაერთიანებას, მეურნეობას, კოლმეურნეობას, გახმაურებული აბაშური ექსპერიმენტის დროს კი რვა წელიწადს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

„— აჰა, უკვე დაიწყეთ კომუნისტებისდროინდელი ნომენკლატურული მუშაკების ქება, ლაღაცლაღაცეების ნოსტალგია ხომ არ მოგეძალათ, ძვილფასებო?“ — ნიშნის მოგების მიზნით და ირონიის გასამძაფრებლად უკვე ენასაც მიჩლექს „ცოდვაში“ ჩემი „გამოჭერით“ გახარებული ოპონენტი — ობივატელი.

არც ახლა დავიწყებ მასთან კამათს, მაგრამ თუ კოლექტივიც და ხელმძღვანელიც საქმით გამორჩეულია, ღირსეულია პიროვნებაც და ხალხიც, ვინ აკრძალა მათზე წერა? პარტიული ცენზურა ობივატელის ცენზურით შევცვალოთ? ისიც უნდა ითქვას, რომ აქაურები — უკლებლივ დიდ-პატარიანად, კარგი მამულიშვილები და თავიანთი საქმის მცოდნე-მოყვარულები არიან.

ამასთან დაკავშირებით ერთი პატარა ექსკურსი: როცა გაერთიანებული გერმანიის ზოგიერთ, ძალზე პასუხსაგებ სახელმწიფო პოსტზე ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები დასამტკიცებლად წარადგინეს, იქაურმა „პატრიოტებმა“ პროტესტი განაცხადეს — ისინი კომუნისტები იყვნენო. მათ მაშინვე ტაქტიანად, მაგრამ ერთობ დამაჯერებელი კატეგორიულობით განუმარტეს: წარმოდგენილი კანდიდატები გერმანელები არიან და თანაც თავიანთი საქმე შესანიშნავად იციან, ჩვენ კი დასაკარგავი სპეციალისტები არა გვყავსო!

თუმცა, ვატყობ, სიტყვა გამექცა და სათქმელს ავცდი...

ლარივით გაჭიმული გზა-ხეივანი მეურნეობამდე მიგაცილებთ, — ამ გზის გასაყვანად პირველი ბარი ჩვენი მაშინდელი, ჯერ კიდევ თითქმის შეუქმნელი კოლექტივის რამდენიმე წევრმა დავკარით, — ამბობს ბატონი იური, — ნარგავებიც მაშინ ჩავყარეთ, ვედროებით სათითაოდ ვრწყავდით დილა-საღამოს. მერე ავტოცისტერნა ვიშოვეთ და თითქოს გაგვეშველა...

მძიმედ იღება ფირმის რკინის ალაყაფი. ვაზის ლამაზ თალარში შესვლით თაკარა მზეს გამორიდებულნი და სიგრილით სულმოთქმულნი ვათვალიერებთ თევზის ტბორებს, მეცხოველეობისა და მეღორეობის ფერმებს, საფრინველეების, სათბურების, საწყობებისა თუ სხვა დამხმარე ობიექტების ნაგებობებს.

და მაშინვე თვალში მხვდება ერთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ, ჩემი აზრით, მეურნეობის ხელმძღვანელის მუშაობის სტილისთვის დამახასიათებელი ნიუანსი: ამ ნაგებობათაგან ყველაზე ლამაზად და „შენახულად“ ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა გამოიყურება. და იმიტომ კი არა, რომ მას ყველაზე უკეთ უვლიან და არემონტებენ. არა, იგი, უბრალოდ, ყველაზე ბოლოს, სულ რამდენიმე წლის წინათ, მხოლოდ მაშინ ააგეს, როცა სხვა დანარჩენი, აუცილებელი ობიექტების მშენებლობა დაამთავრეს. მანამდე კი დირექცია ბარაკის ტიპის პატარა შენობაში იყო თავშეფარებული.

— კაბინეტებში დასაჯდომად სად გვეცალა, მინდვრებში საქმეს ვერ ავუდიოდითო, — ისე, სასხვათაშორისოდ, ამბობს დირექტორი.

საქმე კი მართლაც ძალიან ბევრი ჰქონდათ. მით უფრო, სანამ კოლექტივი შეიკვრებოდა. სწორედ რომ, შეიკვრებოდა და არა, უბრალოდ, შეივსებოდა, რადგან მხოლოდ ერთი მიზნით შედუღაბებულ კოლექტივს თუ შეეძლო აქაური ჯაგნარისა და ხრიოკის ამოძირკვა-გამასივება, სარწყავი სისტემით დაქსელვა, ბაღნარად ქცევა და მერე არა მარტო გაკეთებულ-მიღწეულის გამრავლება და წინსვლაზე ფიქრი, არამედ საჭიროებისას თუნდაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ერთობლივი ნაამაგარისა და სახალხო დოვლათის დაცვა.

ამის საშიშროება კი აქ ბოლო ხანს საკმაოდ ხშირად იყო. როგორც დირექტორის მოადგილემ ბადრი მიმინოშვილმა, მთავარმა ინჟინერმა აკაკი კარანაძემ, მეცხოველეობის ფერმის მმართველმა ევგენი ცხადაიამ და სხვებმაც მითხრეს, ამ ფირმაშიც ხშირი ყოფილა 5, 10, 15 თუ მეტკაციანი, ნიღბიანი თუ უნიღბო, ავტომატიანი თუ ყუმბარმტყორცნიანი ბანდიტების „ვიზიტი“. კოლექტივთან რომ ვერაფერი გაუწყვიათ, დირექტორის კაბინეტიც ხშირად „გაუბედნიერებიათ“ თავიანთი სტუმრობით, მაგრამ აგროფირმელთა ვაჟკაცობა-შეუვალობასა და ერთსულოვნებას თავისი გაუტანია. რკინის ალაყაფი არ გახსნილა. რაიმე ღირებული კი არა, ერთი ჟანგიანი ლურსმანიც ვერავის გაუტანია აქედან.

და აქაც მინდა ჩემი ობივატელი ოპონენტი „დავამშვიდო“ — ყველაფერი ეს საკუთარი ძალებით გაუკეთებიათ, გარედან არავინ მიუწვევიათ.

ბარემ აქვე მოვიყვან ორიოდე ფაქტსაც იმის საილუსტრაციოდ, რომ არანაირი სხვა განსაკუთრებული დახმარება თუ პრივილეგია, ისეთი, სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებს რომ არ ჰქონდათ, აგროფირმელებს არ ჰქონიათ. სხვათა დახმარება-თანადგომის გამო კი თავად ბევრჯერ დაზარალებულან.

თუნდაც მიწის სავარგულები ავიღოთ, რომელთა გამასივება-გაკულტურებისთვის აურაცხელი შრომა დაიხარჯა. ოთხმოციანი წლების შუახანებისთვის 500 ჰექტარამდე ფართობი ჰქონიათ. მთავრობის დადგენილებით 84 ჰექტარი მესტიიდან ჩამოსახლებული ზვავით დაზარალებული სვანების ოჯახებისთვის გადაუციათ სამოსახლოდ. მერე, ახალმოსახლეებს საძოვარიც დასჭირდებათო და, ეს ციფრი 200 ჰექტარამდე გაზრდილა. თანაც, ნუ დავივიწყებთ, ლაპარაკია გამასივებელ-გაკულტურებულ, იონჯადათესილ და სარწყავ სისტემაგაყვანილ 200 ჰექტარზე.

რუსთავის შემოსასვლელშიც ჰქონიათ დაარსების დღიდანვე გამოყოფილი 150 ჰექტარი ფართობი, სადაც 300-400 ტონა თივას ამზადებდნენ და ხშირად სიმინდსაც თესავდნენ ხოლმე. 1991 წელს ამ ფართობის ნახევარიც ჩამოართვეს. შარშან კი მთლიანად წაიღეს ახალმშენებლობებისა და იქაური მოსახლეობისთვის საბაღე ნაკვეთების გამოყოფის მიზნით. ეს ნაკვეთები ორივეგან მოუვლელობით გაველანებულია, მეურნეობას კი მათი ჩამორთმევით ბევრი რამ დააკლდა. უწინარესად, პირუტყვის საკვები ბაზა.

— პირუტყვის საკვებისთვის ფართობი არ გვყოფნის, თორემ ამჟამინდელი 2650 ლიტრის ნაცვლად თითოეული ფურიდან ბევრად მეტ რძეს ჩამოვწველიდით, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც გაიზრდებოდა, თვითღირებულებაც შემცირდებოდა, საკუთარ მოთხოვნილებებსაც დავიკმაყოფილებდით და იქნებ ქალაქის მოსახლეობასაც გარკვეულწილად წავშველებოდით კიდეც, — ამბობს ფერმის მმართველი ევგენი ცხადაია.

დიახ, მართლაც უჭირთ აგროფირმელებს მიწის ფართობი. ამიტომაც არის, რომ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ყოველ გოჯ მიწას უფრთხილდებიან და გონივრულად იყენებენ. ამის მაგალითია თუნდაც მათი შესანიშნავი სასათბურე მეურნეობა, სადაც უკვე მოჰყავთ დიდძალი კიტრი და მწვანე ლობიო. სათბურამდე მისასვლელი სამანქანო გზის პირას პატარა მიწის ნაკვეთებზეც კი პირუტყვის საკვები უთესიათ. თვით სათბურის შესასვლელში ორთავე მხარეს ლიმონი და ფეიხოია ჩაურიგებიათ, რომლებიც უკვე აყვავებულა, ხოლო ზოგიერთ ადგილას, სადაც წყალგაყვანილობა გადის, ან პატარა სათავსოა და დასარგავი მიწა არ ჰქონდათ, ხის კასრებში ჩაურგავთ ლიმონი — ფართობი არ გაცდესო.

მიწისადმი ასეთი ყაირათიანი დამოკიდებულებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგიც არის, რომ აქ ჰყავთ კარგად მოვლილი 400-მდე მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი, ამდენივე ღორი, 82 კამეჩი, 2 ათასამდე ცხვარი, დაახლოებით 10 ჰექტარზე მოწყობილ ტბორებში სხვადასხვა ჯიშის თევზის ლიფსიტებია ჩაყრილი, საფრინველის ამოქმედებასაც აპირებენ...

მოკლედ, ეს აგროფირმა მეურნეობის სწორი გაძღოლის, საქმის ცოდნისა და სიყვარულის, ყველა იმ ნიშან-თვისების ერთობლიობის საუკეთესო ნიმუშია, ურომლისოდაც არც დღეს და არც ოდესმე არ შეიძლება რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი. დღეს კი განსაკუთრებით გვჭირდება ასეთი მეურნეობებიც და კოლექტივებიც.

ყოველივე ამაში კი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ძალზე დიდია, გადამწყვეტია აქაური თავკაცის ორგანიზატორული ნიჭისა და უნარის, პირადი მაგალითისა და ავტორიტეტის როლი.

აგროფირმელთა მიღწევები, რომლებზეც მოკლედ გესაუბრეთ, მათი ხელმძღვანელის იმ საოცარი უნარის შედეგიც არის, რომ არა მარტო დარაზმოს, უწინამძღოლოს და მოსთხოვოს ნაყოფიერი გარჯა ადამიანებს, არამედ საჭიროებისას უანგაროდ და უშურველად მხარში ამოუდგეს კიდეც და მათი ჭირ-ვარამიც გაიზიაროს.

— ცხრა წელიწადია, შვილებო, აქ ვმუშაობ და ალალად შემიძლია ვთქვა, რომ შესანიშნავი ხელმძღვანელი გვყავს, — გვეუბნება მე და ჩემს კოლეგებს შაოსანი მწველავი ასმათ ვარდიაშვილი. — ჩემი ტრაგიკულად დაღუპული ვაჟი მაგან გამაპატიოსნებინა და დამამარხინა. ახლა წლისთავსაც თვითონ უხდის — ყველა საჭირო პროდუქტი გამომიგზავნა. მარტო მე კი არა, ამ დასახლებაში ყველას ეხმარება, მუშა კაცისთვის არაფერი ენანება...

— მართლაც ძალიან კარგი კაცი და ხელმძღვანელია, თანამოსაქმეს ეთანხმება აგროფირმის მუშა მარგო გოგუაძე.—მეურნეობის დაარსებიდან აქ ვმუშაობ და უმაგასოდ ვერ წარმომიდგენია აქაურობა. ყური რომ მოვკარი, სხვაგან გადაჰყავთო, კინაღამ გადავირიე, მაგრამ რაკი ჩვენთანაც დარჩა, დავრთე შეთავსების ნება, — თავის ხუმრობაზე თავადვე ეღიმება ამაგდარ მშრომელს...

დიახ, გულითადობა და ადამიანთა გასაჭირ-საჭიროებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება ბატონ იურის იმთავითვე ახასიათებდა (მეც აბაშელი ვარ და ჯერ კიდევ მოწაფეობისას უფროსებისგან ბევრი რამ მსმენია ამის შესახებ), მაგრამ საჭიროებისას საოცრად მომთხოვნი, პრინციპული და შეუვალიც არის.

მისი ეს თვისებები კარგად შეუგრძნიათ ახალ სამსახურშიც (ბატონი იური რამდენიმე თვეა სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის სამთავრობო რეზიდენციის გენერალურ დირექტორად დააწინაურეს და სწორედ ამ შეთავსებაზე იხუმრა აგროფირმის მუშამ), სადაც სულ მალე — დაიმალეთ, რისხვა მოდისო — მის დანახვაზე ამბობდა თურმე ზოგიერთი ყალთაბანდი, რომელსაც სწორედ ამ უსაქმურობის გამო მოუწია სამსახურიდან წასვლა.

ამ ახალ სამსახურს და თვით რეზიდენციასაც მალე დაეტყო ახალი ხელმძღვანელის ხელი. გაშენდა ლამაზი სკვერი, გალამაზდა შემოგარენი, მანამდე თავისუფალ ტერიტორიაზე დაირგო 2700 კაკლის, ატმის, ქლიავის, ბროწეულისა და ნაძვის ნერგი. თუ საქმეს სჭირდებოდა, ზოგჯერ დასვენების დღეებშიც მუშაობდნენ, ადრინდელი შაბათობების მსგავს ღონისძიებებს აწყობდნენ. ამასთან დაკავშირებით რეზიდენციის თანამშრომლებმა ერთი ანეკდოტისმაგვარი ამბავი მოგვიყვნეს, ოღონდ უფროსთან არ გაგვამხილოთო, მთხოვეს.

ერთხელ რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებული გალიიდან რაღაცნაირად [illegible] დათვი გარეთ გამოსულა. კიდევ კარგი, გვარიანად დანაყრებული ყოფილან და არავის ერჩოდნენ, მაგრამ შიშის ამბავი ხომ მოგეხსენებათ! ჰოდა, ერთი ალიაქოთი ამტყდარა. დირექტორი პარლამენტში ყოფილა. მის მოსვლამდე კონკრეტულად ვერაფერი გადაუწყვეტიათ. ის კია, ზოოპარკს დაკავშირებიან და გაუგიათ, რა გზებითა და საშუალებებით შეეყვანათ გალიაში მხეცები. დირექტორისთვისაც უცნობებიათ. დათვებს არაფერი დაუშავოთ, მე ახლავე მოვდივარო, უთქვამს და მალეც მოსულა.

მოკლედ, მოსულა და, დათვები... გალიაში შეუბრუნებია, მაგრამ კარის ჩასარაზად ვერავის გაუბედავს მისვლა. თავად დირექტორსაც არავინ მიუშვია, თვითონ ჩაუკეტავს.

ჰოდა, სწორედ მას შემდეგ გავრცელებულა ვიღაც ენამოსწრებული კვიმატის ანეგდოტისმაგვარი ნათქვამი: დირექტორი დათვებთან მისულა და უთქვამს, გალიაში შებრუნდით, თორემ ხვალ შაბათობაზე გაგიყვანთ და დილიდან საღამომდე შეუსვენებლად კაკლის ხეებს გარგვევინებთო. დათვები კი არიან, მაგრამ, მაგის ხასიათი რომ იციან, დაშინებულანო...

საქმე ადამიანთან ჭიდილში ილევა. თავის მხრივ, სწორედ საქმესთან ჭიდილში იწრთობა და ყალიბდება ადამიანიც, გამოიკვეთება საქმის კეთების მისეული უნარიც. საქმესთან ჭიდილის ჩვევები კი ბავშვობიდანვე ჩაენერგა ბატონ იურის. უფრო სწორად, თითქოს მემკვიდრეობით გადმოეცა მამისგან, რაიონში ცნობილი და პატივცემული პიროვნებისგან, ჩინებული მხედრისა და შესანიშნავი სამეურნეო ხელმძღვანელისგან, რომელიც ათეული წლების მანძილზე უნარიანად თავკაცობდა კოლმეურნეობას და ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, უდროოდ გამოეთხოვა წუთისოფელს...

თავად ბატონ იურის არ უყვარს და უჭირს საკუთარ თავზე და, მით უფრო, რაიმე პირად დამსახურებაზე ლაპარაკი. საუბრისას რამდენჯერმე ხაზგასმით თქვა, ბატონ ირაკლი ანდრიაძის საოცარი მხარდაჭერა და თანადგომა რომ არა, ვერაფერს გავხდებოდი და აგროფირმა „საქართველო“ დღევანდელი სახით არ იარსებებდაო. ძალიან აწუხებს და განიცდის ყველა იმ გასაჭირს, რაც დღეს საქართველოს ჯიჯგნის. ვერაფრით გაუმართლებია და გაუგია მავანთა აპათია და გულგატეხილობა, უსაქმურობა და გულხელდაკრეფილობა, ძარცვა-ყაჩაღობა და ღალატი, ის, თუ რატომ არ ვუდგავართ ყველანი ერთსულოვნად მხარში და ყოველი საშუალებით არ ვეხმარებით საქართველოს გადარჩენაში ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც გულით სურს და შეუძლია კიდეც ამის გაკეთება, თუ ქართველობა ერთიანი იქნება...

მოკლედ, ნებისმიერი ნორმალური ქართველის ცხოვრებით, თავისი ქვეყნის სატკივარ-საწუხრითა თუ სიხარულით, მისი უკეთესი მერმისის ურყევი რწმენით და საამისოდ ყველაფრის გაკეთებისთვის მზადყოფნის გრძნობით ცოცხლობს და შრომობს ეს ერთი კარგი მოქალაქე, მეურნე და ორგანიზატორი, მეოჯახე. კიდეც ეამაყება და არც მალავს, რომ მისი ოჯახი მისი შეუვალი ციხესიმაგრეც არის და ტაძარიც. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი სალოცავი ანგელოზი მყავსო, რაღაცნაირი ნეტარებით ჩამოთვლის შვილიშვილების სახელებს. თავად ოთხი შვილი გაუზარდა მამულს. სამი ქალი და ერთი ვაჟი. ოთხივენი ექიმები არიან. რძალიც ექიმია და ორი სიძეც. ერთი სიძეღა ამოჩნდა „მოღალატე“ — ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორია. ოთხმოცს გადაცილებული დედა და ერთგული მეუღლე ეგულება აბაშში მამისეული ეზოკარის პატრონად და ოჯახის ბურჯად...

აგროფირმის ალაყაფთან დირექტორის მანქანას ორი ჭაღარა მანდილოსანი ელოდებოდა. მოწიწებითა და ბოდიშის მოხდით გადასცეს რაღაც ბარათი ხელმძღვანელს. წაიკითხა. ხვალ-ზეგ აუცილებლად ჩამოგიტანთ ამ წამლებსო, დაჰპირდა.

ადამიანისთვის საუკეთესო წამალი კვლავ ადამიანი და ადამიანური დამოკიდებულებაა. ყველაზე ძალუმად სწორედ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება იგრძნობა აგროფირმა „საქართველოს“ კოლექტივში და, ალბათ, ეს ამარჯვებინებს კიდეც მას.

რუსლან რუსია.

„მშრალი კანონი ამერიკაში“

რეცენზიის მაგიერ

დღეს, როცა საქართველოში თითქმის არავითარი კანონი აღარ მოქმედებს, როცა პარლამენტიც კი აჭიანურებს კანონის მიღებას, დღეს, როცა სინამდვილის ხე განსაკუთრებით ჰყვავის და ირგვლივ ბოროტების სურნელს აფრქვევს, დღეს, როცა პირდაპირ ამერიკელობა მოვინდომეთ და უნიადაგოდ „გავკაპიტალისტდით“, სწორედ ამ დროს, ჩემი საშინელი მყუდროება დაარღვია ახალგაზრდა ქართველი ამერიკანისტის, ვასო კაჭარავას წიგნმა „მშრალი კანონი ამერიკაში“. ადამიანებო, ჩაიხედეთ ამ წიგნში და სიტყვას გაძლევთ, გაგიჩნდებათ იმედი მომავლისადმი, რომ მოდის განსწავლული თაობა, რომელიც ფიქრობს სიყვარულის ზეიმზე, ფიქრობს ერთგულებაზე. ამ ბოლო დროს, სულ ვიღაცას ვბაძავთ. კი, ბატონო, მივბაძოთ ამერიკას, რომელმაც ჯერ კიდევ 1776 წლის 4 ივლისს გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის გამო...

დეკლარაციაში სწერია: „შემოქმედმა ყოველ ადამიანს მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებანი, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება სიცოცხლის თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება“, მივბაძოთ ამერიკას!

ამერიკელები 14 თებერვალს „სიყვარულის ზეიმს“ ულოცავენ ერთმანეთს...

11 ივნისს, ეროვნული დროშის დღეს, მთელ მსოფლიოს შეახსენებენ, რომ მართლა ღირს ამ დროშის გარშემო გაერთიანება.

სექტემბრის პირველ ორშაბათს „შრომის დღეს“ დღესასწაულობენ, თერთმეტი ნოემბერი, თურმე ნუ იტყვით და, ომის ვეტერანთა დღედ არის გამოცხადებული.

მაისის მეორე კვირა დედის დღე გახლავთ, მესამე კვირას მამებს მიაგებენ პატივს, სექტემბრის მეორე კვირას, ბებიებსა და პაპებს ეფერებიან. ამ ზეიმებს, რაღა თქმა უნდა, ალამაზებენ შობა-აღდგომისა და სხვა რელიგიური დღესასწაულები. ჩვენ რა დაგვემართა?

რაც გვქონდა, ისიც მოვშალეთ და ვიღაცათა ჯიბრზე ამოვშანთეთ. ერთი ახალი წელი შემოგვრჩა და, მაშინაც გარეთ თავს ვერ გამოყოფ, გამოყოფ და იმ მილიარდი გასროლილი ტყვიიდან ერთი მაინც მოხვდება პურზე ფიქრით გაბრუებულ თავში.

მაშ, რაში მივბაძოთ ამერიკელებს?

ნუთუ იმაში, რომ ჩვენში ხუთი პროცენტი მილიონერია, ოცდახუთი პროცენტი ყაჩაღობს, ოცი პროცენტი ცაში იხედება, არიქა ახლა გამოჩნდება მამა-მარჩენალი და გვიშველისო, ან იქნებ-იმაში, ხალხის ნახევარი სრულიად მშიერი რომ არის?

ამერიკელი ამაყობს, რომ ამერიკელია, იქ არ არის ზემოურ-ქვემოური, იქ მთლიანობაა, იქნებ ამაში მივბაძოთ?

დღეს ჩვენში ვინმეს რომ „შრომის ზეიმის“ დაკანონება მოუვიდეს აზრად, იმ წუთში წამოუხტება მავანი ქუჩის პოლიტიკოსი და წარსული რეჟიმისადმი ერთგულებას დასწამებს. რაც შეეხება ომის ვეტერანებს, ისე გამოდის, თითქოს, დიდგორისა და კრწანისის შემდეგ სულ დალხენილები ვიყავით, ფაშიზმს რომ მთელი მსოფლიო ებრძოდა, თითქოს ქართველები გულხელდაკრეფილი ვისხედით...

„მშრალი კანონი“ ჰქვია ვასო კაჭარავას წიგნს. 1925 წელს ფილადელფიის პოლიციამ სიმთვრალისათვის 51.361 ადამიანი დააპატიმრა, რა ვქნათ, მივბაძოთ ამერიკას? ჩვენ ხომ დღეს, ამერიკის იმდროინდელი ცხოვრებით ვცხოვრობთ?

ხოლო ახლახან, 1984 წელს, ამერიკის პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც 21 წლამდე ახალგაზრდებისთვის კრძალავდა სპირტიანი სასმელების მიყიდვას, რა ვქნათ, მივბაძოთ ამერიკას?

დღეს, ჩვენს ქართულ სუფრას და ეგრეთწოდებულ „პურიჭამას“, თავის სიმღერით — „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, გადახედვა არ სჭირდება? ამ წიგნში ბევრი რამ მართლა მისაბაძია, ბევრი ახლიდან გადასახედი. ეს წიგნი გზის მაჩვენებელია მომავალი ცხოვრებისაკენ, ეს წიგნი მართალი კაცის მიერ დაწერილი მართალი წიგნია. ბედნიერებისაკენ სწრაფვა, გაზაფხულივით ჰყვავის ამ წიგნში...

კაცმა რომ თქვას, ჩვენც ვიბრძვით თავისუფლებისთვის, მაგრამ [illegible] ეროვნულობა ხასიათმა უნდა შვას, ეროვნული ხასიათი კი ჩვენი [illegible] თვალ და ხელშუა ქრება.

წიგნის ავტორი 180-ე გვერდზე წერს:

„განა ერთი და ორი, ნიჭით დაჯილდოებული ქართველი იქცა დუქნის ულიმღამო ლოთად. დღეს უარესი უბედურებაც გვეწვია — საქართველოში ლოთი ქალებიც გაჩნდნენ — ვის როგორ ესმის ქალთა ემანსიპაცია. ასე რომ, ძველი ტრადიციებით სიამაყე და გულარხეინად ყოფნა არც ამ შემთხვევაში გვარგებს. ამბობენ, ყველაზე დიდი ცოდვა საკუთარი უცოდველობის რწმენა არისო. როგორც ჩანს, ჩვენმა ერმა, სხვა ურამრავ საკითხთან ერთად, ღვინის სმის პრობლემაც ახლებურად უნდა გააანალიზოს. თუმცა, ღმერთმა ნუ მოგვასწროს უღვინო და უთამადო საქართველოს“.

ნუ მოგვასწროს, მაგრამ სადღაა ის ქართული სიდარბაისლე, ქართული სუფრა — „ქართული აკადემია“?

ეჰ, მოგონება მოგონებად, ტკივილი ტკივილად და, მოდით, წავიკითხოთ ვასო კაჭარავას წიგნი „მშრალი კანონი ამერიკაში“, წიგნი გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ“, აუცილებლად წავიკითხოთ და მერე მივბაძოთ ამერიკას!

ჯანსუღ ჩარკვიანი.

შემუშავებულია სახელმწიფო პროგრამა

ახლახან სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა გიორგი კვესიტაძემ, ანასეულის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, კერძო საწარმო „პროგრესის“ პრეზიდენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვახტანგ ჯაყელმა, ამავე გაერთიანების დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში თემურ რევიშვილმა, ოზურგეთის გამგებელმა კობა ხომერიკმა, სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს წარუდგინეს ბუნებრივი შაქრის შემცვლელის, მცენარე სტევიას მოყვანისა და გამოყენების მათ მიერ შემუშავებული სახელმწიფო პროგრამა.

მცენარე სტევიას საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში გაშენების დიდი პერსპექტივები არსებობს. ეს მცენარე შეიცავს ნივთიერებას, რომლის სიტკბოც 300-ჯერ აღემატება საქაროზას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დადგენილია სტევიას ტკბილი ნივთიერებების უვნებლობა ადამიანის ორგანიზმისათვის და ანტიდიაბეტური მოქმედებით გამოირჩევა. ამ მცენარის მოსაყვანად გამოყოფილია ტერიტორია ლანჩხუთის რაიონში. მართალია, იგი მთლიანად ვერ შეცვლის შაქრის ფუნქციებს, მაგრამ იგი, შესაძლოა, ფართოდ იქნეს გამოყენებული წვენების, უალკოჰოლო სასმელების, კბილის პასტების, საღეჭი რეზინებისა და, რაც მთავარია, მშრალი ფოთლის სახით ჩაიში გარევით სპეციალური ანტიდიაბეტური ჩაის წარმოებაში.

სახელმწიფოს მეთაურმა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა განიხილონ ეს პროგრამა და დადებითად შეფასების შემთხვევაში ქმედითად შეუწყონ ხელი მის განხორციელებას.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ინფორმაცია

გაუგებრობის ნიადაგზე

14 ივნისს, დღის ორ საათზე, რუსთაველის პროსპექტზე, იუსტიციის სამინისტროს შენობის წინ, მოქალაქეთა ჯგუფმა სცადა გაემართა უსანქციო მიტინგი. ამ დროს დაირღვა ავტოტრანსპორტის მოძრაობა. აქციის მონაწილენი მოითხოვდნენ იმ პირთა გათავისუფლებას, რომლებიც მსჯავრდებული არიან ჩიქოვანის ქუჩაზე ტერორისტული აქტის ჩადენაში, ბატონ ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. ამ ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა ხუთი ყოვლად უდანაშაულო ადამიანი. ახლა დომუხოვსკის, ცულუკიანისა და სხვათა მიმართ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი უზენაეს სასამართლოში.

პოლიციამ მიიღო კანონით გათვალისწინებული ზომები უსანქციო მიტინგის აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენისთვის.

ამ ღონისძიებისას სხვა მოქალაქეებთან ერთად, სამწუხაროდ, გაუგებრობის ნიადაგზე არასწორად დააკავეს, შემდეგ კი გაათავისუფლეს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დავით კვიციანიძე. ამიტომაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოდიშს უხდის რეიტერის კორესპონდენტსა და სააგენტოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

მჭიდრო ურთიერთმოქმედებით

აჭარაში იწყება [illegible]სიაში რუსეთის ჯგუფის დივიზიისა და საქართველოს შე[illegible] ძალების მე[illegible] ერთობლივი სას[illegible]დიკური შეკრება.

შეკრების მონაწილენი გაეცნობიან მიღწევებს არმიის პირადი შემადგენლობის წვრთნისა და აღზრდის [illegible], გაუზიარებენ ერ[illegible] ჯარებში საბრძოლ[illegible]ზადებისთვის მუ[illegible] გამოცდილებას.

[illegible]იული [illegible]ფერენცია [illegible]გდიდში

15 ივნისს ზუგდიდში გაიმართა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ზუგდიდის საქალაქო რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ზუგდიდის საქალაქო რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია კონსტანტინე გიორგის ძე თორია. კონფერენციაზე ასევე არჩეული არიან საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ყრილობის დელეგატები — 7 კაცი. ყრილობა დანიშნულია 25 ივნისს. კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ აღადგინონ თავიანთი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „მებრძოლი“.

თამაზ როგავა.

მკვლელობა „სკარპიონში“

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 13 ივნისს 17 საათზე წყნეთის გზატკეცილზე გზიდან 25 მეტრის დაშორებით ტყეში იპოვეს თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილის ირაკლი მხეიძის გვამი. მას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა.

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა და ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ ი. მხეიძე 12 ივნისს დაახლოებით 8 საათზე მოკლეს ჭავჭავაძის გამზირზე 39-ში მდებარე რესტორან „სკარპიონში“.

საქმეს იძიებს ვაკის რაიონის პროკურატურა.

გაქურდეს „როტორი“

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა თბილისში გაქურდეს აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე საქგაზრეწვმშენის ფირმა „როტორის“ 2 საწყობი. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს ხავერდი და მსუბუქი ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები.

ხელოვნება

ცრემლგარეული ღიმილის ორი საათი,

ანუ პრემიერა გასტროლების წინ

10 ივნისს პირველად გამოვედი ჩემი სევდის მღვიმიდან.

გაზეთში ნახვი და ფილარმონიაში მოსწავლეთა სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის „მერანის“ კონცერტს დავესწარი.

განწყობილება ჩემი მოგეხსენებათ — პირადი თუ ქვეყნის უბედურებით გაპირობებული.

გითხრათ სიმართლე, ზოგჯერ მაღიზიანებს ბოლომდე კონცერტ-შოუების ამ ბოლო დროს ესოდენ გაბერილი ბუმი. ეჭვიც კი გამკრავს გულში — ეს ყველაფერი საქართველოს სატკივარზე ფიქრისაგან ჩვენს მოსაწყვეტად, განზე გასატყუებლად ხომ არ კეთდება-მეთქი.

კონცერტ-კარნავალთა მაყვირალა აფიშების თვალიერებისას ასეთი აზრიც ამკვიატებია — აფერუმ თქვენს ნერვებს, თქვე კაი ხალხო, მაშინაც კი არ შეგიწყვეტიათ რეპეტიციები და დოლგარმონის ბრაგუნი, როცა მორგები სავსე იყო აფხაზეთში ვერაგი მტრის მიერ დამწვარ-დანაწევრებული ქართველი ბიჭებით, და ჭუბერისკენ სიკვდილ-ყინულის გზაზე ათიათასობით განწირული ქართველი მიიწევდა-მეთქი.

მაგრამ ამ უსარგებლო ფიქრს სწრაფად შეენაცვლებოდა მეორე: ბოლოს და ბოლოს ჯერ ხომ ყველაფერი არ დამთავრებულა, საქართველოს სიცოცხლე ხომ გრძელდება, ხომ დგებოდა საქართველოს ისტორიაში ძნელბედობის ნასაზრდოები ათწლეულები, როცა პოლიტიკური წარუმატებლობის წიაღ-ასპარეზი ელოდა ჩვენი ერის უკვდავების სხვა ეროვნულ სადინარს — მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას, სპორტს.

ახლაც ასეთი ჟამი დგას საქართველოში და მაინტერესებდა: როგორია იგი, ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის ხვალინდელი დღე, როგორ შეინარჩუნებს ოცდამეერთე საუკუნე ქართული ცეკვის ტრადიციებს, როგორ განიცდის თაობათა ცვლა „მერანმა“ და როგორ მიესადაგება ქართველ ყმაწვილ რაინდთა სასცენო ოსტატობა მათი ლაშის ბედდამწვარი ქვეყნის დღევანდელობას.

ასეთი წინააღმდეგობრივი გულისთქმა მეუფლებოდა „მერანის“ პორტუგალიაში გამგზავრებისწინა საანგარიშო კონცერტის ფარდის აწევამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ქართული ქორეოგრაფიის პრობლემა ცალკე კამათის თემაა, რომელსაც, რაც ადრე წამოიწყებს ჩვენი სახელოვნო პრესა, მით უკეთესია.

ვიღას დავუმალოთ, სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა მონობამ, უნაპირო ინტერნაციონალიზმის პატარა ერებისათვის დამღუპველმა იმპერიებმა სახალხო ხელოვნების ამ დარგსაც დარია ხელი.

ეროვნული ცეკვების ორგანულ თვისებათა მეცნიერული შესწავლისადმი აუხსნელმა წაყრუებამ, ჩვენი ქორეოგრაფიის თავისებურებათა დაცვების გაპიანურებამ საერთო კავკასიური ცეკვა-ცივილიზაციის ფარვატერში შეგვაცურა. საბჭოთა საქლიჩოები დიდად არ დაგიდევდნენ ეროვნული კულტურების გამოჩენა-განვითარების საქმეს და უცხოეთში საგასტროლოდ ჩასულ ქართულ ანსამბლებს ახვედრებდნენ აფიშებს: „კავკასიური ცეკვების ანსამბლი“, ან „კავკასიურ ცეკვათა თბილისური ანსამბლის კონცერტი“. როგორც არ არსებობს კავკასიური ენა, არც კავკასიური ცეკვასიმღერა არსებობს — იგი ან ქართულია, ან სომხური, ან აზერბაიჯანული, ან ოსური და ა. შ. მე არც ქართული ცეკვების სახელწოდებათა მოდერნიზაციის ან ზედმეტი თემატურ-ეთნიკური დაკონკრეტების მომხრე გახლავართ, მაგ.: ცეკვა „შეჯიბრი“, „ნადირობა“, „ალეუწამობა“ და ა. შ. მაგრამ ესეც სხვა დროისათვის გადავდოთ, მივუბრუნდეთ ამ წერილის დაწერის მთავარ მიზეზს — „მერანს“.

სწორი გადაწყვეტილებაა — უცხოეთში გამგზავრების წინ სწორედ საუცხოოთ პროგრამა-ანგარიშით ჯერ შენს მაყურებელს წარუდგე, მოისმინო რჩევა-შენიშვნები, კიდევ ერთხელ დახვეწო საზღვარგარეთელ მოქალაქეთათვის საჩვენებლად გამზადებული ე. წ. „ღირსების კონცერტი“.

„მერანიც“ ასე მოიქცა.

მეგონა, ცრემლი კარგა ხნის გამშრალი მქონდა, მაგრამ სცენაზე რომ ცეროდენა ბიჭუნების დახვეწილ ქართულ ცეკვა-გრიალს შევსცქეროდი, არაერთგზის მომერია ცრემლი.

და იმ ცრემლს სიხარულის გრძნობაც ახლდა ჩვენი ჯიშის არგადაშენების, ჩვენი გენის სიძლიერის. რწმენადაბრუნებული მაყურებლის თრთოლვით [illegible] მღელვარება.

ბოლო წუთამდე ჩამესმოდა გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, პირველად „გველის პერანგში“ რომ თქვა და მერე, მოხუცმა ემიგრანტმა, ჟენევაში ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლის ხილვისას რომ გაიმეორა („ქართული გენია როკვაში განფენილი“) — „ქართულ ცეკვას ქართველის მსგავსად ვერავინ იცეკვებს, რასა არ ეყოფა“.

დახვეწილ ტექნიკასთან ერთად სცენაზე ზეიმობდა სწორედ ეროვნული სული, ჩანდა იგი თეკლა ჯანელიძის ვირტუოზულ მიმოხვრასა და გრაციოზულ-სახასიათო დრამატიზმში, დავით მესხიშვილის და ბაქარ ბოჭორიშვილის ქართულ-რაინდულ რომანტიკულობაში, ნიკა კალანდაძის არტისტულ ცვალებადობაში, ბაჩანა ჯანელიძის დაუოკებელ ტემპერამენტში...

ცალ-ცალკე და ყველა ერთად — მთიულურად მაჯა-ბეჭებით მროკავი პატარა ბიჭი ლევან მამარდაშვილი (უშველებელი თეთრი ფაფახი სახეს ნიკაპამდე რომ უფარავდა), ინდივიდუალური ნომრის ოსტატი გია გოშუა პატარა ხელებით დოლზე ცეცხლს რომ ანთებდა) და პაწაწინა, მაგრამ ნატიფად მოგოგმანე თამუნა ხვედელიძე. ყველანი, ყველანი, იძლევიან იმის იმედს, რომ ქართული ცეკვის ხვალინდელი დღე საიმედო ხელშია.

კიდევ ერთხელ აღფრთოვანა ჩვენი ესტრადის ახლადაკიაფებულმა ვარსკვლავმა ნინო ადეიშვილმა, ხოლო თეონა ჩიჩუამ ლამის გულიდან ამოღვრილი სიმღერით და საგანგაშო ხტუნვა-ბრუნვით სცენის ერთი კუთხიდან მეორემდე, დახვეწილი შესრულებით და სიტყვიერ-მუსიკალური ლაიტმოტივით — („იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა“) ჩვენს განწყობილებას ისე სულდგმისად უპასუხა, რომ ფეხზე დაგვაყენა.

მე ვხედავ ხვალ თუ ზეგ ტაშით აქარიშხლებულ ლისაბონის საკონცერტო დარბაზს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რა პრესა ექნება ქართველ მოზარდთა გამოსვლას პორტუგალიაში, მინდა დავასწრო მოვლენებს და მადლობა ვუთხრა „მერანის“ სამხატვრო ხელმძღვანელებს — ჩვენს ღვაწლმოსილ აღიარებულ ხელოვანთ რეზო ჭანიშვილსა და აგული ქავთარაძეს იმისათვის, რომ „მერანი“ ქართული ხელოვნების ეროვნულ საყრდენებზე ესოდენ ძლიერად, მუხლმაგრად დგას.

რევაზ მიშველაძე.

დაგვიანებული აღიარება

ქართველი მეცნიერი ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრია

ამერიკის შეერთებული შტატებიდან თბილისში სასიხარულო ცნობა მოვიდა — იტყობინებოდნენ, რომ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიამ თავის უცხოელ წევრად აირჩია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ბაგრატიშვილი

ნიუ-იორკის აკადემიის პრეზიდენტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ბატონ ლედერბერგის დეპეშა მის ნაცვლად მეუღლემ ელენე ზედელაშვილმა-ბაგრატიშვილმა მიიღო, რადგან, სამწუხაროდ, გივი ბაგრატიშვილი უკვე ცოცხალი აღარ არის. იგი გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემოქმედებითი გეგმებით ალსავსე და ვერ მოასწრო ქართული მეცნიერებისათვის გაეკეთებინა ბევრი რამ, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მოსკოვში დაამთავრა ასპირანტურა, მუშაობის მანძილზე მოპოვებული ჰქონდა პეტრე მელიქიშვილისა და დიმიტრი მენდელეევის სახელობის პრემიები, მუშაობდა თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონში“, სადაც განაგებდა ცენტრალურ ლაბორატორიას.. მაგრამ ბოლომდე ვერ გაუგო მას ხელმძღვანელობამ. იგი იძულებული გახდა გადასულიყო სამუშაოდ კიბერნეტიკის ინსტიტუტში და ხელახლა შეექმნა ლაბორატორია, სადაც გარდაცვალებამდე ნაყოფიერად იღვწოდა. გულმა უმტყუნა მეცნიერს... ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიამ თავისი წევრობის ღირსად ცნო, სათაყვანებელმა მშობლიურმა მეცნიერებათა აკადემიამ კი ჯეროვნად ვერ შეაფასა გივი ბაგრატიშვილის ღვაწლი...

ბურთი

წაგებით სწავლობენ

მწარე გაკვეთილი — ასე შეგვიძლია შევაფასოთ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის აფრიკული ვიზიტის შედეგი. მატჩის შედეგი— 1:5 (1:2) ყველაფერზე მეტყველებს, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ მეტოქე — ნიგერიის ნაკრები. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე და გენერალური რეპეტიცია უძლიერესი შემადგენლობით გამართა. მასპინძელთა კარში გოლი მეორე წუთზე რევაზ არველაძემ გაიტანა.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე (გრიშიკაშვილი), ბერაძე, ცხადაძე, შელია (ლობჟანიძე), ჯიშკარიანი, კუდინოვი (ინალიშვილი), რ. არველაძე, ნემსაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, ა. არველაძე (ჯანაშია).

ხუთგზის..

გუშინ ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა, მეჩვიდმეტე ტურში თბილისის დინამოელებმა შინ ზესტაფონის „მარგვეთთან“ გამარჯვებით ვადამდე და ზედიზედ მეხუთედ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის წოდება. მატჩის ანგარიშია 5:2.

გილოცავთ, დინამოელებო!

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ყაჩაღური „ოჯახები“

მეგონა, გურიამ მოიხადა სახადი, თურმე ნუ იკითხავთ: ახლახან ლანჩხუთ-ოზურგეთიდან კიდევ ორი უმძიმესი შემთხვევის შესახებ შევიტყვეთ.

22 მაისს, საღამო ხანს, ლანჩხუთის რაიონის სოფელი ბელლეპი საშინელმა ტრაგედიამ შეძრა. ყაჩაღებმა ზაზა დიასამიძის ოჯახი გაძარცვეს, წინააღმდეგობის გაწევისას კი ულმობლად მოკლეს შაქრო დიასამიძე; მათვე მძიმედ დაჭრეს ოჯახის რამდენიმე წევრი, მათ შორის 74 წლის მოხუცი ქალი; როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ერთ-ერთი დაჭრილი იქვე დიასამიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მეორე დღეს, ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სპეციალური დანიშნულების რაზმის პოლიციელებს დაუხვდნენ გზაზე. შოთა თავდგირიძე და მურმან ჯანხოთელი მოკლეს, მსუბუქი ავტომანქანის დანარჩენ სამ მგზავრს კი ავტომატით უმძიმესი ჭრილობები მიაყენეს.

გურიაში, თითქმის ერთ თვეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული ჯგუფი მუშაობდა, ამ ჯგუფისა და აგრეთვე პოლიციის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა რეგიონის საგანგებო შტაბს ევალებოდა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი **უშანგი მგელაძე** თავკაცობდა.

მაშინ ოპერატიულმა ჯგუფმა კარგად იმუშავა, ხალხმაც ცოტათი მოისვენა. ახლა კვლავ თავიდან დაიწყო ეშმაკთა „ორგია“. დღეს ძალიან დიდია ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი და შეშფოთება გურიის რეგიონისადმი. რა ხდება? რატომ? რა უშლის ხელს რეგიონში სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენას? ეს კითხვები აწუხებს ყველას. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ ბატონ უშანგი მგელაძესთან შეხვედრა და პირუთვნელი საუბარი.

— გურიაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ოპერაცია განახორციელა. შემდეგ თქვენი ჯგუფი, ადგილობრივ პოლიციასთან ერთად, აგრძელებდა დაწყებულ საქმეს. ახლა, კვლავ ახალი უმძიმესი დანაშაულობანი. ელოდით მოვლენათა ასეთ განვითარებას?

— დიდი ოპერაციის მომზადებისას, აგრეთვე სპეციალური ოპერატიული ჯგუფის მუშაობის დროს, მდგომარეობას ახლოს რომ გავეცანით, ნათლად დავინახეთ, გურია უახლოეს ხანში ვერ განთავისუფლდებოდა ყაჩაღური ბანდებისა და მკვლელებისაგან. სიტუაცია მეტად რთული იყო. წარმოიდგინეთ ასეთი მდგომარეობა, როცა უმძიმეს დანაშაულთა უმეტესობა გაუხსნელია, დაუდგენელი არიან დამნაშავენი... ვინც დადგენილია, ისიც არ არის დაპატიმრებული, საზოგადოებისაგან იზოლირებული.

ბევრ რეგიონში იციან და, მათ შორის, გურიაშიც იცოდნენ არა ერთი ყაჩაღური ჯგუფის მოქმედების შესახებ და მათზე ოპერატიული ინფორმაციაც მოეპოვებოდათ. ოღონდ, ერთ შეცდომას უშვებდნენ: ყველა დანაშაულს ამ ცნობილ ჯგუფებს აბრალებდნენ, სხვა ჯგუფებს ყურადღებას არ აქცევდნენ. არა მგონია თავს იტყუებდნენ, უბრალოდ, ოპერატიულ მდგომარეობას სუსტად ფლობდნენ, ყველა შესაძლო ვარიანტს არ ითვალისწინებდნენ,

— ასეთი მაგალითი მრავლად იყო?

— მთავარია, გურიის რეგიონში დანაშაული მომხდარიყო, რომ ეთქვათ: ეს ქლერია-თევდორაძის ყაჩაღური ჯგუფის საქმეაო. რა უფლება გვქონდა, საპირისპირო გვემტკიცებინა, მაგრამ ერთ-ორ დღეში მდგომარეობა რომ შევისისხლხორცეთ, აზრი რამდენადმე შეგვეცვალა.

29 მარტს ლანჩხუთში პოლიციელები — ოლეგ ძამია და მიხეილ ბარამიძე — მოკლეს. ადგილობრივი ვერსიით, მკვლელობა ქლერია-თევდორაძის ჯგუფმა ჩაიდინა. არ შევდავებივართ. ან რატომ უნდა შევდავებოდით, ჯერ ჩვენც ხომ არ გვქონდა საკუთარი ვერსია?! სამინისტროს გამოცდილი სპეციალისტებით (რომან ქელივიძე, ჯემალ ზოიძე, დავით არონია და სიმონ შარვაძე) სასწრაფოდ დავაკომპლექტეთ საგანგებო ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფი. (ამ ჯგუფში შევიდნენ და საქმის დროულად გახსნას დიდად დაეხმარნენ ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელები ზურაბ კოხრეიძე, დავით ორაგველიძე და გელა გოგინეიშვილი). მე-3-4 დღეს მათ არსებული ვერსიებისაგან სრულად განსხვავებული ვერსია წარმოადგინეს, რომელმაც საბოლოოდ დაგვაყენა კვლავ ერთადერთ სწორ გზაზე.

გაირკვა, რომ ისინი, ვინც პეიშვილის სახლს დაესხნენ, გაძარცვეს და შემდეგ შემთხვევაზე ოპერატიულად გასული პოლიციელები დახოცეს, სულაც არ იყვნენ ქლერია-თევდორაძის ჯგუფის წევრები... ალექსანდრე ართილაყვა, ზვიად ორაგველიძე და შაქრო ბოლიშვილი ოზურგეთელები აღმოჩნდნენ, ზაზა ლომაძე, ტარიელ და ნუგზარ წილოსანები — ლანჩხუთელები, ირაკლი დობორჯგინიძე კი — ფოთელი...

ეს ჯგუფი, უპირატესად, ბაილეთს, სილაურს, ჯუმათს, ჩოჩხათს, მამათს, ქალაქ ლანჩხუთსა და მის მიმდებარე სოფლებს აკონტროლებდა. მე არ ვამტკიცებ, ყველა დანაშაული ბოლო ხანს ამ სოფლებში რომ მოხდა, სწორედ, ამ ჯგუფმა ჩაიდინა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — დასახელებულ „საზღვრებში“ მათ კონკურენტი არ ჰყავდათ. აქ ერთ მომენტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: საინტერესო ის არის, რომ ყაჩაღთაგან ზოგიერთი ჯუმათელია, ზოგიერთი ჩოჩხათელი, ზოგიერთი ქალაქ ლანჩხუთის მკვიდრი... ერთი ფოთელიც ერიათ — ირაკლი დობორჯგინიძე. ის ჯუმათში ბიძაშვილმა მოიწვია ჩაის ფაბრიკაში სამუშაოდ.

— ბატონო უშანგ, დღეს ამ ორი შემთხვევის გასახსნელად, გურიაში სამინისტროს სპეციალური ჯგუფია მივლინებული. ცნობილია, ყაჩაღებს მოქმედების საკუთარი ტაქტიკა და გეგმა აქვთ. მე მგონი, უინტერესო არ იქნება ართილაყვას ყოვლისშემძლე ყაჩაღური ჯგუფის მოქმედების ზოგიერთ ასპექტზეც გაგვემახვილებინათ ყურადღება?

— მათი „საქმიანობა“ ავტომანქანების წართმევით დაიწყო... ერთხელ მოტაცებული ავტომანქანა, ერთი ღამით, სოფელ სილაურში, შაქრო ბოლიშვილთან დააყენეს. აქ მკითხველი, ეგრეთ წოდებულ „ბანდაში“ ახალი წევრის ჩათრევის მშვენიერ მაგალითს დაინახავს. ბოლიშვილი სანდო კაცად მიიჩნიეს და შესთავაზეს: ჩვენთან იმუშავე, წილს მოგცემთო... მაგრამ, ართილაყვასა და მისი ძმების ნდობის მოსაპოვებლად მარტო ეს არ კმაროდა. მას საკუთარი მეზობლების, ახლობლებისა და ნათესავების აწიოკებაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა.

ამის შემდეგ, სწორედ სოფელ სილაურს შეესიენ.

9 მარტს აკაკი ლეჟავას სახლ-კარი ააწიოკეს, 10 მარტს კი — გოჩა მეგრელიშვილისა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ერთი სახლიდან წამოღებული ფეხსაცმელი ბოლიშვილს ჩააცვეს, მასვე მისცეს მეორე სახლში აწაპნილი ნადავლის ნაწილი — 300 ათასი კუპონი.

— ასე ჩაიგდეს ხელში და ყაჩაღად აქციეს ერთი „შვილობიანი მოქალაქე“.

— პეიშვილის სახლზე თავდასხმისას, იგივე სცენარით რომ არ მოქმედებდნენ?

— პეიშვილის სახლთან ყაჩაღები ორჯერ მივიდნენ, „გარემოს“ სწავლობდნენ. აქაც ციხე შიგნიდან გატყდა... ზაზა ლომაძე ორაგველიძის დეიდაშვილია. ის კარგად იცნობს პეიშვილის მეზობელს — ტარიელ წილოსანს.

პეიშვილის მეუღლე აფთიაქის გამგეა. ფული ექნებაო, იფიქრეს. ტარიელმა ნიღაბი გაიკეთა. ართილაყვა, რომელიც უნიღბოდ იყო, ეზოში შევიდა და მასპინძელს უხმო, რაღაც წამალი მოსთხოვა. ეს პატარა ფანდიც წინასწარ მოფიქრებული იყო: მჭიდრო დასახლებაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ამას იმიტომ ვამბობ, რომ თითოეულმა ოპერატიულმა მუშაკმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყაჩაღთა მოქმედების საიდუმლოებანი: ერთ ჯგუფში უმეტესობა თანაკლასელები, თანასოფლელები და ნათესავები არიან. უცხო ბოლიშვილს ჯერ პატარა საქმე ანდეს, შემდეგ დიდი საქმე და... კიდევ ჩაითრიეს.

— საყაჩაღო ობიექტზე თავდასხმის გეგმასაც, ალბათ, წინასწარ ადგენენ?

— რა თქმა უნდა.

წინასწარ სწავლობდნენ მსხვერპლის ფინანსურ, მატერიალურ მდგომარეობას, სახლ-კარის მდებარეობას, ყოველ წვრილმანს ითვალისწინებდნენ.

— იარაღი რომ ჰქონოდათ და თავი დაეცვათ, რას იზამდით? — ვეკითხებოდი ხშირად შებორკილ ყაჩაღებს.

— ვიცოდით, რომ არ ჰქონდათო, — მპასუხობდნენ.

ისეთ ღამეებს არჩევდნენ, როცა შუქი არ იყო. ბევრი დაზარალებული აცხადებდა, რომ მაშინ ეცემოდნენ, როცა მთელი ოჯახი ვახშმად იჯდა... ესეც წინასწარ იყო გათვლილი. სასადილო ოთახში ერთადერთი ლამპა დგას, ყველა მაგიდას უზის... რაღა პრობლემაა?

10 საათზე „მაცნეს“ ვუყურებდით, ესენი რომ შემოგვეჭრნენო, აცხადებდა ზოგი. დახეთ, ეშმაკობას, ამ დროს ხომ ზრდასრული მამაკაცების უმეტესობა ტელევიზორთან ზის...

ხშირად შუქი, განათება სჭირდებოდათ, აჭარა გამოზოგილ ელექტრო-ენერგიას გურიის ქსელში ზოგჯერ გვიან ღამით უშვებდა. ბევრი ყაჩაღობა სწორედ ამ დროს ხდებოდა...

ამრიგად, იმხანად, 7 მოზრდილი ყაჩაღური ჯგუფი ვამხილეთ, რომელთაც 22 ყაჩაღური თავდასხმა, 7 მკვლელობა, 2 გაუპატიურების შემთხვევა და კიდევ ათობით სხვა დანაშაული ჩაიდინეს.

— რამდენი კაცია მათგან დაკავებული?

— სულ 46 დამნაშავე იყო დადგენილი, ამჟამად, მათგან 25 კაცი დაპატიმრებულია, 3 ლიკვიდირებული...

ბახვი-მშვიდობაური-ასკანის ჯგუფის 6 წევრიდან 3 დაკავებულია. გურიანთის (ოზურგეთის ჯგუფი) 7-კაციანი „სამმოს“ ოთხი წევრი პასუხს აგებს კანონის წინაშე.

— მაშ, ვინ ქმნის დღეს გურიაში კრიმინოგენულ კლიმატს?

— დადგენილ დამნაშავეთა დიდი ნაწილი ფრთხილობს, ზოგიც წავიდა, გადაიხვეწა, რუსეთში გაიქცა.

ძირითადად, დაუდგენელი, პოლიციისათვის უცნობი დამნაშავეები ამღვრევენ დღეს გურიაში წყალს.

რეგიონის პოლიცია თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად ვერ იყენებს. მარტო ჩივილი — ეს გვაკლია, ის გვაკლიაო — საქმეს ვერ უშველის. უბრძოლველად ფარხმალი არ უნდა დაყარო. არ უნდა დანებდე... რაც უნდა მოქნილ და ცბიერ დამნაშავესთან გქონდეს საქმე, იმდენ სამხილს დაგიტოვებს, ყველაფერი გეყოფა. სხვა საქმეა, მონდომება, ორგანიზებულობა, მართვა... ერთ წელიწადში ოზურგეთში ექვსი პოლიციის უფროსი შეიცვალა. ახლაც განყოფილებაში 50 კაცი აკლიათ. ეს უავტორიტეტობის ბრალია. როცა კაცი პოლიციის წინ თავისუფლად მოსეირნე დამნაშავეს დაინახავს, ის ორგანოში სამუშაოდ არ მოვა. თუმცა ამ ძალებითაც შეიძლება აქტიური მოქმედება, დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა. ისიც სათქმელია, რომ განყოფილების 12 თანამშრომელი ძალიან წაგვადგა. მათ შესაშური მონდომება და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. თუ რეგიონის სამართალდამცავი ორგანოები ერთი მიზნით გაერთიანდებიან, წარმატებებსაც მიაღწევენ; მით უმეტეს, ვიცი, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები მათ მხარში უდგანან, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან.

გურია თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამოც დაიჩაგრა. აჭარიდან საღ-სალამათად, უვნებლად გამოსულ მგზავრს ლანჩხუთ-ოზურგეთში ხვდებიან. შედარებით სტაბილური სიტუაციაა იმერეთშიც... ამიტომ ამ რეგიონის ყაჩაღებმა გურიაში მოიყარეს თავი, თანაც საყაჩაღოდ აქ საუკეთესო პირობებია.

ოზურგეთს ოდესღაც ძლიერი, მობილური პოლიცია ჰყავდა.

ასეთი პოლიცია ამ რეგიონს დღეს ჰაერივით სჭირდება...

ზაურ მაკარაძე.

სოხუმის პ. ჯაფარიძის სახელობის სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას ახალ 1994-95 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე: სამკურნალო დაწესებულებების მედდა, საბებიო საქმე, ორთოპედიული სტომატოლოგია და ფარმაცია.

სამკურნალო დაწესებულებების მედდისა და ორთოპედიული სტომატოლოგიის სპეციალობებზე მიიღებიან თერთმეტკლასდამთავრებული მოსწავლეები, საბებიო საქმისა და ფარმაციის სპეციალობებზე ცხრაკლასდამთავრებულნი.

საბუთების მიღება დაიწყება 1994 წლის 15 ივნისიდან 20 ივლისამდე, ყოველ დღე 14.00 საათიდან 16.00 საათამდე. შაბათს 11.00 საათიდან 13.00 საათამდე. საბუთები მიიღება მისამართით: ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 10, დაწყებითი საშუალო სკოლის შენობა, მე-2 სართული, ოთახი № 6, მიმღები კომისია. მეტრო „რუსთაველი“. დამატებით ცნობებს მიიღებთ მიმღებ კომისიაში.

მოსწავლეებს, რომლებიც 1993 წელს ჩაირიცხნენ სოხუმის დამოუკიდებელ სამედიცინო სასწავლებელში, შეუძლიათ ახალი სასწავლო წლიდან სწავლის გასაგრძელებლად გამოცხადდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

სასწავლებელში სწავლა განახლდება წლეულს, ათი ოქტომბრიდან.

სასწავლებლის დირექცია.

აღდგენითი პლასტიკური ქირურგიისა და დერმატო-კოსმეტოლოგიური დამოუკიდებელი ფასიანი სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: აღდგენითი პლასტიკური ქირურგია (ესთეტიკური, ძვლისა და მიკროქირურგიული პლასტიკა); დერმატო-კოსმეტოლოგია: თერმულ დაზიანებათა ინტენსიური თერაპია.

ინსტიტუტის კურსდამთავრებული მიიღებს მკურნალი ექიმის დიპლომს „სამკურნალო საქმე“ და კლინიკური მედიცინის ნებისმიერ დარგში მოღვაწეობის უფლებას.

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლებამიღებული პირები.

განცხადებას უნდა დაერთოს:
1. მიღებული განათლების დოკუმენტი;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
3. ექვსი ფოტოსურათი (3×4 სმ).

პასპორტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

აბიტურიენტები ბიოლოგიასა და ქიმიაში გამოცდას გაივლიან გასაუბრების ფორმით.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა) 1-30 ივლისის ჩათვლით. 10-დან 15 საათამდე.

ინსტიტუტის რექტორატი აწყობს „ღია კარის“ დღეს 20-25-29 ივლისს, 12 საათზე.

მისაღები გამოცდების ხარჯებისათვის ყველა აბიტურიენტი ვალდებულია საბუთების შეტანისას გადაიხადოს თანხა, რომელიც ინსტიტუტში ჩაურიცხაობის შემთხვევაში უკან არ დაუბრუნდება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში.

მისამართი: თბილისი, კავანაძის ქ. № 3, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თერმულ დაზიანებათა სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი (დამწვრობის ცენტრი), ყოფილი საბჭოს მოედნიდან არდონის ქუჩით, უახლოესი მეტრო „მარჯანიშვილი“.

ტელ.: დღის საათებში — 95-08-91; 95-19-32; 96-70-88; 23-02-05;
საღამოს საათებში — 22-49-37; 22-52-22; 23-02-80; 38-75-45;

სამრეწველო-სავაჭრო კომპანია
„სპექტრი“
მოსახლეობისა და ორგანიზაციებისაგან იღებს ანაბრებს ამერიკულ დოლარებსა და რუსულ მანეთებში

ამერიკულ დოლარებში
1. სამთვიანი ხელშეკრულებები:
ყოველ თვეში გატანის უფლებით — 18%
სამი თვის ბოლოს გატანით — 63%
2. ექვსთვიანი ხელშეკრულებები:
სამ თვეში ერთხელ გატანის უფლებით — 72%
ექვსი თვის ბოლოს გატანით — 162%
3. ერთწლიანი ხელშეკრულებები:
ექვს თვეში ერთხელ გატანის უფლებით — 168%
წლის ბოლოს გატანით — 360%

რუსულ მანეთებში
ერთწლიანი ხელშეკრულებები:
1. სამ თვეში ერთხელ გატანის უფლებით — 77%
2. ერთი წლის ბოლოს გატანის უფლებით — 810%

ინვალიდებსა და პენსიონერებს, გათვალისწინებული პროცენტების გარდა, ყოველ ხელშეკრულებით, ამერიკული დოლარის შენატანზე ემატებათ — 2%-მდე ხოლო რუსულ მანეთებზე — 5%-მდე.
ჩვენი კომპანიის სამრეწველო საქმიანობა, სავაჭრო-სასაქონლო ოპერაციები და ურთიერთობები საზღვარგარეთელ კომპანიონებთან თქვენი დანაზოგების დაცვის მტკიცე გარანტიაა!
(თანხების შემოტანისას თან იქონიეთ პასპორტი, შესაბამის შემთხვევაში ინვალიდობის მოწმობა ან პენსიონერის წიგნაკი).

მუშაობის საათები: 10-დან 15 საათამდე.
ყოველ დღე, შაბათ კვირის გარდა.
მისამართი:
დავით აღმაშენებლის გამზირი № 103
(ქართული თოჯინების თეატრი. I სართული).
ტელ: 95-26-63.

დაისვენეთ
თქვენ
გემსახურებათ
RANK XEROX
ოფიციალური წარმომადგენელი

გთავაზობთ: ასლგადამღებ აპარატებს, ფაქსებს, ლაზერულ პრინტერებს, საბეჭდ მანქანებს, საკანცელარიო საქონელს
-უფასო დამონტაჟებასა და სწავლებას
-საგარანტიო მომსახურებას
-საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ინჟინრების მიერ მაღალი ხარისხის სასერვისო მომსახურებას
-სახარჯი მასალითა და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას
tel: 98 36 31 fax: 98 96 58

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი
ინდექსი 6643